



განათლების ნაყოფი

ლევ ტოლსტოი

ოთხმოქმედიანი კომედია

მოქმედი პირნი

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე ზ ვ ე ზ დ ი ნ ც ე ვ ი, ცხენოსან-
თა გვარდიის გადამდგარი პორუჩიკი, სხვადასხვა გუბერნიაში 24-
ათასი დესეტინა მიწის მფლობელი. დაახლოებით 60 წლის, კარ-
გად თავშენახული, რბილი, სასიამოვნო კაცი, ჯენტლმენი. სწამს
სპირიტუზში და უყვარს თავისი მონაყოლი ამბებით სხვათა გაკ-
ვირვება.

მ ა ნ ა პ ა ვ ლ ე ს ა ს უ ლ ი ზ ვ ე ზ დ ი ნ ც ე ვ ა, მისი ცოლი, მა-
ღალი წრის ზნე-ჩვეულებებში ჩაფლული მსუქანი ქალი. თავს-
იახალგაზრდავებს, სძულს თავისი ქმარი და ბრმად სწამს ექიმის
სიტყვა. ფხუვიანი მანდილოსანი.

ბ ე ტ ს ი, მათი შვილი, მაღალი წრის ქალიშვილი 20 წლისა. აქვს და-
უღევარი, თითქმის ბიჭური მანერები, pince-nez¹ უკეთია. კეკ-
ლუცი და კისკისაა, ძალიან სწრაფად და ძალიან მკაფიოდ ლაპა-
რაკობს, თან უცხოელი ქალივით პრუწავს ტუჩებს.

¹ პენსე (ფრანგ.).

ვასილი ლეონიდის ძე, მათი ვაჟი, 25 წლისა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. რაიმე განსაზღვრულ საქმიანობას არ ეწევა, ველოსიპედისტთა საზოგადოების, ცხენოსნურ ასპარეზობათა საზოგადოებისა და მწევარ ძაღლთა წახალისების საზოგადოების წევრია, მშვენიერი ჯანისა და ურყევი თავდაჯერების მქონე ახალგაზრდა კაცი. ლაპარაკობს ხმამაღლა და სხაპასხუპით. ან სრულიად სერიოზული, თითქმის კუმტია, ანდა გიჟმაჟი და მჭახედ მოხარხარე.

ალექსეი ვლადიმირის ძე კრუგოსვეტლოვი, პროფესორი, მეცნიერი, 50 წლისა. მშვიდი, საამოდ თავდაჯერებული მანერებისა და ასევე დინჯი, ღულუნა ლაპარაკის მქონე. ხალისით ბაასობს. იმათ, ვინც მას არ ეთანხმება, ათვალწუნებით ეკიდება. ბევრ თამბაქოს ეწევა. გამხდარი, ცქვიტი კაცია.

ექიმი, ჯანმრთელი, სქელი, ლაჟღაჟა კაცი, 40 წლისა. ტლანქი და როხროხა. გამუდმებით თვითკმაყოფილად ქირქილებს.

მარია კონსტანტინის ასული, 20 წლის ქალიშვილი, კონსერვატორიადამთავრებული, მუსიკის მასწავლებელი. თმა შუბლზე აქვს შეჭრილი, მეტისმეტად მოღურად აცვია, ლაქუცა და მორცხვია.

პეტრი შჩოვი, 28 წლისა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, მოღვაწეობის მოსურნე, იმავე საზოგადოებათა წევრი, რომელთა წევრიც ვასილი ლეონიდის ძეა და, გარდა ამისა, ჩითისა და ყალამქრის მეჯლისთა მომწყობი საზოგადოების წევრიც. მელოტი, სწრაფი მიმოხრის, სწრაფად მოლაპარაკე და ერთობ თავზიანი ახალგაზრდა კაცი.

ბარონესა, ზვიადი ქალბატონი 50 წლისა, გაუძრავი ქალი, უნტონაციოდ მოლაპარაკე.

თავადის ქალი, მაღალი წრის ქალბატონი, სტუმარი. თავადის ასული, მაღალი წრის ქალიშვილი, პრანჭია, სტუმარი. გრაფის მეუღლე, ღრმად მოხუცი ქალბატონი, ძლივს მოძრაობს, ხელოვნური თმა და კბილები აქვს.

გროსმანი, ებრაული ტიპის შავგვრემანი კაცი, ძალიან მოძრავი, ნერვული, ერთობ ხმამაღლა ლაპარაკობს.

სქელუა ქალბატონი, მარია ვასილის ასული ტოლბუხინა, ერთობ წარჩინებული, მდიდარი და გულკეთილი მანდილოსანი, იცნობს ყოველ, ძველსა და ახალ გამოჩენილ ადამიანს. ძალზე სქელია, აჩქარებით ლაპარაკობს, სხვას არ აცლის. თამბაქოს ეწევა.

ბარონი კლინგენი (კოკო), პეტერბურგის უნივერსიტეტის კან-

დიდატი, კამერ-იუნკერი, საელჩოს თანამშრომელი. ძალზე correct¹ გახლავთ, ამიტომაც მშვიდი და ჩუმი მხიარულებით აღსავსეა.

მანდილოსანი.

ბატონი (სიტყვების გარეშე).

სახატოვი, სერგეი ივანის ძე, 50 წლისა, ყოფილი მინისტრის ამხანაგი, ელევანტური ბატონი, ფართო ევროპული განათლებისა. რაიმე საქმიანობით არ არის დაკავებული და ყველაფერს ინტერესით ეკიდება. თავი ღირსეულად, ცოტა მკაცრადაც ეუჭირავს.

ფიოდორ ივანის ძე, კამერდინერი, 60-ოდე წლისა, განათლებული და განათლების მოყვარული ადამიანი. საჭიროზე მეტად, წამლაუწუმ იყენებს pince-nez-ს და ცხვირსახოცს: კეცავს და ნელ-ნელა შლის. თვალს ადევნებს პოლიტიკას. ჭკვიანი და კეთილი კაცი.

გრიგორი, ლაქია, 28 წლისა, ლამაზი გარეგნობის, გარყვნილი, შურიანი და თამაში კაცი.

იაკოვი, 40 წლისა, მებუფეტე, ფუსფუსა, გულკეთილი, მხოლოდ თავისი სოფლური ოჯახური ინტერესებით მცხოვრები.

სემიონი, ბუფეტში მომსახურე გლეხი, 20 წლისა. ჯანმრთელი, ხალასი სოფლელი ყმაწვილი, ქერათმიანი, ჯერაც უწვევრული, მშვიდი, ღიმილიანი.

მეეტლე, 35 წლისა, მარტოდენ კოხტა უღვაშით თავმომწონე, ტლანქი და მედგარი კაცი.

ძველი მზარეული, 45 წლისა, გაბურძნული, გაუპარსავი, გასიებული, პირყვითელა, დონდლო კაცი, ნაშურის საზაფხულო, დაფლეთილი პალტო, ჭუჭყიანი შარვალი და ხალმები აცვია, ხრინწიანი ხმით ლაპარაკობს, სიტყვები თითქოს რაღაც ზღუდეს აწყდება და ისე ამოსდის პირიდან.

მზარეული ქალი, ენაჭარტალა, უკმაყოფილო, 30 წლისა.

მეკარე, ყოფილი ჯარისკაცი.

ტანია, მოახლე, 19 წლისა, ენერგიული, ღონიერი, მხიარული ქალიშვილი, გუნება-განწყობილება მაღიმაღ ეცვლება, დიდი სიხარულის წუთებში წამოკივლება სჩვევია.

1 გლეხი, 60 წლისა, მამასახლისად ნამყოფია და ჰგონია, ბატონებთან ლაპარაკი და მოქცევა ვიცის; უყვარს, როცა უსმენენ.

11 გლეხი, 45 წლისა, კარგი მეურნე, ტლანქი და ალაღმართალი, არ უყვარს ზედმეტი ლაპარაკი. სემიონის შამა.

¹ კორექტული (ფრანგ.).

III გლეხი, 70 წლისა, ქალამნიანი, ნერვული, მოუსვენარი, მუდამ ჩქარობს, შიშობს და ლაპარაკით აწვობს ამ შიშსა და მორიდებულობას.

გრაფის ასულის I მხლებელი ლაქია, ძველი ყაიდის ბერიკაცი, ლაქიაობით მოამაყე.

II მხლებელი ლაქია, ვეება, ჯანიანი, ტლანქი.

ნოქარი მარაზისა. ლურჯხიფთანიანი, სუფთად გაპარსული, ლაქ-ლაქა სახე აქვს, მტკიცედ, დამაჯერებლად და მკაფიოდ ლაპარაკობს.

მოქმედება ხდება დედაქალაქში, ზვეზდინცევთა სახლში.

პირველი მოქმედება

თეატრი წარმოადგენს მდიდრული მოსკოვეური სახლის წინკარს. ჩანს სამი კარი: გარეთა, ლეონიდ ფიოდორის ძის კაბინეტისა და ვასილი ლეონიდის ძის ოთახისა. ზემოთ, შინა ოთახებისაყენ კიბე აღის, მის უკან ბუფეტისაყენ გასასვლელია.

გამოსვლა პირველი

გრიგორი (ახალგაზრდა, ლამაზი ლაქია, სარკეში იხედება და იბრანჭება).

გრიგორი. ულვაშზე კი მართლა მწყდება გული! ლაქიისთვის ულვაში არ ვარგაო! რატომ არ ვარგა? უნდა ჩანდეს, ლაქია რომ ხარო. ეშინია, მის საყვარელ შვილიკოზე უკეთესი არ გამოვჩნდე. შემაღარა, რაღა! მაგას უულვაშოდაც... (იხედება სარკეში და იღიმება). ჰო, რამდენი ქალი დამდევს! ოლონდ ეგ არი, არავინ მომწონს ისე, როგორც ეს ტანია! უბრალო მოახლე გოგო! ნდა! არადა, ბატონის ქალიშვილს სჯობია. (იღიმება). რა ლამაზია! (აყურადებს). აგერ, ისიც მოდის! (იღიმება). დახეთ, მოაბაკუნებს ქუსლებს... ვიშ!..

გამოსვლა მეორე

გრიგორი და ტანია (ქურქი და წაღები უჭირავს).

გრიგორი. ტატინა მარკოვნას ჩემი სალამი!

ტანია. რაო, სულ სარკეში იყურებით? გგონიათ, ლამაზი ხართ?

გრიგორი. რა, ცუდი ბიჭი ვარ?

ტანია. ისე, არც კარგი, არც ცუდი, არც წყალი, არც ღვინო. ეს რა არის, ქურქები რო გიკიდიათ?

გრიგორი. ახლავე, ქალბატონო, ჩამოვხსნი. (იღებს ქურქს, ტანიას მოასხამს და ხელს ხვევს). ტანია, რაღაც გითხრა...

ტანია. მომეშვი! რას გადამეკიდა! (გაუსხლტება გაბრაზებული). გეუბნები, მომეშვი-მეთქი!

გრიგორი (მიმოიხედავს). ერთი მაკოცეთ.

ტანია. რას გადამეკიდეთ მართლა და მართლა? კოცნას ვიჩვენებთ მე თქვენ!.. (ხელს უღერებს).

ვასილი ლეონიდის ძე. (სცენის მიღმა ისმის ზარის ხმა და მერე ყვირილი). გრიგორი!

ტანია. აი, წადით, ვასილი ლეონიდიჩი იძახის.

გრიგორი. დაიცდის, ეს-ესაა თვლები ჭყიტა. ის მითხარი, რატომ არ გიყვარვარ?

ტანია. რა სიყვარული აგიტყდათ, ნეტავი! მე არავინ არ მიყვარს.

გრიგორი. ტყუილია, სიომკა გიყვარს. შენც ვინმე ნახე რაღა, ბუფეტის უშნო გლეხუჭა!

ტანია. როგორც უნდა იყოს, თქვენ კი გშურთ და.

ვასილი ლეონიდის ძე (სცენის მიღმა). გრიგორი!

გრიგორი. მოესწრები!.. შენც ნახე რაღა შესაშური! აგერ ახლა დაიწყე ცხოვრებაში შესვლა და ეს რა არის, ვისთან იჭერ საქმეს? სხვა საქმეა, მე რომ შეგიყვარდე... ტანია...

ტანია (გაბრაზებით, მკაცრად). ვითხარით, არაფერი გამოგივათ.

ვასილი ლეონიდის ძე (სცენის მიღმა). გრიგორი!!!

გრიგორი. ძალიან მკაცრად იქცევით.

ვასილი ლეონიდის ძე (სცენის მიღმა, დაყინებით, ერთხმოდ). გრიგორი! გრიგორი! გრიგორი!

ტანია და გრიგორი იცინიან.

გრიგორი. ხომ იცი, ისეთებს ვყვარებივარ!..

ზარის ხმა.

ტანია. ჰოდა, იმათთან წადით, მე თავი დამანებეთ.

გრიგორი. სულელი ხარ, ვხედავ. მე ხომ სემიონი არა ვარ.

ტანია. სემიონს ჩემი ცოლად შერთვა უნდა, სისულელები კი არა.

გამოსვლა მისამე

გრიგორი, ტანია და ნოქარი (შემოაქვს დიდ მუყაოში გახვეული კაბა).

ნოქარი. დილა მშვიდობისა!

გრიგორი. გავიმარჯოთ. ვისგანაა?

ნოქარი. ბურდიესგან. კაბაა, აგერ ბარათიც ქალბატონს.

ტანია (ბარათს ართმევს). დაჯექით აქ, მე მივართმევ. (მიდის).

გამოსვლა მართხა

გრიგორი, ნოქარი და ვასილი ლეონიდის ძე (კარიდან თავი გამოყო, პერანგი და ფლოსტები აცვია).

ვასილი ლეონიდის ძე. გრიგორი!

გრიგორი. ახლავე!

ვასილი ლეონიდის ძე. გრიგორი! ნუთუ არ გესმის!

გრიგორი. ეს-ესაა მოვედი.

ვასილი ლეონიდის ძე. თბილი წყალი და ჩაი.

გრიგორი. ახლავე სემიონი მოიტანს.

ვასილი ლეონიდის ძე. ეს რაღაა? ბურდიესგანაა?

ნოქარი. დიახ, ბატონო.

ვასილი ლეონიდის ძე და გრიგორი გადიან. ზარის ხმა.

გამოსვლა მისუთე

ნოქარი და ტანია (ზარის ხმაზე შემობრბის და კარს აღებს).

ტანია (ნოქარს). დაიცადეთ.

ნოქარი. ისედაც ვიცდი.

გამოსვლა მთავსა

ნოქარი, ტანია და სახატოვი (კარში შემოდის).

ტანია. ბოდიშს გინდით, ლაქია ახლახან გავიდა. მობრძანდით, მობრძანდით. ნება მიბოძეთ! (ქურქს ხდის).

სახატოვი (ტანსაცმელს ისწორებს). შინ ბრძანდება ლეონიდ ფიოდოროვიჩი? ადგა?

ზარის ხმა.

ტანია. მაშ როგორ, რამდენი ხანია!

გამოსვლა მთავიდე

ნოქარი, ტანია და სახატოვი. შემოდის ექიმი.

ექიმი (მიმოიხედავს, ლაქიას ეძებს. დაინახავს სახატოვს, უბოდიშოდ). ჰა? ჩემი სალაში!

სახატოვი (აკვირდება). მგონი, ექიმი ხართ, არა?

ექიმი. მე კი საზღვარგარეთ მეგონეთ. ლეონიდ ფიოდოროვიჩთან ხართ?

სახატოვი. ჰო. თქვენ კი რაო? ავად არის ვინმე?

ექიმი (ჩაიცინებს). ავად არა, მაგრამ, იცით, ხათაბალაა ეს ქალბატონები! ყოველდღე სამ საათამდე ვინტს თამაშობს, თან ჭიქისკენ უჭირავს თვალი. არადა, ლონია ქალბატონი, ჩასქელებული, უკვე ახალგაზრდაც აღარ არის.

სახატოვი. ასე ანა პავლოვნასაც ეუბნებით თქვენს დიაგნოზს? მგონი, არ მოსწონს.

ექიმი (იცინის). რას იზამ, სიმართლეა. ამ ოინბაზობაში არიან, მე-რე კი საქმლის მომწელებელი ორგანოების აშლილობა, ღვიძლის გადატვირთვა, ნერვები, ჰოდა, იწყება გაწამაწია, შენ კი მიდი და ასწორე წამხდარი საქმე. ხათაბალაა! (იცინის). თქვენ კი რაზე მოსულხართ? ალბათ, თქვენაც სპირიტუი ხართ, არა?

სახატოვი. მე? არა, არა ვარ მეც სპირიტუი... აბა, კარგად ბრძანდებოდეთ! (წასვლა უნდა, მაგრამ ექიმი აჩერებს).

ექიმი. არა, განა მეც ვუარვყოფ სავსებით, მით უმეტეს, როცა ისეთი აღამიანი მონაწილეობს, როგორც კრუგოსვეტლოვია. როგორ იქნება! პროფესორია, მთელ ევროპაში ცნობილი კაცი. ეტყობა, რალაც არის მაინც. მინდოდა როგორმე მენახა, მაგრამ ვერ მოვიცალე, სხვა საქმეები მაქვს.

სახატოვი. დიახ, დიახ. კარვად ბრძანდებოდეთ! (ოდნავ უკრავს თავს და მიდის).

ექიმი (ტანას). აბრძანდა?

ტანია. საძილე ოთახში ვახლავთ. შებრძანდით, შებრძანდით. სახატოვი და ექიმი სხვადასხვა მხარეს გადიან.

გამოსვლა მერვე

ნოქარი, ტანია და ფიოდორ ივანის ძე (შემოდის, ხელში გაზეთი უჭირავს).

ფიოდორ ივანის ძე (ნოქარს). თქვენ რაო? ნოქარი. ბურდიესგან ვარ გამოგზავნილი, კაბა და ბარათი მოვიტანე. დაცდა მიბრძანეს.

ფიოდორ ივანის ძე აჰ, ბურდისაგან! (ტანას). ეს ვინ იყო, რომ ჩაიარა?

ტანია. სახატოვი ვახლდათ, სერგეი ივანიჩი, და კიდეც ექიმი. აქ იდგნენ ერთხანს, ლაპარაკობდნენ. სულ სპირიტობა ეკერათ ენაზე. ფიოდორ ივანის ძე (უსწორებს). სპირიტოზში.

ტანია. ავი მეცა ვთქვი, სპირიტობა-მეთქი. თქვენ თუ გაიგეთ, ფიოდორ ივანიჩ, ამას წინათ რა კარვად გამოვიდა? (იციინს). კაქუნიც იყო, ნივთებიც გადაფრინდნენ.

ფიოდორ ივანის ძე. შენ რა იცი?

ტანია. ლიზავეტა ლეონილოვნამ თქვა.

გამოსვლა მეთხრამეტი

ტანია, ფიოდორ ივანის ძე, ნოქარი და მებუფეტე იაკოვი (შემორბის, ჭიქა ჩაი მოაქვს).

იაკოვი (ნოქარს). გამარჯობათ!

ნოქარი (ნაღვლიანად). გაგიმარჯოთ.

იაკოვი ვასილი ლეონიდის ძის ოთახის კარზე აკაკუნებს.

გამოსვლა მეათე

იგინივე და გრიგორი.

გრიგორი. მომე.

იაკოვი. გუშინდელი ჭიქები მაინც არ მოიტანეთ, და კიდეც ლანტი რი ვასილი ლეონიდიჩისაგან. ავი მე მომკითხავენ.

გრიგორი. ლანგარი დაკავებული აქვს, ზედ სიგარეტები უწყვია. იაკოვი. თქვენც ადვილთ და გადააწყვეთ. ავი მე მომკითხავენ.

გრიგორი. მოვიტან, მოვიტან!

იაკოვი. მოვიტანო, ამბობთ, მაგრამ სად არის. ამას წინათ გაახსენდათ, მაგრამ არ შეონდა, რაზე უნდა მიმერთმია.

გრიგორი. მოვიტან-მეთქი, ხომ ვითხარი, რა მოუსვენარი ხარ!

იაკოვი. თქვენთვის ადვილია ეგრე ლაპარაკი, მე კიდე აი, მესამე ჩაის ვარიგებ და საუზმეც უნდა გავაწყუ. ვჯახირობ დღემულამ. ჩემზე მეტი საქმე აქვს ვინმეს ამ სახლში? მაინც ცუდი ვარ!

გრიგორი. ამაზე კარგი რა ვინდა? ნახე, რა კარგი ხარ!

ტანია. თქვენთვის ყველა ცუდია, მარტო თქვენა ხართ...

გრიგორი (ტანას). თქვენ არავინ გეკითხებათ! (მიდის).

გამოსვლა მეთორმეტი

ტანია, იაკოვი, ფიოდორ ივანის ძე და ნოქარი.

იაკოვი. რა იყო, მე არაფერი მწყენია, ტატიანა მარკოვნა, გუშინდელზე ხომ არაფერი უთქვამს ქალბატონს?

ტანია. ლამაზზე ამბობთ?

იაკოვი. მაინც როგორ გამისხლტა ხელიდან, ღმერთმა უწყის. ის იყო, გაწმენდა დავიწყე, მინდოდა ხელი მომეკიდა და, გამიშვა რალაც ეშმაკად... სულ ნამსხვრევებად იქცა! ყოველთვის უბედურებაა ჩემს თავს! გრიგორი მიხაილიჩს რა უჭირს, მისთვის ადვილია ლაპარაკი, მარტო საკუთარი თავი აბარია, მე კი ოჯახს რა ვუყო? იმასაც ხომ უნდა ჭმევა. მუშაობას მე არ ვჩივი. მაშ, არაფერი უთქვამს, არა? ჰოდა, მადლობა ღმერთს! რამდენი კოვზია თქვენთან, ფიოდორ ივანიჩ, ერთი თუ ორი?

ფიოდორ ივანის ძე. ერთი, ერთი. (გაზეთს კითხულობს). იაკოვი მიდის.

გამოსვლა მეოთხრამეტი

ტანია, ფიოდორ ივანის ძე და ნოქარი. ისმის ზარის ხმა. შემოდინ გრიგორი და მეკარე, ხელში სინი უჭირავს.

მეკარე (გრიგორის). ბატონს მოახსენეთ, გლეხები არიან სოფლიდან.

გრიგორი (ფიოდორ ივანის ძეზე უჩვენებს). სახლთხუცესს მოახსენეთ, მე არა მცალია. (მიდის).

გამოსვლა მეთხრამეტი

ტანია, ფიოდორ ივანის ძე, მეკარე და ნოქარი.

ტანია. საიდან არიან გლეხები?

მეკარე. მგონი, კურსკელები არიან...

ლ. ტოლსტოი

ტანია (წამოიკივლებს). ისინი ზრიან... სემიონის მამა მიწის თაობაზე. წავალ, შევხვდები. (გარბის).

გამოსვლა მითითებით

ფიოდორ ივანის ძე, მეკარე და ნოქარი.
მეკარე. ჰოდა, მითხარით ბარემ: შემოვუშვა აქ თუ რა ვქნა? ამბობენ, მიწის თაობაზე ვართო, ბატონმა იცისო.
ფიოდორ ივანის ძე. ჰო, მიწის ყიდვის თაობაზე. ასე, ასე. სტუმარი ჰყავს ამჟამად. შენ აი, რა ჰქენი: უთხარი, დაიცადონ.
მეკარე. სად დაიცადონ?
ფიოდორ ივანის ძე. ეზოში დაიცადონ, მე მერე შევუშვებ. მეკარე გადის.

გამოსვლა მითითებით

ფიოდორ ივანის ძე, ტანია, მას მოჰყვება სამი გლეხი, გრიგორი და ნოქარი.
ტანია. მარჯვნივ. აქეთ, აქეთ!
ფიოდორ ივანის ძე. მე არ მითქვამს მაგათი აქ შემოშვება.
გრიგორი. აი, მლიქვნელი!
ტანია. არაფერია, ფიოდორ ივანიჩ, აგერ, კიდევში დადგებიან.
ფიოდორ ივანის ძე. გათხვრიან აქაურობას.
ტანია. გაიწმინდეს ფეხები, თან მეც მოვწმენდ. (გლეხებს). აი, აქ დადექით.
გლეხები შემოდიან, მოაქვთ ხელსახოცებში გამოკრული ძღვენი: ნაზუქები, კვერცხები, პირსახოცები, ეძებენ რამეს, რაზედაც შეიძლება პირჯვრის გადაწერა. ბოლოს კიბეს შეხედავენ, პირჯვარს გადაიწერენ, ფიოდორ ივანის ძეს თავს უკრავენ და დგებიან მყარად ფეხებგაბოძებულნი.
გრიგორი (ფიოდორ ივანის ძეს). ფიოდორ ივანიჩ! აი, პირონეს მოდურ შიბლეტებს რომ იტყვიან, იმაზე ნაკლები რითი აქვს აგერ ამას? (უჩვენებს მესამე გლეხს, ქალამნებიანს).
ფიოდორ ივანის ძე. თქვენ ხალხს დასცინოთ და მეტი არაფერი გინდათ!

გრიგორი მიდის.

გამოსვლა მითითებით

ტანია, ფიოდორ ივანის ძე და სამი გლეხი.
ფიოდორ ივანის ძე (დგება და გლეხებს მიეახლება). თქვენ ხართ ის კურსკელები, მიწის შესყიდვა რომ გინდათ?
I გლეხი. სწორედ ეგრეა. წარმოებს, მაგალითად, მიწის შესყიდვის აღსრულებაზე ვართ მოსული. როგორ უნდა მოვახსენოთ?

ფიოდორ ივანის ძე. დიახ, დიახ, ვიცი, ვიცი. დაიცადეთ აქ, მე ახლავე მოვახსენებ. (მიდის).

გამოსვლა მითითებით

ტანია და სამი გლეხი. ვასილი ლეონიდის ძე (სცენის მიღმა).
გლეხები აქეთ-იქით იყურებიან, არ იციან, სად დადონ ძღვენი.
I გლეხი. როგორ, ესე იგი, არ ვიცი, რა ჰქვია, აი, რითი უნდა მივართვათ? ფორმაზე რო გამოვიდეს, კარგად და ლამაზად, გამოსაჩენად. რამე ხონჩა, არა?
ტანია. ახლავე, ახლავე, მომეცით აქ: ჭერჯერობით ასე იყოს. (პატარა დივანზე ალაგებს ძღვენს).
I გლეხი. ამას რა წოდება აქვს, მაგალითად, ამ პატივცემულს, ჩვენთან რო მოვიდა?
ტანია. კამერდინი გახლავთ.
I გლეხი. სწორია, კამარდინი ყოფილა. ესე იგი, ეგეც გამგებლობა-შია. (ტანიას). თქვენაც, მაგალითად, სამსახურის ხაზითა ხართ?
ტანია. მოახლე ვარ მე. მეც თქვენსოფლელი ვარ, დემენოელი. მე ხომ გიცნობთ, აი, ამასაც ვიცნობ, ოღონდ ის ძია არ მეცნობა. (უჩვენებს მესამე გლეხზე).
II I გლეხი. ყველა იცანი, მე კი ვერ მიცანი?
ტანია. ეფიმ ანტონიჩი ბრძანდებით?
I გლეხი. ნამდვილად.
ტანია. თქვენ კი სემიონის მშობელი ხართ, ზახარ ტრიფონიჩი, არა?
II გლეხი. დასტურ ეგრეა.
III I გლეხი. მე კი, ვთქვათ, მიტრი ჩილიკინი გახლავარ. ახლა ხო მიცნობთ?
ტანია. აწი თქვენც მეცნობებით.
II გლეხი. შენ კი ვისი ხარ რო?
ტანია. აქსინიას გოგო ვარ, ცხონებულის, სალდათის ცოლი რო იყო. ობოლი ვარ.
I და III გლეხი (გაოცებით). ოჰო-ო?!
II გლეხი. ტყუილად კი არ არი ნათქვამი: ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო.
I გლეხი. ნამდვილად. სწორედ მამზელი გეგონება, მსგავსებით.
II I გლეხი. რაც მართალია, მართალია. ოჰ, ღმერთო!
Vასილი ლეონიდის ძე (სცენის მიღმა ზარს აწკარუნებს, მერე ყვირის). გრიგორი! გრიგორი!
II გლეხი. ეს ვინ არი, მაგალითად, ეგრე რო შეწუხებულა?
ტანია. ახლავაზრდა ბატონი გახლავთ.

III გლესი. ოჰ, ღმერთო! ხო ვამბობდი, სანამ რამე იქნება, ჯობს გარეთ დავიცადოთ-მეთქი.

ღუმელი.

II გლესი. ეს შენა ხარ, სემიონს ცოლად რო უნდინარ? ტანია. განა რამე მოიწერა? (სახეზე წინსაფარს იფარებს).

II გლესი. მოიწერა, მაშ! ოღონდ ვერ მოიფიქრა რიგიანი საქმე. ვხედავ, განებივრებულა ყმაწვილი.

ტანია (მკვირცხლად). არა, სულაც არ არი განებივრებული. წავიდე, გამოვგზავნო?

II გლესი. რაღად უნდა გამოვგზავნო. მაცალე, მოვესწრებით! ისმის ვასილი ლეონიდის ძის სასოწარკვეთილი ყვირილი:

„გრიგორი! სად ჯანდაბაში ხარ!“

ზამოსვლა მეთვრამეტე

იგინივე. კარებში გამოჩნდება ვასილი ლეონიდის ძე (პერანგი აცვია, pince-nez-ს იკეთებს).

ვასილი ლეონიდის ძე. ყველა ამოწყდა? ტანია. არ არის აქ, ვასილი ლეონიდოვიჩი... ახლავე დავაძახებინებ, (კარისკენ გაემართება).

ვასილი ლეონიდის ძე. არადა, ლაპარაკი მესმის. ეს რა საფრთხობელები მოსულან? რა ამბავია?

ტანია. კურსკელი გლეხები არიან, ვასილი ლეონიდიჩი, სოფლელები. ვასილი ლეონიდის ძე (ნოქრისაკენ). ეს კი ვილაა? აჰ, ჰო, ბურდიესგანა!

გლეხები თავს უკრავენ, მაგრამ ვასილი ლეონიდის ძე ყურადღებას არ აქცევს მათ. გრიგორი კართან შეეჩეხება ტანიას, ტანია რჩება.

ზამოსვლა მეცხრამეტე

იგინივე და გრიგორი.

ვასილი ლეონიდის ძე. მე ხომ გითხარი, ის წაღები-მეთქი არ შემიძლია ამათი ტარება!

გრიგორი. კი მაგრამ, იქა დევს ის წაღები.

ვასილი ლეონიდის ძე. სად იქა?

გრიგორი. სად და მანდვე.

ვასილი ლეონიდის ძე. სტყუი!

გრიგორი. აი, ნახავთ.

ვასილი ლეონიდის ძე და გრიგორი გადიან.

ზამოსვლა მეოცე

ტანია, სამი გლესი და ნოქარი.

III გლესი. იქნება, ვთქვათ, არ არი ახლა დრო, ღუქანში შევსულიყავით, დაგვეცადა, სანამ რამე იქნებოდა.

ტანია. არა, არაფერია, დაიცადეთ. აი, მე ახლა თეფშებს მოვიტანთ, ძღვენი რო დააწყით. (გადის).

ზამოსვლა ოცდამეათე

იგინივე, სახატოვი, ლეონიდ ფიოდორის ძე, მათ შემდეგ ფიოდორ ივანის ძე.

გლეხები იღებენ ძღვენს და სხვადასხვა პოზაში დგებიან.

ლეონიდ ფიოდორის ძე. (გლეხებს). ახლავე, ახლავე, დაიცადეთ. (ნოქარს შეხედავს). ეს ვინაა?

ნოქარი. ბურდიესგანა ვარ.

ლეონიდ ფიოდორის ძე. აჰ, ბურდიესგან!

სახატოვი (ღიმილით). არა, მე არ უარვყოფ; მაგრამ, მერწმუნეთ, ჩემისთანა კაცს, საქმეში ჩაუხედავს, უჭირს დაჯერება, როცა არ უნახავს ყოველივე ის, რაზედაც თქვენ ლაპარაკობთ.

ლეონიდ ფიოდორის ძე. თქვენ ამბობთ, არ ძალმიძს დაჯერებაო. მაგრამ ჩვენ არც ვითხოვთ რწმენას. ჩვენ კვლევა-ძიებას ვითხოვთ. ხომ არ შემიძლია, ამ ბეჭედს არ ვერწმუნო. ეს ბეჭედი კი იქიდან მაქვს მიღებული.

სახატოვი. როგორ იქიდან? საიდან?

ლეონიდ ფიოდორის ძე. იმ ქვეყნიდან. დიან.

სახატოვი (ღიმილით). ძალზე საინტერესოა, ძალზე საინტერესოა!

ლეონიდ ფიოდორის ძე. მაგრამ, ვთქვათ, თქვენ ფიქრობთ, რომ მე ატაცებული კაცი ვარ, ისეთი რამე მაქვს თავში, რაც არ არსებობს, მაგრამ აი, ალექსეი ვლადიმეროვიჩი კრუგოსვეტლოვი, მგონი, არ არის უბრალო ვინმე, პროფესორია, და იმასაც ასევე სწამს. თანაც მარტო მას არა. ახლა კრუქსი? ახლა ვალასი?

სახატოვი. მე ხომ არ უარვყოფ. მხოლოდ ისა ვთქვი, ეს ძალზე საინტერესოა-მეთქი. საინტერესოა, როგორ ხსნის ამას კრუგოსვეტლოვი?

ლეონიდ ფიოდორის ძე. მას საკუთარი თეორია აქვს! აი, მოდით ამ საღამოს; იგი აუცილებლად იქნება. ჯერ გროსმანი იქნება... იცით, ცნობილი გულთამხილაგია, სხვის აზრებს კითხულობს.

სახატოვი. მეც ვამიგია, მაგრამ ერთხელაც ვერ ვნახე.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ჰოდა, მოდი. ჯერ გროსმანი იქნება, მერე კაპჩიჩი, მერე ჩვენი სეანსი, მედიუმი... (ფიოდორ ივანის ძეს). კაპჩიჩისგან არ დაბრუნდა შიკრიკი?

ფიოდორ ივანის ძე. არა ჯერ.

სახატოვი. მაშინ, მე როგორ გავიგო?

ლეონიდ ფიოდორის ძე. თქვენ მოდი, მაინც მოდი. კაპჩიჩი თუნდაც არ იყოს, მოვძებნით ჩვენივე მედიუმს. მარია იგნატიევნა მედიუმი გახლავთ; ისეთი ძლიერი არა, როგორც კაპჩიჩი, მაგრამ მაინც...

გამოსვლა ოცდაათორე

იგინივე და ტანია (შემოდის, ძღვენის დასაწყობად თეფშები მოაქვს. ლაპარაკს ყურს უგდებს).

სახატოვი (ლიმილით). დიახ, დიახ. ოღონდ აი, რა გარემოებაა საგულისხმო: რატომაა, რომ მედიუმები ყოველთვის ეგრეთწოდებული განათლებული წრის წარმომადგენლები არიან? კაპჩიჩი და მარია იგნატიევნაც. თუკი ეს განსაკუთრებული ძალაა, ყველგან ხომ უნდა გვხვდებოდეს, ხალხში, გლეხებში.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ასედაც არის. ხშირად ხდება. ერთი გლეხი გვყავს სახლში, მედიუმი გამოდგა. ამ დღეებში სეანსის დროს მოვიხმეთ. დივანი უნდა გაეჩოჩებინა და სულ დაგვაფიწყდა ამასობაში. ჰოდა, ეტყობა, ჩაეძინა. და წარმოიდგინეთ, სეანსი უკვე დაგვიმთავრდა, კაპჩიჩმა გაიღვიძა, და უცებ შევინშინეთ ოთახის მეორე კუთხეში, გლეხის ირგვლივ დაიწყო მედიუმური მოვლენები: მაგიდა შექანდა და დაიძრა.

ტანია (გვერდზე). ეს იმ დროს, მაგიდის ქვეშ რომ მივძვრებოდი. ლეონიდ ფიოდორის ძე. ეტყობა, ისიც მედიუმი ყოფილა. მით უმეტეს, რომ სახით ძალიან ჰგავს იუმს. გახსოვთ იუმი? — ქერათმიანი, გულუბრყვილო.

სახატოვი. (მხრებს იჩეჩს). აი, რა ყოფილა! ძალზე საინტერესოა ჰოდა, ამდგარიყავით და იგი გამოგეცადათ.

ლეონიდ ფიოდორის ძე. კიდეც გამოვცდით. მარტო ისიც არ არის. მედიუმები უთვალავია. მხოლოდ ისაა, რომ ჩვენ არ ვიცნობთ მათ. აი, ამას წინათ ერთმა ავადმყოფმა დედაბერმა ქვის კედელი გადაადგილა.

სახატოვი. ქვის კედელი გადაადგილაო?

ლეონიდ ფიოდორის ძე. დიახ, დიახ, საწოლში იწვა და სულაც არ იცოდა, მედიუმი თუ იყო. მიეყრდნო ხელით კედელს, კედელი კი გაიწია.

სახატოვი. და არ წაიქცა?

ლეონიდ ფიოდორის ძე. და არ წაიქცა.

სახატოვი. უცნაურია! თუ ასეა, მოვალ სადამოს.

ლეონიდ ფიოდორის ძე. მოდი, მოდი! სეანსი აუცილებლად გვექნება.

სახატოვი ქურქს იცვამს. ლეონიდ ფიოდორის ძე აცილებს მას.

გამოსვლა ოცდაათათხე

იგინივე, სახატოვის გარეშე.

ნოქარი (ტანიას). ბარემ მოახსენეთ ბატონს! რა ვქნა, ღამე გავითიო აქ, თუ რა?

ტანია. დაიცათ. თავის ქალიშვილთან ერთად გამოვა მალე. (მიდის).

გამოსვლა ოცდაათთხე

იგინივე, ტანიას გარეშე.

ლეონიდ ფიოდორის ძე (გლეხებს მიეახლება, ისინი ესალმებიან და ძღვენს მიართმევენ). ეს არ არის საჭირო!

I გლეხი (ლიმილით). რას ბრძანებთ, ეს პირველი მოვალეობის გამო წარმოებს. თემმა აგრე გვითხრა.

II გლეხი. აგრე არი მიღებული.

III გლეხი. და ნუმც შეგვეპასუხები! რადგანაც ძაან კმაყოფილები ვახლავართ... როგორც, ვთქვათ, ჩვენი მშობლები თქვენს მშობლებს, ვთქვათ, ემსახურებოდნენ, ასევე ჩვენაც მთელი გულით გვინდა, თანაც ისე კი არა... (თავს უკრავს).

ლეონიდ ფიოდორის ძე. რას ამბობთ, რას ამბობთ! კერძოდ რა გნებავთ?

I გლეხი. თქვენი მოწყალების წინაშე ვართ, მაშასადამე.

გამოსვლა ოცდაათხუთე

იგინივე და პეტრიშოვი (სწრაფად შემორბის, ფარაჯა აცვია).

პეტრიშოვი. ვასილი ლეონიდიჩმა გაიღვიძა? (დაინახავს ლეონიდ ფიოდორის ძეს და თავს უკრავს).

ლეონიდ ფიოდორის ძე. ჩემს ვაჟთან ხართ?

პეტრიშოვი. მე? ჰო, ვოვოს მოვაკითხე ერთი წამით.

ლეონიდ ფიოდორის ძე. მიბრძანდით, მიბრძანდით.

პეტრიშოვი ფარაჯას იხდის და მალე გადის.

გაიხილა ოცდაათამდე

ი გ ი ნ ი ვ ე, პეტრიშოვის გარეშე.

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე (გლეხებს). ჰო-ო. აბა, თქვით, რა ამბავია?

I I გ ლ ე ხ ი. მიიღეთ ეს ძღვენი.

I გ ლ ე ხ ი (ლიმილით). ესე იგი, სოფლის მოძღვნილია.

I I I გ ლ ე ხ ი. და ნუმც შეგვეპასუხები, — რა დიდი საქმეა! გულით მოგართვით, როგორც მშობელ მამას. და ნუმც შეგვეპასუხები.

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე. რა გაეწყობა... ფიოდორ, მიიღე.

ფ ი ო დ ო რ ი ვ ა ნ ი ს ძ ე. აბა, აქ მოიტათ. (ართმევს ძღვენს).

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე. მაშ, რაშია საქმე?

I გ ლ ე ხ ი. თქვენი მოწყალების წინაშე ვართ.

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე. ვხედავ, რომ ჩემთანა ხართ; ჰოდა, რა გნებავთ?

I გ ლ ე ხ ი. რა და, მიწის გაყიდვის თაობაზე, რათა საქმე დაიძრას, წარმოგებს...

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე. რა, მიწას ყიდულობთ, ხომ?

I გ ლ ე ხ ი. ნამდვილად, სწორედ აგრეა. წარმოგებს... ესე იგი, მიწის საკუთრების შესყიდვის თაობაზე. თემმა, მაგალითად, უფლებებით აღგვეჭურვა, რათა, ესე იგი, როგორც წესია, სახელმწიფო ბანკის საშუალებით, თანაც დაკანონებული რაოდენობის მარკები დაერთვება.

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე. ესე იგი, თქვენ გსურთ მიწის ყიდვა ბანკის მეშვეობით, ასეა, არა?

I გ ლ ე ხ ი. სწორედ ისე, როგორც თქვენ ზაფხულში ბრძანეთ. წარმოგებს, მაშასადამე, მთელი თანხა სულ ოცდათორმეტი ათასი რუბლამოცდაათხი მანეთი და მიწის საკუთრების შესყიდვა.

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე. ეს ასეა, მაგრამ დანამატის საქმე როგორ იქნება?

I გ ლ ე ხ ი. დანამატს რაც შეეხება, თემი გთხოვთ, როგორც ზაფხულში იყო ნათქვამი, გადავადებული იქნას, ესე იგი, ნაღდი ანგარიშით მიიღებთ, კანონიერი დებულებისამებრ, ოთხი ათას მანეთს სრულად.

I I გ ლ ე ხ ი. ესე იგი, ოთხი ათასი ახლა მიიღე, დანარჩენი კი დაგვაცალე.

I I I გ ლ ე ხ ი (თან ფულს ხსნის). ამისი კი იმედი გქონდეს, საკუთარ თავს ჩამოვალთ თავდებად, იმას კი არ ვიქმთ, ისე რო გამოვიდეს, ვთქვათ, ასე თუ ისე, არამედ, ვთქვათ, ისა... როგორც წესია,

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე. მაგრამ მე ხომ მოგწერეთ, თანახმა

ვარ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთელ ფულს შეაგროვებთ-მეთქი.

I გ ლ ე ხ ი. ნამდვილად, აგრე უფრო კარგი იქნებოდა, მაგრამ შესაძლებლობა არა გვაქვს, მაშასადამე.

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე. მაშ რაღა ვქნათ?

I გ ლ ე ხ ი. თემი, მაგალითად, იმ იმედზეა, ზაფხულში რო ბრძანეთ გადახდის გადავადება...

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე. ის შარშან იყო; მაშინ თანახმა ვიყავი, ახლა კი არ შემიძლია...

I I გ ლ ე ხ ი. ასე როგორ იქნება? დაგვიმედე, ქალაღიცი გავაკეთეთ, ფულიც შეგვკრიბეთ.

I I I გ ლ ე ხ ი. ჰყავი წყალობა, მამაო. მცირე მიწა გვაქვს, საქონელს ვინ ჩივის, ქათამი რო ქათამია, ვთქვათ, იმასაც ვერსად ვაუშვებ. (მდაბლად უკრავს თავს). ცოდვას ნუ იზამ, მამაო! (კვლავ თავს უკრავს).

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე. ამაში, ვთქვათ, მართალი ხართ, შარშან თანახმა ვიყავი გადავადებაზე, მაგრამ მერე ისეთი ვითარება შეიქმნა... ასე რომ, ახლა ეს საქმე ხელს არ მაძლევს.

I I გ ლ ე ხ ი. უამშიწოდ ჩვენ არ გვეცხოვრება.

I გ ლ ე ხ ი. ნამდვილად, უმიწოდ ჩვენი ცხოვრების დასუსტება და დაცემა მოხდება.

I I I გ ლ ე ხ ი (თავს უკრავს). მამაო! მცირე მიწა გვაქვს, საქონელს ვინ ჩივის, ქათამი რო ქათამია, იმის გასაშვები ადგილი აღარსად არი. მამაო! ჰყავი წყალობა. მიიღე ეს ფული, მამაო.

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე (ჯერ ქალაღს ავლებს თვალს). მე მესმის, თვითონაც მინდა კარგი გავიკეთოთ. დაიცადეთ. ნახევარი საათის შემდეგ მოგცემთ პასუხს. ფიოდორ, უთხარი, არავინ შემოუშვან.

ფ ი ო დ ო რ ი ვ ა ნ ი ს ძ ე. ძალიან კარგი.
ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე მიდის.

გაიხილა ოცდაათამდე

ი გ ი ნ ი ვ ე, ლეონიდ ფიოდორის ძის გარეშე. გლეხებს სასო წარკვეთიათ.

I I გ ლ ე ხ ი. დახეთ, როგორ წავიდა საქმე! მთელი ფული მოიტათო. არადა, სად უნდა იშოვო?

I გ ლ ე ხ ი. ზაფხულში მაინც არ დავეიმედებინეთ. ჩვენ იმ იმედზე ვიყავით, ნამდვილად, როგორც ზაფხულში იყო ნათქვამი.

I I I გ ლ ე ხ ი. ოჰ, ღმერთო! მე კი ფულის გახსნას შევეუდექი. (იწყებს ფულის შეხვევას). ახლა რაღა უნდა ვქნათ?

ფიოდორ ივანის ძე. მაინც რაშია თქვენი საქმე?

I გლეხი. ჩვენი საქმე, პატივცემულო, მაგალითად, აი, რაზეა და-
მოკიდებული: ზაფხულში გადავადება შემოგვთავაზა. თემიც ამ
აზრზე დადგა და უფლებებით აღგვჭურვა; ახლა კი, მაგალითად,
მთელ თანხას მთლიანად ითხოვს. არამც და არამც არ შეგვიძ-
ლია, აგრე გამოდის.

ფიოდორ ივანის ძე. ბევრი ფულია განა?

I გლეხი. მთელი ფული ოთხი ათასი მანეთი უნდა შემოვიდეს, მა-
შასადამე.

ფიოდორ ივანის ძე. რაღა უნდა ჰქნათ? — მიღეჲ-მოღეჲთ,
კიდევ შეაგროვეთ.

I გლეხი. ისედაც ჰაპან-წყვეტით მოვაგროვეთ. ამ საქმეში, ბატო-
ნო, მარტო მონდომება რას გვიშველის.

II გლეხი. არ არის და, კბილებით და ფრჩხილებით ხომ ვერ მოვ-
ბლოტნით.

III გლეხი. ბარემ კი გვინდა გულით და სულით, მაგრამ, ვთქვათ,
ესეც კაპიკ-კაპიკ გვაქვს ნაგროვები.

გამოსვლა ოცდაათე

იგინივე, ვასილი ლეონიდის ძე და პეტრიშხოვი
(კარებში დგანან, ორივეს პაპიროსი უჭირავს).

ვასილი ლეონიდის ძე. ხომ გითხარი, ვეცდები-მეთქი. ისე
ვეცდები, მეტი რომ არ შეიძლება. აბა, რა გინდა?

პეტრიშხოვი. გაიგე, თუ ვერ იშოვი, ეშმაკმა უწყის, რა საძაგ-
ლობა იქნება!

ვასილი ლეონიდის ძე. ხომ გითხარი, ვეცდები-მეთქი და
ვეცდები კიდევ. რაო?

პეტრიშხოვი. არაფერი. მხოლოდ იმას ვამბობ, უეჭველად იშო-
ვე-მეთქი. დავიცდი. (შედის ოთახში, კარს მიიხურავს).

გამოსვლა ოცდაათე

იგინივე, პეტრიშხოვის გარეშე.

ვასილი ლეონიდის ძე (ხელს ჩააქნევს). ეშმაკმა უწყის, რა
არა.

გლეხები თავს უკრავენ.

(უყურებს ნოქარს. ფიოდორ ივანის ძეს:) ამ ბურდიეს კაცს რატომ
არ გაუშვებთ? გადმოსახლდა ჩვენთან და ეგ არი. შეხედეთ,
ჩაეძინა. რაო?

ფიოდორ ივანის ძე. რა ვიცი, გადავეცი ბარათი და, დაიცი-
დოსო. როცა ანა პავლოვნა გამობრძანდება.

ვასილი ლეონიდის ძე (გლეხებს უყურებს და ფულზე შეა-
ჩერებს თვალს). ეს კი რაღაა? ფული? ეს — ვისა? ჩვენ მოგვი-
ტანეს? (ფიოდორ ივანის ძეს). ესენი ვინ არიან?

ფიოდორ ივანის ძე. კურსკელი გლეხები არიან, მიწას ყიდუ-
ლობენ.

ვასილი ლეონიდის ძე. მერე, გაყიდეთ?

ფიოდორ ივანის ძე. ვერა, ჯერჯერობით ვერ მორიგდნენ. ესაა,
რომ უჭერენ ფულს ხელს.

ვასილი ლეონიდის ძე. ჰა? დაიყოლიოთ უნდა. (გლეხებს).
თქვენ რაო, ყიდულობთ, ჰა?

I გლეხი. ნამდვილად, ჩვენ ვთავაზობთ, რომ მიწის მფლობელო-
ბის საკუთრება შევიძინოთ.

ვასილი ლეონიდის ძე. ჰოდა, ნუ ძუნწობთ. თქვენ იცით,
აგერ, მე გეტყვით, როგორ სჭირდება გლეხს მიწა! რაო? ძალიან
სჭირდება.

I გლეხი. ნამდვილად, მიწა გლეხისთვის მთავარი წყაროა. ეს აგრეა.

ვასილი ლეონიდის ძე. ჰოდა, ნულა ძუნწობთ. ხომ იცით, მი-
წა რა არის? მასზე ხომ, აგერ მე გეტყვით, ხორბლის დათესვა
შეიძლება რიგ-რიგებად. შეიძლება სამასი ფუთი აილო, ფუთი
მანეთი, სულ სამასი მანეთი. რაო?.. ანდა პიტნას დათესავ, აგერ
გეტყვით, ათას მანეთს ააფცქვნი ერთ დესეტინას!

I გლეხი. ნამდვილად, სავსებით სწორია, ვისაც გაგება აქვს, ყვე-
ლა პროდუქტი შეიძლება აწარმოო ნამდვილად.

ვასილი ლეონიდის ძე. ჰოდა, აუცილებლად პიტნა იყოს. მე
ხომ ნასწავლი მაქვს ეს. წიგნებშია დაბეჭდილი. გიჩვენებთ. რაო?

I გლეხი. ნამდვილად, წიგნებით თქვენ უკეთ იცით. გონიერება, მა-
შასადამე.

ვასილი ლეონიდის ძე. ჰოდა, იყიდეთ, ნუ ძუნწობთ, მოიტათ
ფული. (ფიოდორ ივანის ძეს). მამა სად არის?

ფიოდორ ივანის ძე. სახლშია. ითხოვა, ახლა არავინ შემაწუ-
ხოსო.

ვასილი ლეონიდის ძე. ალბათ, სულს ეკითხება, გავყიდო მი-
წა თუ არ გავყიდო? რაო?

ფიოდორ ივანის ძე. ეს არ შემიძლია გითხრათ. ის ვიცი, რომ
შეჭოჭმანებული წავიდა.

ვასილი ლეონიდის ძე. რას ფიქრობ, ფიოდორ ივანიჩ, აქვს
ფული? რაო?

ფიოდორ ივანის ძე. არ ვიცი. არა მგონი. რად გინდათ? აკი
წინა კვირას წაიღეთ საქმოდ დიდი თანხა.

ვასილი ლეონიდის ძე. ის ხომ ძაღლებისთვის მივეცი. ახლა კი აკი იცი: ახალი საზოგადოება გვაქვს, პეტრიშჩოვიც არჩეულია, მე პეტრიშჩოვს გამოვართვი ფული, ახლა კი მის მაგივრადაც და ჩემს მაგივრადაც უნდა შევიტანო. რაო?

ფიოდორ ივანის ძე. ეს რა ახალი საზოგადოებაა? ველოსიპედისტებისა?

ვასილი ლეონიდის ძე. არა, ახლავე გეტყვი: ეს ახალი საზოგადოებაა. ძალიან, მე შენ გეტყვი, სერიოზული საზოგადოებაა. იცი, ვინ არის თავმჯდომარე? რაო?

ფიოდორ ივანის ძე. მერედა, რა არის ეს ახალი საზოგადოება?

ვასილი ლეონიდის ძე. ძველებური, რუსული ხშირბალნიანი ძაღლების მოშენების წამახალისებელი საზოგადოება. რაო? აგერ გითხრა: ახლა პირველი სხდომა და საუზმე გვაქვს. ესაა, რომ ფული არ არის! შევალ, ბედს ცვდი. (შედის კარებში).

გამოსვლა ოცდაათათ

გლეხები, ფიოდორ ივანის ძე და ნოქარი.

I გლეხი (ფიოდორ ივანის ძეს). ეს ვინ ბრძანდება, პატივცემულო ფიოდორ ივანის ძე: (ღიმილით). ახალგაზრდა ბატონია.

III გლეხი. მემკვიდრე, მაშასადამე. ო, ღმერთო! (ფულს მალავს) ეტყობა, ავკრიფთ უნდა ჯერჯერობით.

I გლეხი. ჩვენ კი გვითხრეს, სამხედროაო, კავალერიაში მსახურობსო, მაგალითად.

ფიოდორ ივანის ძე. არა, განთავისუფლებულია სამხედრო ვალდებულებისაგან, როგორც ერთადერთი ვაჟიშვილი.

III გლეხი. ვთქვათ, მშობლების სარჩენად არი დატოვებული. ეს სწორია.

II გლეხი (თავს აქნევს). ეს არჩენს, იმდენი რა გითხრა.

III გლეხი. ო, ღმერთო!

გამოსვლა ოცდაათერთათ

ფიოდორ ივანის ძე, სამი გლეხი, ვასილი ლეონიდის ძე, მას მოჰყვება ლეონიდ ფიოდორის ძე, კართან დგას.

ვასილი ლეონიდის ძე. მუდამ ასეა. საოცარია მართლაც. ხს მეუბნებიან, რატომ არაფერს აკეთებო, მაგრამ როცა აი, საქმენახე და დაკავებული ვარ, სერიოზული საზოგადოება დაფუძნდა, კეთილშობილური მიზნების მქონე, ახლა რაღაც სამასი მანეთი გენანებათ!..

ლეონიდ ფიოდორის ძე. გითხარი, არ შემიძლია-მეთქი, და არ შემიძლია. არა მაქვს.

ვასილი ლეონიდის ძე. მიწა ხომ გაყიდეთ.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ჯერ ერთი, არ გამოყიდე, და, რაც მთავარია, დამანებე თავი. ხომ გითხრეს, რომ არა მცალია. (კარს მიიჯახუნებს).

გამოსვლა ოცდაათორმეათ

იგინივე, ლეონიდ ფიოდორის ძის გარეშე.

ფიოდორ ივანის ძე. ხომ გითხარით, ახლა არ არის მაგისი დრო-მეთქი.

ვასილი ლეონიდის ძე. როგორი ვითარებაა, მე შენ გეტყვი, ჰა? წავალ, დედას მივაკითხავ, ერთადერთი ხსნის გზა ეს არის. თორემ სულელობს ამ თავისი სპირიტუზმით და ყველა დაივიწყა. (ზემოთ მიდის).

ფიოდორ ივანის ძე ის-ისაა, გაზეთს უნდა ჩაუჯდეს.

გამოსვლა ოცდაათცამათ

იგინივე. ზემოდან ჩამოდინ ბეტსი და მარია კონსტანტინის ასული. მათ შემდეგ გრიგორი.

ბეტსი. კარეტა მზადაა?

გრიგორი. უკვე გამოდის.

ბეტსი (მარია კონსტანტინის ასულს). წამოდით, წამოდით! ის არის, მე დავინახე.

მარია კონსტანტინის ასული. ვინ ისა?

ბეტსი. ძალიან კარგად იცი, რომ პეტრიშჩოვია.

მარია კონსტანტინის ასული. მერედა, სად არის?

ბეტსი. ვოვოსთან ზის. აი ნახავთ.

მარია კონსტანტინის ასული. ვთქვათ და, ის არ იყოს? გლეხები და ნოქარი მათ თავს უქრავენ.

ბეტსი (ნოქარს). აჰ, თქვენ ბურღივან არა ხართ, კაბა რომ მოიტანეთ?

ნოქარი. დიახ. ბრძანეთ, გამიშვან.

ბეტსი. მე არ ვიცი, დედაჩემის საქმეა.

ნოქარი. ვერ გავიგე, ვის მივმართო. მოტანა მაქვს ნაბრძანები და ფულის მიღება.

ბეტსი. ჰოდა, დაცადეთ.

მარია კონსტანტინის ასული. ეს კვლავ ის შარადის კოსტიუმი?

ბეტსი. ჰო, მშვენიერი კოსტიუმი. დედაჩემი კი არ იძენს, ფულის გადახდა არ უნდა.

მარია კონსტანტინის ასული. რატომ მერე?

ბეტსი. მიღით და ჰკითხეთ დედაჩემს. ვოვოსთვის ძვირი არ არის ძაღლებში ხუთასი მანეთის გადახდა, კაბის ასი მანეთი კი ძვირია. საფრთხობელასავით ხომ ვერ გამოვალ! (გლეხებს შეხედავს). ესენი ვინა არიან?

გრიგორი. გლეხები არიან, რაღაც მიწას ყიდულობენ.

ბეტსი. მე კი მონადირეები მეგონა. თქვენ მონადირეები არა ხართ?

I გლეხი. სრულიადაც არა, ქალბატონო. ჩვენ ლეონიდ ფიოდორი-თანა ვართ, მიწის სყიდვის აქტის აღსრულების თაობაზე.

ბეტსი. როგორ, ვოვოსთან აკი მონადირეები უნდა მოსულიყვნენ? თქვენ ალბათ მონადირეები არა ხართ?

გლეხები ღუპან.

რა ბრიყვები არიან! (კართან მიდის) ვოვო! (ხარხარებს).

მარია კონსტანტინის ასული. ეგ ხომ ჩვენ ახლახან ვნახეთ.

ბეტსი. ნეტავი შენ, როგორ გახსოვს!.. ვოვო, აქა ხარ?

გამოსვლა ოცდაათოთხეათი

იგინივე და პეტრიშოვი.

პეტრიშოვი. ვოვო არ არის, მაგრამ მზად ვარ მის მაგივრად შევასრულო ყველაფერი, რაც კი საჭიროა. გამარჯობათ! გამარჯობათ, მარია კონსტანტინოვნა! (დიღხანს, მაგრად ართმევს ხელს ჯერ ბეტსის, მერე მარია კონსტანტინოვნას).

II გლეხი. შეხეთ, თითქოსდა წყალს ტუმბავს.

ბეტსი. ვოვოს მაგივრობას ვერ გასწევთ, მაგრამ არაობას მაინც სჯობს. (ხარხარებს) რა არის, რა საქმეები გაქვთ ვოვოსთან?

პეტრიშოვი. რა საქმეები? ფი-ნანსური საქმეები, ანუ ფი-საქმეები! ამასთან კიდევ ნანსური, და ამას გარდა კიდევ ფინანსური საქმეები.

ბეტსი. ნანსური რაღას ნიშნავს?

პეტრიშოვი. საკითხავიც ეგ არის! უბედურება ისაა, რომ არაფერსაც არ ნიშნავს!

ბეტსი. ეს კი არ გამოგივიდათ, სულ არ გამოგივიდათ! (ხარხარებს).

პეტრიშოვი. ხომ არ შეიძლება, ყოველთვის გამოუვიდეს კაცს. ეს რაღაც ალეგორის მსგავსია. ალეგრი, ალეგრი, და მერე — მოგება.

ფიოდორ ივანის ძე ლეონიდ ფიოდორის ძის კაბინეტში შედის.

გამოსვლა ოცდაათხუთეათი

იგინივე, ფიოდორ ივანის ძის გარეშე.

ბეტსი. ეს აღარ გამოგივიდათ; ახლა ისა თქვით, გუშინ მერგასოვებთან იყავით?

პეტრიშოვი. იმდენად mère Gassof-თან არ ვიყავი, რამდენადაც père Gassof-თან, და არც père Gassof-თან, არამედ fils Gassof¹-თან.

ბეტსი. არ შეგიძლიათ jeu de mots-ის² გარეშე? ეს ავადმყოფობაა. ბოშებიც იყვნენ? (იცინის).

პეტრიშოვი (მღერის). წინსაფრებზე მამლები, ოქროს სავარცხლიანი!..

ბეტსი. რაოდენ ბედნიერები ხართ! ჩვენ კი ფოფოსთან ვისხედით მოწყენილები.

პეტრიშოვი (სიმღერას განაგრძობს). გეფიცები, მამყოფე შენთან... შემდეგ როგორ არის? მარია კონსტანტინოვნა, შემდეგ როგორ არის?

მარია კონსტანტინის ასული. შენთან ერთი საათით...

პეტრიშოვი. როგორ? როგორ, მარია კონსტანტინოვნა? (ხარხარებს).

ბეტსი. Cesser, vous devenez impossible!³

პეტრიშოვი. Si cesse, j'ai bebe, j'ai dede...⁴

ბეტსი. ერთ საშუალებას ვხედავ თქვენი მახვილსიტყვაობისგან თავდასახსნელად — უნდა გამღეროთ. წავიდეთ ვოვოს ოთახში, გიტარაც აქვს. წამოღით, მარია კონსტანტინოვნა, წამოღით!

ბეტსი, მარია კონსტანტინის ასული და პეტრიშოვი ვასილი ლეონიდის ძის ოთახში შედიან.

¹ კალამბური: იმდენად დედილო გასოვასთან არა, რამდენადაც მამილო გასოვას, და არც მამილო გასოვასთან, არამედ ვაჟიშვილ გასოვასთან.

² სიტყვათა თამაში (ფრანგ.).

³ გაჩერდით, აუტანელი ხდებით! (ფრანგ.).

⁴ J'ai cessé (ფრანგ.) — გავჩემდი. მერე კალამბური. J'ai bébé (ფრანგ.) —

სიტყვისიტყვი: ჩვილი მყავს.

გამოსვლა ოცდაათეპანამებ

გრიგორი, სამი გლეხი და ნოქარი.

I გლეხი. ეგენი ვისები არიან?

გრიგორი. ერთი ბატონის ასული გახლავთ, მეორე — მამზელია, მუსიკას ასწავლის.

I გლეხი. მეცნიერებას ქმნის, მაშასადამე. თანაც რა აკურატულია. პატრეტია ნამდვილი.

II გლეხი. რატომ არ გაათხოვებენ? ალბათ, ასაკიც გაუვიდა უკვე. გრიგორი. განა თქვენსავით არის, თხუთმეტი წლისას რომ ათხოვებთ ხოლმე!

I გლეხი. ის ყმაწვილი კი, მაგალითად, მუსიკოსი იქნება?

გრიგორი (გამოაჯავრებს). მუსიკოსიო!.. არაფერი არ გაგეგებათ!

I გლეხი. ეს, ნამდვილად, სიბრძნეა ჩვენი, მაშასადამე, ჩვენი გაუნათლებლობა.

III გლეხი. ოჰ, ღმერთო!

გასილი ლეონიდის ძის ოთახიდან მოისმის ბოშური სიმღერები და გიტარის ჟღერა.

გამოსვლა ოცდაათეპანამებ

გრიგორი, სამი გლეხი, ნოქარი, შემოდის სემიონი, მას ტანია მოჰყვება. აკვირდება მამა-შვილის შეხვედრას.

გრიგორი (სემიონს). რა იყო?

სემიონი. ბატონი კაპიჩთან გამგზავნეს.

გრიგორი. მერე რაო?

სემიონი. მიბრძანეს სიტყვიერად გადმომეცა, ახლა არაფრით არ შემოიძლია მოსვლაო.

გრიგორი. კარგი, მოვახსენებ. (მიდის).

გამოსვლა ოცდაათეპანამებ

იგინივე, გრიგორის გარეშე.

სემიონი (მამას). გამარჯობა, მამა-ბატონო! ძია ეფიმს, ძია მიტრის — სალამი! შინ ხომ კარგად არიან?

II გლეხი. კარგად, სემიონ.

I გლეხი. კარგად, ძმობილო.

III გლეხი. კარგად, ყმაწვილო. რას შვრები, ცოცხალი ხარ?

სემიონი (ღიმილით). რა ვქნათ, მამა-ბატონო არ წავიდეთ, ჩაი არ დაველიოთ?

II გლეხი. დაიცა, საქმე გვაქვს მოსათავებელი, განა ვერა ხედავ, არა გვცალია ახლა?

სემიონი. კარგი, აივანთან დაგელოდებით. (მიდის).

ტანია (სირბილით მისდევს). რატომ არაფერი არ უთხარი?

სემიონი. ახლა როგორ უნდა მეტყვა, ხალხში? დამაცა, ჩაის დასალევად წავალთ და ვეტყვი. (ვადის).

გამოსვლა ოცდაათეპანამებ

იგინივე, სემიონის გარეშე. გამოდის ფიოდორ ივანის ძე და ფანჯარასთან გაზეთს ჩაუჯდება.

I გლეხი. რაო, პატივცემულო, როგორ წარმოებს ჩვენი საქმე?

ფიოდორ ივანის ძე. დაიცადეთ, ახლავე გამოვა, ამთავრებს.

ტანია, (ფიოდორ ივანის ძეს). თქვენ საიდან იცით, ფიოდორ ივანიჩ, რომ ამთავრებს?

ფიოდორ ივანის ძე. ის ვიცი, როცა კითხვებს დაამთავრებს, მერე ხმამალა გადაიკითხავს კითხვებსა და პასუხებს.

ტანია. ნუთუ მართალია, თეფშით სულელებთან შეიძლება ლაპარაკი?

ფიოდორ ივანის ძე. მაშასადამე, შეიძლება..

ტანია. ჰოდა, თუკი ისინი ეტყვიან, ხელი მოაწერეო, მოაწერს?

ფიოდორ ივანის ძე. მაშ როგორ?

ტანია. მაგრამ ისინი ხომ სიტყვებით არ ლაპარაკობენ?

ფიოდორ ივანის ძე. ანბანით ლაპარაკობენ. დანახავს, რომელი ანბანის პირდაპირ გაჩერდება.

ტანია. მაშინ როგორაა, როცა სიანსია ხოლმე?..

გამოსვლა მეორეოცე

იგინივე და ლეონიდ ფიოდორის ძე.

ლეონიდ ფიოდორის ძე. აბა, ჩემო მეგობრებო, არ შემოიძლია. ძალიან მინდოდა, მაგრამ არასგზით არ შემოიძლია. მთელი ფული რომ იყოს, მაშინ სხვა ამბავია.

I გლეხი. ეს ნამდვილად, ამას რა სჯობდა. მაგრამ შეძლება არა აქვს ხალხს, თავს ზემოთ ძალა არ არის.

ლეონიდ ფიოდორის ძე. არ შემოიძლია, არასგზით არ შემოიძლია. აგერ, თქვენი ქალაქი. არ შემოიძლია ხელის მოწერა.

III გლეხი. შეგვიცოდეთ, ბატონო, წყალობა გვიყავი!

II გლეხი. ასე რად უნდა ვქნათ? საწყენია ეს.

მ. ლ. ტოლსტოი

ლეონიდ ფიოდორის ძე. არაფერი საწყენი არ არის, ძმებო. მე თქვენ ვითხარით მაშინ, ზაფხულში: თუ გინდათ, ჰქენით-მეთქი. თქვენ არ ისურვეთ, ახლა კი ჩემთვის არ შეიძლება.

III გლეხი. ბატონო! ქენი სიკეთე. აწი რანაირად უნდა ვიცხოვროთ? მიწა ცოტა გვაქვს, საქონელს ვინ ჩივის, ქათამი რო ქათამია, ვთქვათ, იმასაც ვერსად გაუშვებ.

ლეონიდ ფიოდორის ძე მიდის და კარებში ჩერდება.

გამოსვლა ორმოცდაათათ

იგინივე, ზემოდან ჩამოდიან ქალბატონი და ექიმი. მათ მოჰყვება ვასილი ლეონიდის ძე, მხიარულ ხასიათზეა, საფულეში ფულს იდებს.

ქალბატონი. (ტანსაცმელში გამოკვართულა, შლაბა ახურავს) მასადამე, დავლიო?

ექიმი. თუკი განმეორებითი მოვლენები გექნებათ, აუცილებლად დალიეთ. რაც მთავარია, უკეთ მიხედეთ თავს. თორემ როგორ გინდათ, სქელი შარბათი თმისტოლა მილაკში გავიდეს, თანაც თუ ამ მილაკსაც თავს დავუცობთ? ხომ არ შეიძლება? ასევეა ნადვლის სადინარიც. ეს ხომ უბრალო ამბავია.

ქალბატონი. მაშ, კარგი, კარგი.

ექიმი. ამბობთ, კარგო, არადა ყველაფერი ძველებურადაა; ასე არ შეიძლება, ქალბატონო, არ შეიძლება. აბა, მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ქალბატონი. ნუ გამომემშვიდობებით, ნახვამდის. საღამოს მინც გელოდებით; უთქვენოდ ვერ ვიზამ.

ექიმი. კარგი, კარგი. თუკი მოვიცალე, შემოვივლი, (მიდის).

გამოსვლა ორმოცდაათორე

იგინივე, ექიმის გარეშე.

ქალბატონი (დაინახავს გლეხებს). ეს რა არის? რა არის ეს? ეს რა ხალხია?

გლეხები თავს უკრავენ.

ფიოდორ ივანის ძე. კურსკელი გლეხები არიან, ლეონიდ ფიოდორიჩთან მოვიდნენ, მიწის ყიდვა უნდათ.

ქალბატონი. ვხედავ, რომ გლეხები არიან, მაგრამ ვინ შემოუშვა ესენი?

ფიოდორ ივანის ძე. ლეონიდ ფიოდორიჩმა ბრძანა. ახლახანს ელაპარაკა ამათ მიწის გაყიდვის თაობაზე.

ქალბატონი. რა გაყიდვა, რის გაყიდვა! გაყიდვა სულაც არ არის საქირო. რაც მთავარია — როგორ შეიძლება ქუჩიდან ხალხის შემოშვება! როგორ შეიძლება ქუჩიდან ხალხის სახლში შემოშვება! არ შეიძლება შინ შემოუშვათ ისეთი ხალხი, ვინც, ღმერთმა უწყის, სად ათევს ღამეს... (უფრო და უფრო ცხარდება). ტანსაცმლის ყოველი ნაკეცი, ალბათ, მიკრობებითა აქვთ საცხე: ქუნთრუმის მიკრობები, ყვავილის მიკრობები, ხუნაგის მიკრობები! ესენი ხომ კურსკელები არიან, კურსკის გუბერნიიდან, სადაც ხუნაგია მოდებული!.. ექიმო, ექიმო! მოაბრუნეთ ექიმი!

ლეონიდ ფიოდორის ძე გადის და კარს მიიკეტავს. გრიგორი ექიმის მოსაყვანად მიდის.

გამოსვლა ორმოცდაათათ

იგინივე, ლეონიდ ფიოდორის ძისა და გრიგორის გარეშე.

ვასილი ლეონიდის ძე (გლეხებს თამბაქოს კვამლს აბოლებს). არაფერია, დედა, გინდათ, ისე შევეუბნოლო სამივეს, რომ ყველა მიკრობი — კაპუტ? რაო?

ქალბატონი ექიმის დაბრუნებას ელის და მკაცრად დუმს.

(გლეხებს.) თქვენ ღორებს თუ ასუქებთ? აი, რა არის მომგებიანი საქმე!

I გლეხი. ნამდვილად, ღორების მხრივაც ვმუშაობთ ხოლმე.

ვასილი ლეონიდის ძე. აი, ასეთებს... ღრუტ, ღრუტ! (გოჭივით ჰყვიტინებს).

ქალბატონი. ვოვო, ვოვო! მორჩი!

ვასილი ლეონიდის ძე. ჰგავს, არა? რაო?

I გლეხი. ნამდვილად, მსგავსებაა.

ქალბატონი. ვოვო, მორჩი-მეთქი!

II გლეხი. რაღად გვინდა ეს ამბავი?

III გლეხი. ვამბობდი, ჯერ ღუქანში შევიდეთ-მეთქი.

გამოსვლა ორმოცდაათათ

იგინივე, ექიმი და გრიგორი.

ექიმი. აბა, კიდევ რა რის? რა ამბავია?

ქალბატონი. აი, თქვენ ამბობთ, ნუ აღელდებითო. აბა, ასეთ დროს როგორ ვიყო მშვიდად? საკუთარ დას ვერ ვნახულობთ თვეში ერთხელ, ყოველ საეჭვო მომსვლელს ვერიდებთ. და უცებ კურსკიდან მოდის ხალხი, პირდაპირ კურსკიდან, სადაც ხუნაგია მოდებული, შუაგულ ჩემს სახლში!

ექიმი. ამ ვაჟაკებზე ამბობთ, არა?

ქალბატონი. დიახ, პირდაპირ ხუნავიანი ადგილიდან არიან!
ექიმი. თუ ხუნავიანი ადგილიდან არიან, რასაკვირველია, საფრთხი-
ლოა, მაგრამ მეტისმეტი აღელვება მაინც არ არის საჭირო.

ქალბატონი. აკი თქვენ თვითონ მითხარით, ფრთხილად იყავითო?
ექიმი. ჰო, მაგრამ აღელვება მაინც არ გინდათ.

ქალბატონი. როგორ არ აღელვდე, როცა სრული დეზინფექციაა
საჭირო.

ექიმი. არა, სრული რად გინდათ, მეტისმეტად ძვირი, სამასი მანე-
თი, ანდა მეტიც დაგიჯდებათ. მე კი იაფად და გულიანად მო-
გიგვარებთ საქმეს. აიღეთ ერთი დიდი ბოთლი წყალი...

ქალბატონი. გამოხდილი?

ექიმი. სულ ერთია. გამოხდილი სჯობს... ასე, ერთ ბოთლ წყალს
ერთი სუფრის კოვზი სალიცილის მჟავა გაურიეთ და ყველაფე-
რი მორეცხეთ, რასაც კი გაეკარნენ, თვითონ ეს ვაჟაკები კი,
რასაკვირველია, გარეთ მიაბრძანეთ. მორჩა და გათავდა. ნურაფ-
რის შიში ნუ გექნებათ. იგივე შემადგენლობა, ასე, ორი-სამი ჭი-
ქა, პულვერიზატორით გააშხეფეთ ჰაერში და ნახავთ, რა კარგად
იქნება ყველაფერი. სავსებით უსაფრთხო იქნება!

ქალბატონი. ტანია სად არის? დაუძახეთ ტანიას!

გამოსვლა ორმოცდაათეუთა

იგინივე და ტანია.

ტანია. რას მიბრძანებთ?

ქალბატონი. ხომ იცი დიდი ბოთლი, საპირფარეშოში რომ არის?

ტანია. რომლითაც აი, გუშინ მრეცხავ ქალს ასხურეთ?

ქალბატონი. ჰო, სხვა რომელი იქნება! ჰოდა, აიღე ეს ბოთლი,
ჯერ იქვე გარეცხე საპნით, მერე იმითი...

ტანია. მესმის, ქალბატონო. ვიცი, როგორც უნდა.

ქალბატონი. მერე აიღე პულვერიზატორი... თუმცა, დავბრუნდე
ბი და თავად ვიზამ.

ექიმი. ეგრე ჰქენით და ნურაფრის შიში ნუ გექნებათ. აბა, ნახეამ
დის, საღამომდე. (გაღის).

გამოსვლა ორმოცდაათეუთა

იგინივე, ექიმის გარეშე.

ქალბატონი. ესენი კი გააგდეთ, გააგდეთ, სახსენებელი არ ვნ
ხო აქ მავათი. მიდით, რაღას უყურებთ?

I გლეხი. ნამდვილად, ჩვენ ეგრე სიბრყივეთ, როგორც გვჩვენია...

გრიგორი (გლეხებს აძევებს). აბა, აბა, მიდით, მიდით.
II გლეხი. ჩემი ხელსახოცი მომე!
III გლეხი. ოჰ, ღმერთო! ხომ ვამბობდი, ჯერ დუქანში შევიდეთ-
მეთქი.

გრიგორი ხელს ჰკრავს და გარეთ ავდებს.

გამოსვლა ორმოცდაათეუთა

ქალბატონი, გრიგორი, ფიოდორ ივანის ძე,
ტანია, ვასილი ლეონიდის ძე და ნოქარი.

ნოქარი. (რამდენჯერმე ცდილობს, ქალბატონს სიტყვა შეასმინოს).
რა პასუხი იქნება?

ქალბატონი. აჰ, ეს ბურდიესგანაა? (გაცხარებით). არაფერი, არა-
ფერი პასუხი, უკანვე წაიღეთ. მე მას ვუთხარი, რომ ასეთი კოს-
ტიუმი არ შემიკვებია და ქალოშვილსაც არ მივცემ მაგის ჩაც-
მის უფლებას.

ნოქარი. მე არაფერი ვიცი, გამომგზავნეს.

ქალბატონი. მიბრძანდით, მიბრძანდით და უკანვე წაიღეთ. თვი-
თონვე გამოვივლი.

ვასილი ლეონიდის ძე (საზეიმოდ). ბატონო ბურდიეს შიკ-
რიკო, მიბრძანდით!

ნოქარი. ადრე გეთქვათ. რას ვიჯექი ხუთი საათი?

ვასილი ლეონიდის ძე. ბურდიეს დესპანო, მიბრძანდით!

ქალბატონი. გაჩუმდი, გეთაყვა.
ნოქარი მიდის.

გამოსვლა ორმოცდაათეუთა

იგინივე, ნოქრის გარეშე.

ქალბატონი. ბეტსი! სად არის? მუდამ უნდა გვალოდინოს.

ვასილი ლეონიდის ძე (მთელი ხმით ყვირის). ბეტსი! პეტ-
რიშკოვ! მოდით მალე! მალე! მალე! რაო?

გამოსვლა ორმოცდაათეუთა

იგინივე, პეტრიშკოვი, ბეტსი და მარია
კონსტანტინის ასული.

ქალბატონი. მუდამ უნდა გიცადოთ.

ბეტსი. პირიქით, მე გელოდებით.

პეტრიშკოვი თავს უკრავს ქალბატონს და ხელზე კოცნის.

ქალბატონი. გამარჯობათ! (ბეტსის). პასუხი მუდამ მზადა გაქვს!
ბეტსი. დედა, თუ ხასიათზე ვერა ხართ, სჯობს, მე არ წამოვალ.

ქალბატონი. მივდივართ თუ არ მივდივართ?

ბეტსი. რა გავწყობა, წავიდეთ, მეტი რა გზაა?

ქალბატონი. ბურღიეს კაცი ნახეთ?

ბეტსი. ვნახე და ძალიანაც გამიხარდა. მე შევეუკვეთე კოსტიუმი და კიდევ ჩავიცვამ, როცა ფულს გადაიხდიან.

ქალბატონი. არც გადავიხდი და არც უხამსი კოსტიუმის ჩაცმის ნებას მოგცემ.

ბეტსი. როდის მერე გახდა უხამსი? უხამსი არ იყო, მაგრამ pruderie გჭირთ და ისაა.

ქალბატონი. pruderie კი არა, მთელი ლიფი უნდა გადაკეთდეს, მერე შეიძლება.

ბეტსი. დედა, ეს შეუძლებელია, დამიჯერეთ.

ქალბატონი. აბა, ჩაიცვი ბარემ.

სხდებიან. გრიგორი ბოტებს იცვამს.

ვასილი ლეონიდის ძე. მარია კონსტანტინოვნა! თქვენ თუ ამჩნევთ, რა სიცარიელეა ოთახში?

მარია კონსტანტინეს ასული. რაო? (წინასწარ იცინის).

ვასილი ლეონიდის ძე. რა და ბურღიეს კაცი წავიდა. რაო? (ხარხარებს). კარგია?

ქალბატონი. აბა, მივდივართ. (გადის ოთახიდან, მაგრამ მაშინვე ბრუნდება). ტანია!

ტანია. რას მიბრძანებთ?

ქალბატონი. ფიფკა არ გააცივოთ უჩემოდ. თუ გარეთ გასვლა მოითხოვოს, აუცილებლად ყვითელი კაპოტი ჩააცვიოთ. მთლად კარგად ვერ არის.

ტანია. გისმენთ, ქალბატონო.

ქალბატონი, ბეტსი და გრიგორი მიდიან.

გამოსვლა ორმოცდაათე

პეტრიშჩოვი, ვასილი ლეონიდის ძე,

ტანია და ფიოდორ ივანის ძე.

პეტრიშჩოვი. რა ჰქენი, იშოვე?

ვასილი ლეონიდის ძე. მართალი გითხრა, გაჭირვებით. ჯერ მამა-მშობელს შევეუძვერი — აყვირდა და გამომაგდო, მერე დედა-მშობელს მივადექი, ჰოდა, ვიშოვე. აქა მაქვს! (ჯიბეზე ხელს ირ-

ტყამს). მე თუ რამეს მოგვიდეს ხელი, მორჩა, ვერ გამაშვებინებ... მაგარი კბილი მაქვს. რაო? ახლა ხომ ჩემს მგელზე მონადირე ძაღლებს მოიყვანენ.

პეტრიშჩოვი და ვასილი ლეონიდის ძე იცვამენ და მიდიან.
მათ ტანია მიჰყვება.

გამოსვლა ორმოცდაათეორთე

ფიოდორ ივანის ძე, მარტო.

ფიოდორ ივანის ძე. ჰო, გამუდმებით უსიამოვნებებია ხოლმე. რატომ არ შეუძლიათ თანხმობით ცხოვრება? მართალი რომ ვთქვა, ახალი თაობაც ვერ არის... ახლა ქალების მეუფება? აგერ, ლეონიდ ფიოდოროვიჩს ჩარევა უნდოდა, მაგრამ დაინახა, ქალბატონი ექსტაზში იყო შესული და კარი მიიკეტა. იშვიათი სიკეთის კაცია! დიახ, იშვიათი სიკეთის... ეს რაღაა? ტანიას ისევ მოჰყავს ის ხალხი.

გამოსვლა ორმოცდაათორთე

ფიოდორ ივანის ძე, ტანია და სამი გლეხი.

ტანია. მოდით, მოდით, ძიებო, არაფერია.

ფიოდორ ივანის ძე. ისევ რად მოიყვანე ესენი?

ტანია. აბა რა ვქნა, ფიოდორ ივანიჩ, ბატონო, როგორმე ხომ უნდა დავეხმაროთ. მერე ერთად მოვრეცხავ ყველაფერს.

ფიოდორ ივანის ძე. მაგრამ არ გამოვა ეგ საქმე, მე ხომ ვიცი.

I გლეხი. როგორ უნდა გაკეთდეს, პატივცემულო, ჩვენი საქმე? თქვენ შეიწყუხეთ როგორმე თავი, თქვენო მალაღლირსებავ, ჩვენ კი თემის სახელით ზრუნვის ჯილდოდ მაღლობას მოგაგებთ საესებით.

II გლეხი. მოინდომე, შევარდენო, აღარ გვეცხოვრება, მცირე მიწა გვაქვს, საქონელს ვინ ჩივის, ქათამი რო ქათამია, იმასაც ვერსად გაუშვებ კაცი.

თავს უკრავენ.

ფიოდორ ივანის ძე. კი მეცოდებით, ძმებო, მაგრამ არ ვიცი, რა გიყოთ. მე ხომ კარგად მესმის თქვენი გაჭირვება. მაგრამ აკი იცით, უარი თქვა. ახლა რა უნდა ვქნათ? თანაც ქალბატონიც უარზეა. არა მგონია, რამე გამოვიდეს! აბა, მომეცით ქალაღლი, წავალ, შევეცდები, ვთხოვ. (მიდის).

¹ გადაჭარბებული მორცხვობა (ფრანგ.).

ტანია და სამი გლეხი (ოხრავენ).

ტანია. მე მითხარით ბარემ, ძიაკაცებო, რა არის საჭირო?

I გლეხი. აი, ხელი რომ მოაწეროს მხოლოდ.

ტანია. ბატონმა ქალაქს ხელი რომ მოაწეროს, არა?

I გლეხი. მეტი არაფერი, მოაწეროს ხელი და ფული გამოგვართვას, მომთავრდება საქმე.

III გლეხი. მხოლოდ დაწეროს: როგორც, ვთქვათ, გლეხებს სურთ, მეც ასევე მსურსო. სულ ეგ არი: აილო, მოაწერა ხელი და მორჩა.

ტანია. მარტო ხელის მოწერა? ქალაქს ბატონმა მოაწეროს ხელი? (ჩაფიქრდება).

I გლეხი. ნამდვილად, მხოლოდ ამაზე ჰკიდია საქმე. მოაწერა ხელი, მაშასადამე, და მეტი არაფერი.

ტანია. დაიცადეთ ჯერ, ვნახოთ, ფიოდორ ივანიჩი რას იტყვის. თუკი ვერ დაიყოლიებს, მე ერთ ოინს მოვსინჯავ.

I გლეხი. გააბრყვებ?

ტანია. ვეცდები.

III გლეხი. დახეთ გოგოს, მოხმარება უნდა. შენ ეგ საქმე გააკეთე და, მთელი შენი ღლე და მოსწრება თემი შეგინახავს, ვალდებულობას ვკისრულობთ. მაშ!

I გლეხი. ასეთ საქმეს რომ თავი მოაბა, ნამდვილად ოქროში შეიძლება ჩასვა ადამიანი.

II გლეხი. რაღა თქმა უნდა!

ტანია. ნაღდად გავაკეთებ-მეთქი, ამის პირობას ვერ მოგცემთ, მაგ რამ აკი ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრეაო, ჰოდა...

I გლეხი. თანაც, ეძიებდენ და ჰპოვებდენო. ნამდვილად ეგრეა.

გამოსვლა ორმოცდამეთერთმეტე

იგინივე და ფიოდორ ივანის ძე.

ფიოდორ ივანის ძე. არა, ძმებო, არ გამოდის თქვენი საქმე არ თანხმდება და არც დათანხმდება. აიღეთ ქალაქი. წადით წადით.

I გლეხი (ართმევს ქალაქს: ტანიას). მეტი რა, შენს იმედზე ვიქნებით, მაგალითად.

ტანია. ახლავე, ახლავე. თქვენ წადით, გარეთ დაიცადეთ, მეც წუთას გამოვირბენ, გეტყვით, თუ რამე იქნა.

გლეხები გადიან.

ფიოდორ ივანის ძე და ტანია.

ტანია. ფიოდორ ივანიჩი, შენი ჰირიმე, მოახსენეთ ბატონს, რომ ჩემთან გამოვიდეს. ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი.

ფიოდორ ივანის ძე. ეს რაღა ახალი ამბავია?

ტანია. საჭიროა, ფიოდორ ივანიჩი. მოახსენეთ, გეთყვავ, ცუდი არაფერია, ღმერთმანი.

ფიოდორ ივანის ძე. ისეთი რა საქმეა?

ტანია. პატარა საიდუმლოა. მერე გეტყვით. თქვენ მხოლოდ მოახსენეთ.

ფიოდორ ივანის ძე (ღიმილით). ვერ გამიგია რა. მაქვს გუნებაში. კარგი, ვეტყვი, ვეტყვი. (მიდის).

გამოსვლა ორმოცდამეთექვსმეტე

ტანია, მარტო.

ტანია. მართლა გავაკეთებ. აკი თავად თქვა, სემიონში ძალა არისო, ჰოდა, მე ხომ ყველაფერი ვიცი, რა უნდა ვქნა. ოღონდ არავინ მიხვდეს და ჯერ სემიონს ვასწავლი. არაფერი გამომიგია და არც ესაა დიდი უბედურება. რამე ცოდვას ხომ არ ჩავდივარ!

გამოსვლა ორმოცდამეჩვიდმეტე

ტანია, ლეონიდ ფიოდორის ძე და მათ შემდეგ ფიოდორ ივანის ძე.

ლეონიდ ფიოდორის ძე (ღიმილით). აი, ესეც მოხვენელი! აბა, ისეთი რა საქმე მაქვს?

ტანია. პატარა საიდუმლო მაქვს, ლეონიდ ფიოდოროვიჩი. ნება მიბოძეთ, პირისპირ გელაპარაკოთ.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ასეა? ფიოდორ, გადი ერთი წუთით.

გამოსვლა ორმოცდამეთვრამეტე

ლეონიდ ფიოდორის ძე და ტანია.

ტანია. თქვენს სახლში ვცხოვრობდი, ლეონიდ ფიოდოროვიჩი, აქ გავიზარდე, ყველაფრისთვის დიდი მადლობელი ვარ თქვენი, ამიტომაც ისე გამოგიტყდებით, როგორც შშობელ მამას. სემიონი ცხოვრობს აქ, ჩემი ცოლად შერთვა უნდა.

ლეონიდ ფიოდორის ძე. აი, რა ყოფილა!

ტანია. გულს გიხსნით, აი, ღვთის წინაშე რომ გულახდილი იქნება კაცი. არ ვიცი, რჩევა ვის ვთხოვო, ობოლი ვარ.

ლეონიდ ფიოდორის ძე. რას ამბობ, რა სალაპარაკოა! მგონი, კარგი ყმაწვილია.

ტანია. ეგრეა, თითქოს არა უშავს რა, ოღონდ ერთი რამ მაფიქრებს, ჰოდა, თქვენთვის მინდოდა მეკითხა, ერთი რაღაც სჭირს, ვერაფრით რომ ვერ გამიგია... რამე ცუდი არ იყოს.

ლეონიდ ფიოდორის ძე. რა არის, ხომ არა სვამს?

ტანია. არა, ღმერთმა დამიფაროს! ოღონდ აი, ხომ ვიცი, რომ სპირიტობა არსებობს...

ლეონიდ ფიოდორის ძე. იცი?

ტანია. მაშ როგორ, ბატონო! ძალიანაც ვიცი. სხვებს, ნაღდად, თავისი გაუნათლებლობით ვერ გაუგია ეს...

ლეონიდ ფიოდორის ძე. ჰოდა, რაო?

ტანია. რა და, სემიონის ამბავი მაშინებს. მასაც მოსდის ხოლმე.

ლეონიდ ფიოდორის ძე. რა მოსდის?

ტანია. აი, რაღაც, თითქოს ის სპირი... ტობა. ეს ხალხს ჰკითხეთ. ჩათვლემს თუ არა მაგიდასთან, მაგიდა მაშინვე ქანაობას იწყებს, აეგრე კაკუნობს: ტუკ, ტუ... ტუკ! ხალხმაც გაიგო ყველაფერი.

ლეონიდ ფიოდორის ძე. სწორედ ისაა, რასაც ამ დილით სერგეი ივანოვიჩს ვეუბნებოდი. მერე?..

ტანია. თორემ... როდის იყო? ჰო, ოთხშაბათს. სადილად დავსხედით. მიუჯდა თუ არა მაგიდას, კოვზი პირდაპირ თავისით ჩაუვარდა ხელში — სკუპ!

ლეონიდ ფიოდორის ძე. ეს კი საინტერესოა! ხელში ჩაუვარდა? რა იყო, ხომ არ დაეძინა?

ტანია. ეს კი ველარ შევნიშნე. მგონი, ჩათვლიმა.

ლეონიდ ფიოდორის ძე. მერე?..

ტანია. ჰოდა, ეს მაშინებს, სწორედ ამაზე მინდოდა მეკითხა, რამე საზიანო ხომ არ არის? მთელი ცხოვრება ერთად უნდა ვიყოთ, არადა, ასეთი რამ სჭირს კაცს.

ლეონიდ ფიოდორის ძე (ღიმილით). არა, ნუ გეშინია, ამაში ცუდი არაფერია. (თავის თავს ელაპარაკება). ძალიან კარგი. კაპჩიჩი არ იქნება, ჰოდა, ამას გამოვცდით... არა, ჩემო კარგო, ნურაფერს შიშობ, კარგი ქმარი იქნება და ყველაფერი... ეს კი განსაკუთრებული ძალაა. ყველა ადამიანში არის ხოლმე. ოღონდ ზოგს სუსტად აქვს, ზოგს კი ძლიერად.

ტანია. გამაღობთ უმორჩილესად. უკვე აღარაფერი მექნება საფიქრალი. თორემ როგორ მეშინოდა... აი, რას ნიშნავს ჩვენი უპიცობა!

ლეონიდ ფიოდორის ძე. არა, არა, ნურაფრისა გეშინია. ფიოდორ!

იგინივე და ფიოდორ ივანის ძე.

ლეონიდ ფიოდორის ძე. მე მივდივარ, შინ არ ვიქნები. საღამოთი ყველაფერი მზად გქონდეს სენსისათვის.

ფიოდორ ივანის ძე. მაგრამ კაპჩიჩმა ხომ შემოთვალა, ვერ მოვალო.

ლეონიდ ფიოდორის ძე. არა უშავს რა, სულ ერთია. (ფარავს იცვამს). საცდელი სენსი იქნება, საკუთარი მედიუმი გვეყოლება. (მიდის. ფიოდორ ივანის ძე აცილებს).

გამოსვლა მესამე

ტანია, მარტო.

ტანია. დაიჯერა, დაიჯერა! (წივის, ხტის). ღმერთმანი, დაიჯერა! აი, სასწაულიც ეგაა! (წივის). ახლა ყველაფერს ვიზამ, ოღონ ეგაა, სემიონი არ დაფრთხეს.

გამოსვლა სამოცდაათე

ტანია და ფიოდორ ივანის ძე (ბრუნდება)

ფიოდორ ივანის ძე. აბა, რა ჰქენი, უთხარი ის შენი საიდუმლო?

ტანია. ვუთხარი. თქვენც გეტყვით, ოღონდ მერე... მე კი, ფიოდორ ივანიჩ, ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან.

ფიოდორ ივანის ძე. ჩემთან ისეთი რა სათხოვარი გაქვს?

ტანია (მორცხვად). თქვენ მეორე მამასავით იყავით ჩემთვის, ჰოდა, ყველაფერს გულახდილად გეტყვით, თითქოს ღმერთს ვეუბნებოდე.

ფიოდორ ივანის ძე. ნუ მელაკუდობ, საქმე მითხარი.

ტანია. რა საქმე უნდა იყოს? ისაა, რომ სემიონს ჩემი ცოლად შერთვა უნდა.

ფიოდორ ივანის ძე. აჰა! რაღაცას კი ვხვდებოდი...

ტანია. დასამალავი რა მაქვს? ობოლი გოგო ვარ, თქვენ კი კარგად მოგეხსენებათ აქაური, ქალაქის ჩვეულებები: ათასი ვინმე მეტორლიალება; ავერ თუნდაც გრიგორი მიხაილოვიჩი, გასაქანს არ მაძლევს. აი, ისიც... იცით? ჰგონიათ, სულიერი არა ვარ, თითქოს მარტო მათ გასართობად ვიყო...

ფიოდორ ივანის ძე. ჰკვიანი გოგო ხარ, გაქებ! ჰოდა, რა გინდა?

ტანია. რა და, სემიონმა მისწერა მამამისს, მამამისმა კიდე, ახლა რომ დამინახა, მაშინვე აეგრე თქვა, განებრივებულაო. თავის ბიჭზე. ფიოდორ ივანიჩი! (მოწონებით უკრავს თავს). იყავით ჩემთვის მამის მაგიერი, მოელაპარაკეთ ბერიკაცს, სემიონის მამას.. მე მაგათ სამზარეულოში შევიყვან, თქვენ შემოდით და მოელაპარაკეთ.

ფიოდორ ივანის ძე (ღიმილით). მაშასადამე, მაქანკალი ვიყო, არა? რა გაეწყობა, შეიძლება.

ტანია. ფიოდორ ივანიჩ, საყვარელო, გამიწიეთ მშობელი მამის მაგივრობა, მთელი ჩემი დღე და მოსწრება თქვენზე ვილოცებ.

ფიოდორ ივანის ძე. კეთილი, კეთილი, შემოვალ, რაკი ეგრეა პირობას გაძღვე, ეგრე ვიზამ. (გაზეთს იღებს).

ტანია. მეორე მამა იქნებით ჩემი.

ფიოდორ ივანის ძე. კეთილი, კეთილი.

ტანია. მაშ, იმედი მექნება... (მიდის).

გამოსვლა საოცდაამორო

ფიოდორ ივანის ძე, მარტო.

ფიოდორ ივანის ძე (თავს აქნევს). გულიანი გოგოა, კარგი, არადა, რომ იფიქრო, რამდენი ასეთი იღუპება! წაიტეხს ერთხელ ფეხს და გადადის მერე ხელიდან ხელში... ჩაეფლობა ტალახში, ველარ მოძებნი. ნატალიასავით გულალალია, არანაკლები... ისიც რა კარგი იყო, ისიც ხომ დედამ შობა, ეფერებოდა, ზრდიდა... (იღებს გაზეთს). აბა, ვნახოთ ერთი, რასა იქმს ჩვენი ფერდინანდი, რას ჩალიჩობს?..

ფ ა რ დ ა

მეორე მოქმედება

თეატრი წარმოადგენს საფარეუო სამზარეულოს შიგა ხედს. გლეხები მაგიდას უსხედან და ჩაის სვამენ, ქურქები გაუხდიათ, გაოფლილან. სცენის მეორე მხარეს ფიოდორ ივანის ძე ზის, ხელში სიგარა უჭირავს. ღუმელზე ძველი მზარეული ჩამომჯღრა, პირველი ოთხი გამოსვლისას არა ჩანს.

გამოსვლა პირველი

სამი გლეხი და ფიოდორ ივანის ძე.

ფიოდორ ივანის ძე. ჩემი რჩევაა, წინ ნუ გადაელობები. თუ ბიჭის სურვილია და გოგოსაც უნდა, ღმერთი იყოს მაგათი შექ...

წე. კარგი, პატიოსანი გოგოა. იმას ნუკი უყუტებ, კობტად რომ აცვია. ეს ქალაქის წესია, უამისოდ არ იქნება. გოგო თუ გინდა, ჰკვიანი, გონიერი გოგოა.

I I გლეხი. რა გაეწყობა, თუკი ბიჭს უნდა. თვითონ უნდა იცხოვროს მასთან, მე კი არა. ოლონდ ეგაა, რომ სუფთაა ნამეტანი. ქოხში როგორ უნდა შეიყვანო? დედამთილის მოფერებასაც კი ითაკილებს, ხელს არ გადაასმევიანებს თავზე.

ფიოდორ ივანის ძე. ეს, ჩემო ძმაო, სისუფთავეზე კი არა, ადამიანის ხასიათზეა დამოკიდებული. თუკი კეთილი ზმნისაა, მორჩილი და პატივისმცემელიც იქნება.

I I გლეხი. თუ ჩემი ბიჭი დაიყინებს, აუცილებლად ეს მინდაო, რა გქნა, წავიყვან. გულით ვინც არ გინდა, იმასთან ცხოვრებაც არ არის ბედნიერება! დავეთათბირები დედაკაცს და ღმერთმა ხელი მოუპართოთ.

ფიოდორ ივანის ძე. აბა, გათავებულა საქმე და ეგ არი!

I I გლეხი. ეტყობა, ეგრეა.

I გლეხი. რა ბედი გაქვს, ზახარ: საქმის გასაკეთებლად ჩამოხველი, უცებ კი ბიჭისთვის რა მზეთუნახავი რძალი გაირიგე. ახლა ისაა, დავასველოთ ეს ამბავი, მაშასადამე, ყველაფერი წესისამებრ რო იყოს.

ფიოდორ ივანის ძე. ეს სრულებითაც არ არის საჭირო. უხერხული დუმილი.

მე ხომ ძალიან კარგად გამეგება თქვენი ცხოვრება, გლეხური ყოფა. რომ გითხრათ, თვითონაც ვფიქრობ, სად ვიყიდო მიწა-მეთქი. ავაშენებდი სახლს და მეც გლეხი გავხდებოდი. თუნდაც თქვენს მხარეში.

I I გლეხი. ძან კარგი საქმეა!

I გლეხი. ნამდვილად, ფულიან კაცს სოფელში ყოველნაირი სიამოვნების მიღება შეუძლია.

I I I გლეხი. რა თქმა უნდა! სოფელში, ვთქვათ, ბევრად უფრო შენს გემოზე ხარ კაცი, ისე კი არ არი, ქალაქში როა ხოლმე.

ფიოდორ ივანის ძე. ჰოდა, მიმიღებთ საზოგადოებაში, თქვენთან თუ დავსახლდი?

I I გლეხი. რატომაც არ უნდა მივილოთ? სასმელს ჩამოუდგამ მოხუცებს და მაშინვე მივიღებენ.

I გლეხი. გასხნით, მაგალითად, სასმელ დაწესებულებას ანდა სამიკიტნოს, ისეთი ცხოვრება გექნებათ, სიკვდილი არც გაგასენდებათ. იყავი მეფესავით, მეტი რა გინდათ.

ფიოდორ ივანის ძე. იქ საქმე მიჩვენებს, რა უნდა ვქნა. ესღა მინდა, მშვიდად ვიცხოვრო სიბერეში. აქაც კარგად ვცხოვრობ, მიტოვება დამენანება კიდევ: ლეონიდ ფიოდოროვიჩი ხომ საოცრად კეთილი ადამიანია.

I გლახი. ეს ნამდვილად ეგრეა. მაგრამ ჩვენი საქმისას რას იზამს? ნუთუ ასე, უშედეგოდ დატოვებს?

ფიოდორ ივანის ძე. თვითონ რომ იყოს, მოხარული იქნებოდა.

II გლახი. ეტყობა, ცოლისა ეშინია.

ფიოდორ ივანის ძე. შიშით კი არ ეშინია, მაგრამ თანხმობა არა აქვთ.

III გლახი. მოინდომე, ბატონო, თორემ ჩვენი ცხოვრება რაღაც ცხოვრებაა? მცირე მიწა გვაქვს...

ფიოდორ ივანის ძე. აი, ვნახოთ, რა გამოვა ტატიანას მეცადინეობისგან. აკი ხელი მოჰკიდა.

III გლახი (ჩაის სვამს). ბატონო, გვიყავი წყალობა! მცირე მიწა გვაქვს, საქონელს ვინ ჩივის, ქათამი რო ქათამია, იმასაც ვერსად გაუშვებ კაცი.

ფიოდორ ივანის ძე. ჩემზე იყოს დამოკიდებული, პო. (II გლახს). ასე, ძმაო, მძახლები ვიქნებით მე და შენ. მორჩა ტანიას საქმე, არა?

II გლახი. მე თუ რამეს ვიტყვი, მორჩა, მერე უკან აღარ დავიხვე, ოღონდ კი ჩვენი საქმე მოგვარდეს.

გამოსვლა მეორე

იგინივე, შემოდის მზარეული ქალი, ლუმელისკენ გაიხედავს, ძველ მზარეულს რაღაცას ანიშნებს და მაშინვე გაცხოველებულ ლაპარაკს იწყებს ფიოდორ ივანის ძესთან.

მზარეული ქალი. ახლახან ბატონების სამზარეულოდან სემიონს დაუძახეს ზემოთ; ბატონმა და იმან, მასთან ერთად სულებს რო იხმობს, აი, მელოტი როა, დასვეს და კაპჩიჩის მაგივრად უბრძანეს, ეგრე და ეგრე ჰქენიო.

ფიოდორ ივანის ძე. რასა სტყუი!

მზარეული ქალი. როგორ თუ ვტყუი! ამწუთას იაკოვმა უთხრა ტანიას.

ფიოდორ ივანის ძე. სასწაულია პირდაპირ!

გამოსვლა მესამე

იგინივე და მეეტლე.

ფიოდორ ივანის ძე. შენ რაო?

მეეტლე (ფიოდორ ივანის ძეს). ასე მოახსენეთ, ძაღლებთან საცხოვრებლად კი არ დაგიდექით-თქო. ვისაც უნდა, კი ბატონო, მე კი ძაღლებთან ცხოვრებაზე ყაბულს არა ვარ.

ფიოდორ ივანის ძე. რა ძაღლებს ამბობ?

მეეტლე. რას და, ვასილი ლეონიდიჩისგან მოგვეყვანეს სამი ხვადგი ჩვენს ბინაში. დასვარეს იქაურობა, ღმუიან, არადა ვერ მიეკარები, იკბინებია. ავები არიან, მტრისას! ემანდ მეშინია, არ შემეჭამონ. ვიფიქრე, ავიღებ კეტს და ფეხებს დავუმტვრევ-მეთქი.

ფიოდორ ივანის ძე. კი მაგრამ, როდის იყო ეს?

მეეტლე. როდის და აგერ ახლა მოუყვანია გამოფენიდან, რაღაც ძვირფასჯიშისანი, ხშირბეწვიანი ძაღლებიაო, ჯანდაბას მაგათი თავი და ტანი! ან ძაღლები ჰყავდეთ მეეტლეების ბინაში, ანდა მეეტლეებმა იცხოვრონ. ესეღაც უთხარით.

ფიოდორ ივანის ძე. პო, ეს უწესრიგობაა. წავალ. ვიკითხავ.

მეეტლე. იქნება აქ მოიყვანონ, ლუკერისთან, ჰა?

მზარეული ქალი (გაცხარებით). აქ ხალხი სადილობს, შენ კიდე ძაღლების დამწყვედევა გინდა. ისეღაც...

მეეტლე. მეც ხიფთანები, ეტლის კალთები და აღკაზმულობა მიწყვია. თანაც სისუფთავეს მოითხოვენ. აბა, იქნებ, მეეზოვის საღომში დააყენონ.

ფიოდორ ივანის ძე. ვასილი ლეონიდიჩის უნდა ვუთხრა.

მეეტლე (ბრაზით). ჩამოიკიდოს ყელზე ეგ თავისი ხვადაგები და იაროს, რა ცხენების ქენება აუტყდა. ლამაზა წაახდინა არაფრის გამო, არადა რა ცხენი იყო!.. ეჰ, ესეც თუ ცხოვრებაა! (მიდის და კარს მიიჯახუნებს).

გამოსვლა მეოთხე

იგინივე, მეეტლის გარეშე.

ფიოდორ ივანის ძე. ყველგან უწესრიგობაა! (გლახებს). აბა, ასე, ჯერჯერობით გამოგეთხოვებით, ბიჭებო!

გლახები. ღმერთი გვარავდეთ.

ფიოდორ ივანის ძე გადის.

იგინივე, ფიოდორ ივანის ძის გარეშე. გადის თუ არა ფიოდორ ივანის ძე, ღუმელიდან მაშინვე მოისმის ხვნეშა-კრუსუნო.

I I გლ ე ხ ი. დახეთ, რა გაშტიმულია, ნაღდი ღენერალი გეგონება. მზარეული ქალი. ოღონდაც! საგანგებო ოთახი, ბატონების მთელი სარეცხი, ჩაი, შაქარი, ბატონებისა რაც არი, ყველაფერი მაგაზე ჰკიდია. საჭმელიც ბატონების სუფრისა.

ძველი მზარეული. როგორ არ იცხოვრებს მამაძალი, ნაქურდალით გაივსო!

I I გლ ე ხ ი. ეს ვიღაა, ღუმელზე?

მზარეული ქალი. არაფერი, კაცუნაა ერთი. ღუმელი.

I გლ ე ხ ი. თქვენთანაც ძან ვახშობდნენ, წელან ვუყურე, კარგა მაგარი კაპიტალია.

მზარეული ქალი. ჰო, არ ვუჩივით. ამ მხრივ არ ძუნწობს ქალბატონი. კვირადღეობით თეთრი ფუნთუშა, თევზი მარხვის დღეებში, როცა რამე დღესასწაულია, თანაც ვისაც უნდა, შეუძლია სახსნილო საჭმელიც ჰამოს.

I I გლ ე ხ ი. განა ვინმე ინახავს მარხვას?

მზარეული ქალი. ე, აგერ დაითვალე. აი, ვინ მარხულობს მეეტლე (ეს არა, აქ რომ მოვიდა, ბებერი...), კიდევ სიომა, მე, იკონომი ქალი, სხვები კი ისე, სახსნილოს ჰამენ ხოლმე.

I I გლ ე ხ ი. თვითონ ბატონი?

მზარეული ქალი. ე, იტყვი რალაცას! კარგა ხანია დაავიწყდა მარხვა რა არი!

I I I გლ ე ხ ი. ოჰ, უფალო!

I გლ ე ხ ი. ბატონების საქმეა, წიგნებით მივიდნენ მაქამდე. იმიტომაცაა გონიერება.

I I I გლ ე ხ ი. მე მგონი, გამტკიცული პური ყოველდღეა, არა?

მზარეული ქალი. ოჰ, გამტკიცული პურიო! ვის უნდა შენი გატკიცული პური! ერთი დაგანახა მაგათი საჭმელი: რა არა აქეთ!

I გლ ე ხ ი. ბატონების საჭმელი, ცნობილია, მსუბუქი გახლავთ.

მზარეული ქალი. შენ მსუბუქი უძახე, ჰამაზე კაი მარდეს არიან.

I გლ ე ხ ი. აპეტითი კარგი აქეთ, მაშასადამე.

მზარეული ქალი. თანაც სასმელს აყოლებენ ამიტომაც. ტკბილ ღვინოები, არყები, შუშხუნა ნაყენები ყოველ თავს საჭმელს თავისი აქვს. ჰამს და აყოლებს სასმელს, ჰამს და აყოლებს.

I გლ ე ხ ი. მაშასადამე, თავ-თავის პრეპორციით არის და მონელებას უწყობს ხელს.

მზარეული ქალი. ჰამაზე მარდები არიან — ნულა იტყვი, ხათაბალაა პირდაპირ! მაგათში ხომ ის არ იცოან, დაჯდეს კაცი, ჰამოს, პირჯვარი გადაიწეროს და ადგეს, არა, უთავბოლოდ ჰამენ და ჰამენ.

I I გლ ე ხ ი. აი, როგორც ღორები, გეჯაში ფეხებს რო ჩადგამენ ხოლმე.

გლ ე ხ ე ბ ი. იცინიან.

მზარეული ქალი. გააჭყეტენ თვალს თუ არა, ღმერთო, ჯვარი დამწერე, ეგრევე სამოვარი, ჩაი, ყავა, შიკოლადი. ორ სამოვარს გამოსცლიან, მესამე უნდა დადგა. ამასობაში საუზმე, აქეთ სადლილი, აქეთ კიდევ ისევე ყავა. შეთქვლეფენ თუ არა, ისევე ჩაი. აქეთ კიდევ დასაყოლებელი დაიწყება — კამფეტები, სასუსნავები, ბოლო აღარ უჩანს ხოლმე. ლოგინში წვანან და იქაც ჰამენ და ჰამენ.

I I I გლ ე ხ ი. აი, რა ყოფილა. (ხარხარებს).

I გლ ე ხ ი. რა იყო?

I I I გლ ე ხ ი. ერთი დღე მაინც რომ მაცხოვრა მაგრე!

I I გლ ე ხ ი. აბა, საქმეს როდისღა აკეთებენ?

მზარეული ქალი. რა საქმე აქეთ მაგათ? ბანქო და ფორტეპიანო — ეგაა მთელი მაგათი საქმე. ბატონის გოგო, აი, თვალს ჰყიტავს თუ არა, მაშინვე ფორტეპიანოს მიუჯდება ხოლმე და უყარე კაკალი! ეს კიდე, მასწავლებელი, მაგათსა რო ცხოვრობს, დგას და უცდის, როდის განთავისუფლდება ფორტეპიანო. ის რო მოითავებს, ეს იწყებს, გააჩაღებს ბრახაბრუნს. ის კი არა, ზოგჯერ ორ-ორი მიუჯდება და ოთხი ხელით უბრახუნებენ, გააქეთ გრიალ-გრიალი, აქამდეც კი ჩამოდის ხმა.

I I I გლ ე ხ ი. ოჰ, უფალო!

მზარეული ქალი. აი, ეგაა მთელი მაგათი საქმე: ფორტეპიანო ანდა ბანქო. მოიყრიან თუ არა ერთად თავს, ეგრევე თამაშს და სმას იწყებენ, თამბაქოს ეწევიან, მთელ ღამეს გადააბამენ ხოლმე. წამოდგებიან და — ეგრევე ჰამა!

იგინივე და სემიონი.

სემიონი. ჩაი და შაქარი!

I გლ ე ხ ი. დაქეპი, გთხოვთ.

სემიონი (მაგიდასთან მიდის). უმორჩილესად მადლობელი ვარ.

I გლ ე ხ ი. ჩაის უსხამს.

I I გ ლ ე ხ ი. სად იყავი?
ს ე მ ი ო ნ ი. ზემოთ ვიყავი.
I I გ ლ ე ხ ი. რას შვრებოდი იქა?
ს ე მ ი ო ნ ი. რა ვიცი, კაციშვილი ვერ გაიგებს. რა გითხრათ.
I I გ ლ ე ხ ი. კი მაგრამ, ეგეთი რა საქმეა?
ს ე მ ი ო ნ ი. აბა რა ვიცი, რა ვთქვა, რაღაც ძალა გაქვსო და მსინჯავდნენ. არაფერი გამეგება. ტატიანამ მითხრა: ჰქენიო, ჩვენებს მიწის საქმეს გავუკეთებთო. გაყიდისო.
I I გ ლ ე ხ ი. კი მაგრამ, ტატიანა რანაირად იზამს მაგას?
ს ე მ ი ო ნ ი. რა ვიცი, არაფერს მეუბნება. მე რაც ვითხრა, ის გააკეთეო!
I I გ ლ ე ხ ი. რა არის გასაკეთებელი განა?
ს ე მ ი ო ნ ი. ახლა არაფერი. დამსვენს, სინათლე ჩააქრეს, მიბრძანეს, დაიძინეო. ტატიანა კიდევ იქვე დაიმალა. ისინი ვერ ხელდავენ, მე კი ვხედავ.
I I გ ლ ე ხ ი. კი მაგრამ, რისთვის შვრებიან ამას, რა არი?
ს ე მ ი ო ნ ი. ღმერთმა უწყის, ვერაფერს გაიგებ კაცი.
I გ ლ ე ხ ი. ცნობილია რისთვისაც, დროის გასატარებლად.
I I გ ლ ე ხ ი. ეტყობა, მე და შენ ვერ გავუგებთ მაგ საქმეებს თავს და ბოლოს. ახლა ის მითხარი: ფული ბლომად აიღე?
ს ე მ ი ო ნ ი. არ ამიღია, ყველაფერი მენახება, ოცდარვა მანეთი უნდა იყოს.
I I გ ლ ე ხ ი. ეს კარგი. თუ ღმერთმა ქნა და მიწის საქმე მოგვარდა, აკი შინ უნდა წაგიყვანო, სიომკა.
ს ე მ ი ო ნ ი. დიდი სიამოვნებით.
I I გ ლ ე ხ ი. განებივრებულხარ, როგორც მე ვხედავ. მიწის ხენა გინდა?
ს ე მ ი ო ნ ი. მიწის ხენაო? თუნდაც ახლავე. ხენა თუ თიბვაა, ესენი არაფერი შემეშლებს.
I გ ლ ე ხ ი. ქალაქური ცხოვრების მერე, მაგალითად, ყველაფერი არ მოგივა ჰკუაში.
ს ე მ ი ო ნ ი. არა უშავს, სოფელშიაც შეიძლება ცხოვრება.
I გ ლ ე ხ ი. აგერ, ძია მიტრის კი შენს ადგილზე უჭირავს თვალი, კაცი ცხოვრება სწადია.
ს ე მ ი ო ნ ი. ეჰ, მიტრი ძია, მოგებუზრდება. ეს შესახედადაა ადვილი, არადა სარბენიც ბევრია. წელში გაწყდები.
მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი. აი შენ, ძია მიტრი, მაგათი მეჯლისები განახა. მაშინ მთლად გაჰკვირდებოდი!
I I I გ ლ ე ხ ი. რაო, სულ ჭამენ ხოლმე?
მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი. რას ამბობ? განახა ერთი, რა ამბავია! ფიო-

დორ ივანიჩმა შემეყვანა. გავხედე: უამრავი ქალბატონია! ჩაცმულები, მორთულ-მოკაზმულები — ნულა იტყვი! თანაც აი, აქამდე შიშვლები, ხელებიც მოშიშვლებული.

I I I გ ლ ე ხ ი. ოჰ, უფალო!
I I გ ლ ე ხ ი. ფუჰ, საძაგლობაა!
I გ ლ ე ხ ი. ესე იგი, კლეიმატი აძლევს ნებას.
მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი. ჰოდა, ძიაჩემო, გავხედე: ეს რა არი? — სუყველა ტიტლიკანაა. არ დაიჯერებ, მოხუცებიც კი, — აგერ, ჩვენი ქალბატონი, არადა, შვილიშვილები უნდა ჰყავდეს, — ესენიც გაშიშვლდნენ.
I I I გ ლ ე ხ ი. ოჰ, უფალო!
მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი. აი, მერე ნახე: დასცხებს მუსიკა, იწყება ცეკვა, მაშინვე ბატონები მიდიან თავ-თავის ქალთან, მოხვევენ ხელს და, ჰაიდა, იწყებენ ტრიალს.
I I გ ლ ე ხ ი. დედაბრებიც?
მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი. დედაბრებიც.
ს ე მ ი ო ნ ი. არა, დედაბრები სხედან ხოლმე.
მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი. შენც იტყვი, ჩემი თვალით ვნახე!
ს ე მ ი ო ნ ი. არა-მეთქი.
ძ ე ლ ი მ ზ ა რ ე უ ლ ი (თავს გამოყოფს. ხრინწიანი ხმით). პოლკა-მაზურკა ჰქვია მაგას. ე, არ იცის სულელმა დედაკაცმა! — აი, აგრე ცეკვავენ...
მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი. შენ კიდევ, მოცეკვავე, ენა დააყენე მანდა. აგე, მოდის ვილაცა.

გამოსვლა მუვილი

ი გ ი ნ ი ვ ე და გ რ ი გ ო რ ი. ძველი მზარეული უმაღლესი მიიმალება.
გ რ ი გ ო რ ი (მზარეულ ქალს). მუავე კომბოსტო მომე!
მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი. აგერ ახლა ამოვედი სარდაფიდან და ისევ უნდა ჩაეძვრე. ვის უნდა?
გ რ ი გ ო რ ი. ბატონის ასულებს, პირები რო აქვთ დაღებულნი. ცოცხლად! სემიონს გამოატანე, მე არა მცალია.
მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი. გასკდებიან ტკბილის ჭამით, მეტი აღარ ეტევათ, ჰოდა კომბოსტოს მოისურვებენ.
I გ ლ ე ხ ი. ჩასაწმენდად, მაშასადამე.
მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი. ჰო, კუჭს გაითავისუფლებენ და ისევ მიდი და მიდი! (იღებს ფინჯანს და მიდის).

გამოსვლა მირვა

ი გ ი ნ ი ვ ე, მზარეული ქალის გარეშე.
გ რ ი გ ო რ ი (გლვხებს). დახეთ, ჩამომისხდნენ აქა. იცოდეთ: ქალ-

ბატონმა თუ დაგინახათ, ისე გაიჯორებით, ამდილანდელი მონა-
გონია. (იციანს და მიდის).

გამოსვლა მეცხრე

სამი გლეხი, სემიონი და ძველი
მზარეული (ღუმელზე).

- I გლეხი. ნამდვილად, წელან ისე შემოგვიტია, ნულა იტყვი!
- II გლეხი. წელან კი უნდოდა, ეტყობა, ბატონს ჩარევა, მაგრამ მე-
რე რომ ნახა, დედაკაცი გლეჯდა ყველაფერს, კარი მიიკეტა
ჯანდაბას შენი თავით.
- III გლეხი. ყველგან ერთი და იგივე ამბავია. აგერ, ჩემი დედაბე-
რიც, ზოგჯერ რო აპილპილდება, შენს მტერს! ვდგები და სულ
მივდივარ ქოხიდან. დაიღუბოს აქედან! ის კი არადა, შეიძლება
ვთქვათ, კეტიც გდრუხოს. ოჰ, უფალო!

გამოსვლა მათე

იგინივე და იაკოვი (შემორბის,
ხელში რეცეპტი უჭირავს).

- იაკოვი. სიომა, გაიქე აფთიაქში, მარდად, აგე ქალბატონს ფხენ-
ლი მოუტანე!
- სემიონი. მაგრამ ბატონმა ხომ ბრძანა, არსად წახვიდეო.
- იაკოვი. მოასწრებ. შენი საქმე ჯერ სადაა, ჩაის შემდეგ დაგიძახე-
ბენ... ჩაი და შაქარი!
- I გლეხი. მობრძანდით.
სემიონი გადის.

გამოსვლა მეთერთმედი

იგინივე, სემიონის გარეშე.

- იაკოვი. არა მცალია, მაგრამ დამისხით ერთი ფინჯანი, კომპანის
გაგიწევთ.
- I გლეხი. აგერ, იმაზეა ლაპარაკი, წელან შენმა ქალბატონმა და
ყინჩად რო დაიჭირა თავი.
- იაკოვი. ო, ეგ ისეთი ფიცხია, შენს მტერს! ისეთი ფიცხია, საკუ-
თარი თავიც კი ავიწყდება. ზოგჯერ ტირის კიდეც.
- I გლეხი. აი, რა უნდა მეკითხა, მაგალითად: წელან რაღაცას ლაპ-
რაკობდა მაკროტის¹ თაობაზე. რაღაც მაკროტი, მაკროტი შემო-
ტანეთო. რა არი, ეს მაკროტია თუ რაღაცა?

¹ იგულისხმება მიკრობი (მთარგმნ. შენიშვნა).

იაკოვი. ო, ეს მაკროვებზე თქვა. ესაო, ქალბატონი ამბობს, ისეთი
ქინქლაა, ყველანაირი ავადმყოფობა მავათგან მოდისო. ჰოდა,
ვითომ თქვენა გყავთ. აკი თქვენს მერე სულ მირეცხ-მორეცხეს,
საცა თქვენ იდექით, რაღაც მიასხურ-მოასხურეს. წამლეულობაა
ეგეთი, კლავსო მაგ რაღაც ქინქლებსო.

- II გლეხი. მერედა, სადა გყავს ეს ქინქლაა თუ რაღაცაა?
- იაკოვი (ჩაის სვამს). ეგენიო, ამბობენ, ისე პატარებია, შუშაშიც
კი არ ჩანანო.
- II გლეხი. კი მაგრამ, რა იცის მაგან, მე რომ მყავს? იქნება ჩემზე
მეტად მაგასა ჰყავს ეგ უწმინდურობა.
- იაკოვი. მიდი და თვითონ მას უთხარი!
- II გლეხი. მე კი მგონია, მიქარვია ეს.
- იაკოვი. რასაკვირველია, მიქარვია; ხო უნდა მოიგონონ დოხტუ-
რებმა რაღაცა, აბა რაში აიღონ ფული? ჩვენსა აკი ყოველდღე
დადის ხოლმე. მოვიდა, ილაპარაკა — ათიანი გაიკრა.
- II გლეხი. ვითომ?..
- იაკოვი. ის კი არა, ერთია, ისეთი, ასიანს იღებს.
- I გლეხი. რას ამბობ! ასიანს?
- იაკოვი. ასიანსო? შენ, ასიანსო, ამბობ, ზოგია, ათას მანეთსაც ილ-
ებს, ქალაქიდან თუ მოუწია გასვლა. გეუბნება, მომეცი ათასი
მანეთიო, არ მომცემ და — გაფშიკე ფენიო!
- III გლეხი. ოჰ, ღმერთო!
- II გლეხი. რაო, რამე სიტყვა იცის ისეთი?
- იაკოვი. ეტყობა, იცის. წინათ ერთ გენერალს ვედექი, მოსკოვის
ახლო, ბრაზინი ვინმე იყო, ისეთი ამაყი, ნულა იტყვი, ის გენე-
რალი! ჰოდა, ქალიშვილი გაუხდა ავად. აფრინეს კაცი ექიმთან...
ათასი მანეთი და მოვალე... შეთანხმდნენ, მოვიდა. რაღაც ვერ
აამეს. ისე დაუტატანა, ბატონო ჩემო, გენერალს. ა! აგრე მცემ
პატივსო, აგრეო? სულაც არ ვუმკურნალე ავადმყოფსო! — შენ
რა გგონია! გენერალს სულ დაავიწყდა ის თავისი ზვაობა, რანაი-
რად არ თაფლავდა. ბატონო! ოღონდ არ წახვიდე!
- I გლეხი. ის ათასი მანეთი კი მისცეს?
- იაკოვი. მაშ როგორ?..
- II გლეხი. იმიტომაც, რომ მუქთია. ეს ფული გლეხისთვის რომ
მიგეცა, რას არ იზამდა!
- III გლეხი. მე კი მგონია, მიქარვია ყველაფერი. აი, მაშინ ფენი
რომ მიღებოდა, ვიმკურნალე, ვთქვათ, ხუთი მანეთისა ვიმკურ-
ნალე. მერე მივატოვე წამლობა და კიდეც შემხიხორცდა.
ღუმელზე მჯდარი ძველი მზარეული ახველებს.
- იაკოვი. ისევ აქაა, დალოცვილი!

I გლეხი. ის კაცი ვინ და რა არი?
იაკოვი. აგერ, ჩვენი ბატონის მზარეული იყო, ლუკერისთან და-
დის ხოლმე.

I გლეხი. კუხმისტერია, მაშასადამე რაო, აქა ცხოვრობს?
იაკოვი. არა... აქ არ ანებებენ. ხან სადაა და ხან სადა. თუკი აქვს
სამი კაპიკი, ღამის სათევში მიდის, გაფლანგავს ყველაფერს სას-
მელში და მოდის აქა.

II გლეხი. როგორღა არი ეგრე?
იაკოვი. ეგრეა, დასუსტდა. არადა, ეგეც კაცი იყო, თანაც როგო-
რი, ბატონი გეგონებოდა! თქროს საათი ეკეთა, ორმოც მანეთ
ჯამაგირს იღებდა თვიურად. ახლა კი რა ხანია შიმშილით ამოს-
ძვრებოდა სული, ლუკერია რომ არა.

გამოსვლა მითორამაძე

იგინივე და მზარეული ქალი (კომბოსტოთი).
იაკოვი (ლუკერისა). როგორც ვხედავ, პაველ პეტროვიჩი ისევ
აქ ყოფილა?

მზარეული ქალი. აბა სადღა წავიდეს, გაიყინოს კაცი?

III გლეხი. აი, რას აკეთებს არაყი! არაყი, ვთქვათ... (თანაგრძ-
ნობით ამწლაკუნებს ენას).

II გლეხი. მართლაც, თუ გამაგრდა კაცი — ქვაზე მაგარია ხოლ-
მე, დასუსტდება და — წყალზე უფრო სუსტია.

ძველი მზარეული (ჩამოდის ღუმელიდან, ხელ-ფეხი უცახცა-
ხებს). ლუკერია! გეუბნები, მომე ერთი ჭიქა.

ლუკერია. სად მოძვრები! ისეთ ჭიქას მოგცემ რომ!

ძველი მზარეული. ღმერთის შიში გაქვს? ვკვდები. ძმებო, ერ-
თი შაური...

მზარეული ქალი. გეუბნები, ადი-მეთქი ღუმელზე.

ძველი მზარეული. მზარეულო! ნახევარი ჭიქა. ღმერთი იწამე,
გეუბნები, ხომ ხედავ — ქრისტეს სახელითა ვთხოვ!

მზარეული ქალი. წადი, წადი. აი, ჩაი თუ გინდა!

ძველი მზარეული. ჩაი რა არი? ჩაი რა არი? ვერაფერი სასმე-
ლია, სუსტია. არაყი რო იყოს, მხოლოდ ერთი ყლუბი... ლუკერია!

III გლეხი. აჰ, შენი გულისა, როგორ იტანჯება.

II გლეხი. მიეცი, რაღა.

მზარეული ქალი (განჯინიდან არაყს იღებს და ერთ სირჩას უს-
ხამს). აჰა, მეტს არ მოგცემ.

ძველი მზარეული (ხელს სტაცებს, ცახცახით სვამს). ლუკერია!
მზარეულო! მე დავლევ, შენ კი გაიგე...

მზარეული ქალი. აბა, აბა, ილაპარაკე! ადი-მეთქი ღუმელზე
შენი კრინტი არ გავიგო.

ძველი მზარეული მორჩილად ადის ღუმელზე, თან
გამუდმებით ბურტყუნებს რაღაცას.

I გლეხი. აი, რას ნიშნავს — დასუსტდა კაცი!

I გლეხი. ნამდვილად, ადამიანის სისუსტისა რა ვთქვი.

III გლეხი. ნულა იტყვი.

ძველი მზარეული წვება და ერთთავად ღუდღუნებს. ღუმელი.

II გლეხი. აბა, რა მინდოდა მეთქვა: აგერ, გოგო ცხოვრობს თქვენ-
თან, ჩვენი მხრისა, აი, აქსინიას შვილი. როგორ არი? როგორა
ცხოვრობს, ესე იგი, არის პატიოსნად?

იაკოვი. კარგი გოგოა, საქები.

მზარეული ქალი. მე მართალს გეტყვი, ბიძაჩემო, რაკი აქაურ
ჩვენს ყოფას კარგად ვიცნობ: თუ საცოლედ გინდა ტატიანა
შენი ბიჭისთვის, მალე წაიყვანე, სანამ არ წამხდარა, თორემ არა-
ფერი ეშველება.

იაკოვი. ჰო, ეს სწორედ ეგრეა. აგერ ნატალია ცხოვრობდა აქა
ზაფხულში, ერთი გოგო. კარგი გოგო იყო. არაფრის გამო დაი-
ღუბა, ამაზე ნაკლებად არა... (მზარეულისკენ იშვერს ხელს).

მზარეული ქალი. იმიტომ იღუბება აქ ჩვენი ჯილაგი — უამრა-
ვი. ყველას ადვილი სამუშაო და ტკბილი ლუკმა სწადია. არადა,
გახედავ, სწორედ იმ ტკბილი ლუკმის გამო ეგრევე იტენს ფეხს.
რაკი ფეხი წაიტება, მორჩა, უკვე აღარა სჭირდებათ. მაშინვე
ახალი მოჰყავთ მის ადგილზე. ასევე მოუვიდა ნატალიას, სა-
წყალს: წაიტება ფეხი და ეგრევე გაადგეს. მერე ბავშვი შობა,
შარშან გაზაფხულს ავად გახდა საავადმყოფოში და მოკვდა. არა-
და, რა გოგო იყო!

III გლეხი. ოჰ, ღმერთო! სუსტია ხალხი. შესაბრალისია.

ძველი მზარეული. კი, შეგიბრალებენ ეს ავი სულელები სწორედ!
(ღუმელიდან ფეხებს ჩამოუშვებს). მე აგერ, ოცდაათი წელი ღუ-
მელთან ვიხრუკებოდი. ახლა უკვე აღარა ვარ საჭირო, ჰოდა,
ძალივით ჩაკვდიო!.. აბა, შეგიბრალებენ სწორედ!

I გლეხი. ეს ნამდვილად, ცნობილი ამბავია.

II გლეხი. ჰამდნენ, სვამდნენ, ხუჭუჭა ბიჭი იყავი; შესვეს, შეჭა-
მეს ყველაფერი და — წადი, შე ქეციანო!

III გლეხი. ოჰ, უფალო!

ძველი მზარეული. შენ რა გაგეგება. აბა, რა არი: სოტეი ა ლა
ბამონ? რა არი ბავსარი? რაღა არ შემეძლო! აზრები?.. იმპერა-
ტორს უჭამია ჩემი ნახელავი! ახლა კი არ ვჭირდები მაგ წყეუ-
ლებს. მაგრამ არა, არ დავნებდები!

მზარეული ქალი. აბა, აბა, ენად ნუ გაიკრიფე. მე შენ გიჩვე-
ნები!.. მიდექ კუთხეში, არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა, თორემ

ფიოდორ ივანიჩი ანდა ვინმე სხვა შემოვა და მეც გამაგლებენ
შენთან ერთად.

ღუმელი.

იაკოვი. მაშ, ჩემი მხარე გაგივიათ, ვოზნესენსკოე?

II გლექი. როგორ თუ არ გაგივია. ჩვიდმეტი ვერსი, მეტი არ
იქნება ჩვენგან, ფონით თუ წახვალ, უფრო ნაკლებიცაა. ი შენ რა,
მიწა გაქვს იქა?

იაკოვი. ძმასა აქვს, მე კი ფულს ვუგზავნი. თვითონ აქ კი ვარ,
მაგრამ ისე მენატრება შინ ყოფნა, ლამის მოვკვდე.

I გლექი. ნამდვილად.

II გლექი. მაშ, ანისიმი ძმასა შენი?

იაკოვი. აბა როგორ, ღვიძლი ძმას!

II გლექი. როგორ არ ვიცი — მესამე ეზოა.

გამოსვლა ივანეზე

ივანივე და ტანია (შემორბის).

ტანია. იაკოვ ივანიჩი! რას ნებვირობთ აქა? გეძახის?

იაკოვი. ახლავე. რა ამბავია?

ტანია. ფიფკა ყეფს, ჭამა უნდა, ქალბატონი კიდე თქვენ გლანძღვთ:
რა ბოროტიათ, ამბობს, სულ არა აქვს ცოდო-ბრალო. რა ხანია
სადილობის დრო მოუვიდა, მაგას კი არ მოაქვსო!.. (იციან).

იაკოვი (წასვლას ეპირება). ოჰო? გაბრაზებულია? ემანდ, რამეს არ
გადაამკიდოს!

მხარეული ქალი. (იაკოვს). აგე, კომბოსტო წაიღეთ.

იაკოვი. მომეცი, მომეცი! (იღებს კომბოსტოს და გადის).

გამოსვლა ივანეზე

ივანივე, იაკოვის გარეშე.

I გლექი. ეს ვინაა, ვინ უნდა ისადილოსო?

ტანია. ვინა და ძაღლმა. ქალბატონის ძაღლია... (ჯდება და ჩაიდანს
ხელს ჰკიდებს). ჩაი ჩაყრილია? მე აგერ, კიდეც მოვიტანე. (ჩაის
ყრის ჩაიდანში).

II გლექი. ძაღლის სადილიო?

ტანია. მაშ როგორ! საგანგებო კაკლეტს უკეთებენ, ისე, ქონი რომ
არა ჰქონდეს. მე მაგ ძაღლს თეთრეულს ვურეცხავ ხოლმე.

III გლექი. ოჰ, უფალო!

ტანია. აი, იმ ბატონისა არ იყოს, ძაღლი რომ დასაფლავა.

II გლექი. ეს კიდეც რაღაო?

ტანია. რა და, ერთი კაცი ჰყვებოდა, ძაღლი მოჰკვდომია იმ ბატონს.
ჰოდა, წაიყვანა ზამთარში, უნდა დასაფლავოს. დასაფლავა, მო-
დის უკან ბატონი და ტირის. არადა, სუსხია მაგარი, მეეტლეს
ცხვირიდან წვეთლი სდის, იწმენდს... მომე, დავისხამთ. (ასხამს
ჩაის). სულ მოსდის ცხვირიდან, ის კიდე, იწმენდს და იწმენდს.
დაინახა ბატონმა: „რა არისო, ეუბნება, რად სტიროო?“ მეეტლეც
ეუბნება: „აბა, როგორ არ ვიტირო, ბატონო, რა ძაღლი იყოო!“
(კისკისებს).

II გლექი. არადა, თავის გულში იქნება კიდეც ფიქრობს: შენ თვი-
თონაც რომ გაგეჭიმა ფეხი, წვეთ კურცხალს არ გადმოვაგდებ-
დიო... (ხარხარებს).

ძველი მხარეული (ღუმელიდან). ეგ მართალია, სწორია!

ტანია. კარგი, მოვიდა ბატონი შინ, მაშინვე ქალბატონს ეუბნება:
„რა კარგი მეეტლე გყავსო, რა გულიანიო: მთელი გზა ტიროდა,
ისე შეეცოდა ჩემი ყურშაო; დაუძახეთ: აბა, არაყი დალიე, ეს
კიდე ჯილდო — მანეთიანიო!“ ესეც ეგრეა, ჰგონია, არ ეცოდე-
ბა იაკოვს მისი ძაღლი.

გლეხები ხარხარებენ.

I გლექი. ფორმისამებრ არი!

II გლექი. შენ ეგა თქვი!

III გლექი. ჰაი-გიდი, გოგო, როგორ გეცინა!

ტანია (კიდეც ასხამს ჩაის). ჭამეთ კიდეც!.. მაშ, გარედან ისე ჩანს,
კარგი ცხოვრება გეგონება, არადა ზოგჯერ აუტანელია ამ სიბილ-
წების წმენდა. ფუჰ! სოფელი სჯობია.

გლეხები ფინჯნებს აბრუნებენ.

(ასხამს). ჭამეთ, ღმერთმა შეგარგოთ, ეფიმ ანტონიჩი!

დავისხამთ, მიტრი ვლასოვიჩი!

III გლექი. კარგი, კარგი, დამისხი.

I გლექი. აბა, ჰკვიანო გოგო, ჩვენი საქმისა რა ისმის?

ტანია. არა უშავს რა, კეთდება...

I გლექი. სემიონმა თქვა...

ტანია (სწრაფად). თქვა?

II გლექი. რას გაიგებ მაგისას!

ტანია. ახლა ვერ ვიტყვი, ჯერ არ შემიძლია, ოღონდ, რაც შემიძ-
ლია, ვცდილობ. აგე, თქვენი ქალაქი აქა მაქვს! (წინსაფრი-
დან ქალაქს აჩენს). ერთი ოინი კი გამომივიდოდეს და... (წა-
მოიწვილებს). რა კარგი იქნებოდა!

II გლექი. უყურე, ქალაქი არ დაკარგო. მაგამიც ფულია გადახ-
დილი.

ტ ა ნ ი ა. მშვიდად იყავით. მხოლოდ ისაა, ხელი მოაწეროს, ხომ ასეა?
I I I გ ლ ე ხ ი. აბა, მეტი რაღა გვინდა? მოაწერა ხელი, ვთქვათ, და
მორჩა. (ფინჯანს აბრუნებს). მეყოფა აწი.

ტ ა ნ ი ა (თავისთვის). მოაწერს ხელს, აი ნახავთ, მოაწერს. კიდეც ჭა-
მეთ. (ჩაის ასხამს).

I გ ლ ე ხ ი. შენ ოღონდ ეგ საქმე მოგვიგვარე, მიწის სყიდვის აღს-
რულების თაობაზე, და გაგათხოვებთ კიდეც, (ჩაის უარობს).

ტ ა ნ ი ა (ასხამს და მიართმევს). ჭამეთ.

I I I გ ლ ე ხ ი. შენ ეს გაგვიკეთე და კიდეც გაგათხოვებთ და, ვთქვათ,
ქორწილზე საცეკვაოდ მოვალ. თავის დღეში არ მიცეკვია, მაგ-
რამ ვიცეკვებ!

ტ ა ნ ი ა (იციინს). აბა, იმედი მექნება.

დუმილი.

I I გ ლ ე ხ ი (ტანიას ათვალეირებს). ეს ასეა, მაგრამ ვერ ივარგებ
შენ საგლეხო საქმისთვის.

ტ ა ნ ი ა. მე განა? თქვენ რა გგონიათ, ძალა არ მერჩის? ერთი გა-
ნახათ, ქალბატონს როგორ ვკონჭავ ხოლმე. ზოგი კაციც ვერ
იზამს ეგრე.

I I გ ლ ე ხ ი. კი მაგრამ, რანაირად კონჭავ რო?

ტ ა ნ ი ა. ერთი რაღაცაა, ქურთუქსა ჰგავს, ძვლებზეა გაკრული, აი,
აქამდე. ჰოდა, თასმებს ვუჭერ, აი, როგორც ცხენს შეაბამენ, თა-
ნაც ხელებზე რომ იფურთხებენ ხოლმე.

I I გ ლ ე ხ ი. თასმებს უჭერ, მაშასადამე?

ტ ა ნ ი ა. ჰო, ჰო, თასმებს ვუჭერ. თანაც ფეხს ხომ ვერ მიაჭერ ქალ-
ბატონს, რომ უკეთ გამოსწიო. (იციინს).

I I გ ლ ე ხ ი. კი მაგრამ, რატომ უჭერ ხოლმე?

ტ ა ნ ი ა. აი, რატომ.

I I გ ლ ე ხ ი. რაო, თავი აქვს განწირული თუ რაა?

ტ ა ნ ი ა. არა, ისე სილამაზისთვის.

I გ ლ ე ხ ი. ესე იგი, ფაშვზე უჭერს ხოლმე, ფორმისამებრ რო იყოს.

ტ ა ნ ი ა. ისე მოუჭერ ხოლმე, საცაა თვალები გადმოუცივდეს, მაგ-
რამ კიდეც მოუჭიო, მეუბნება. ლამის ხელები გადამეყვლიფოს,
თქვენ კი ამბობთ: ძალა არა გაქეთო.

გლეხები იციინან, თავებს აქნევენ.

თუმცაღა, ენად გავიკრიფე. (სიცილით გარბის).

I I I გ ლ ე ხ ი. აფერუმ გოგო, როგორ გვაციინა!

I გ ლ ე ხ ი. თანაც რა აკურატულია!

I I გ ლ ე ხ ი. არა უშავს რა.

ს ა მ ი გ ლ ე ხ ი, მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი, ძ ვ ე ლ ი მ ზ ა რ ე უ ლ ი
(ღუმელზე). შემოდინ სახატოვი და ვასილი ლეონიდის
ძე. სახატოვს ხელში ჩაის ჭიქა უჭირავს.

ვ ა ს ი ლ ი ლ ე ო ნ ი დ ი ს ძ ე. იმდენად სადილი არა, რამდენადაც
dejeuner dinatoire.¹ მე თქვენ გეტყვით, მშვენიერი საუზმე იყო:
გოჭის ბარკლები — პირდაპირ ეშხი! რულიე შესანიშნავად კვე-
ბავს ხალხს. მე ხომ ეს-ესაა მოვედი. (დაინახავს გლეხებს). გლე-
ხები ისევე აქ არიან?

ს ა ხ ა ტ ო ვ ი. დიახ, დიახ, ყოველივე ეს ძალზე მშვენიერია, მაგრამ
ჩვენ ხომ ნივთის დასამალავად ვართ მოსული. სადღა დავმალოთ?
ვ ა ს ი ლ ი ლ ე ო ნ ი დ ი ს ძ ე. დამნაშავე ვარ, ახლავე. (მზარეულ
ქალს). ძაღლები სად არი?

მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი. მეეტლეების ბინაშია ძაღლები. საჯალაბოში
შეიძლება განა?

ვ ა ს ი ლ ი ლ ე ო ნ ი დ ი ს ძ ე. აჰა, მეეტლეების ბინაში, არა? კარგი.
ს ა ხ ა ტ ო ვ ი. ვიცდი.

ვ ა ს ი ლ ი ლ ე ო ნ ი დ ი ს ძ ე. დამნაშავე ვარ, დამნაშავე ვარ. რაო?
დავმალოთ? მოდი, სერგეი ივანიჩ, აი რას გეტყვით: გლეხს,
ერთ ამთგანს ჩავუღლოთ ჯიბეში. აი, თუნდაც ამას. შენ მისმინე.
რაო? სადა გაქვს ჯიბე?

I I I გ ლ ე ხ ი. ჯიბე რაღად გინდა! დახეთ, ჯიბეო! მე ჯიბეში ფული
მაქვს.

ს ა ხ ა ტ ო ვ ი. აბა, ქისა სადა გაქვს?

I I I გ ლ ე ხ ი. შენ რაღად გინდა?

მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი. რას სჩადი! ახალგაზრდა ბატონია ეგ.

ვ ა ს ი ლ ი ლ ე ო ნ ი დ ი ს ძ ე (ხარხარებს). იცით, ასე რატომ შე-
შინდა? ახლავე გეტყვით: უამრავი ფული აქვს. რაო?

ს ა ხ ა ტ ო ვ ი. დიახ, დიახ, მესმის. აბა, აი, რა: თქვენ მაგათ ელაპარა-
კეთ, მე კი ამასობაში ჩუმად ჩავდებ აი, ამ ჩანთაში — ისე, რომ
ამათმა არ იცოდნენ და ვერც ვერანაირად ანიშნონ. ელაპარაკეთ
მაგათ.

ვ ა ს ი ლ ი ლ ე ო ნ ი დ ი ს ძ ე. ახლავე, ახლავე. აბა, როგორ არი,
ყმაწვილებო, ყიდულობთ მიწას? რაო?

I გ ლ ე ხ ი. ჩვენ მთელი გულით ვთავაზობთ. ოღონდ ეგაა, არ იძვრის
წინ საქმე.

ვ ა ს ი ლ ი ლ ე ო ნ ი დ ი ს ძ ე. თქვენც ნუ 'ხუნწობთ ხოლმე. მიწა —
დიდი საქმეა. მე ხომ გითხარით, პიტნა-მეთქი. თამბაქოც შეიძ-
ლება ამასთანავე.

¹ ძღობისად საუზმე (ფრანგ.).

- I გლესი. ნამდვილად, ყველანაირი პროდუქტი შეიძლება.
- III გლესი. შენ კიდე, ბატონო, სთხოვე ბატონს, მამაშენს. თორემ როგორ უნდა ვიცხოვროთ? მცირე მიწა გვაქვს, ქათამი რომ ქათამია, ვთქვათ, იმასაც ვერსად გაუშვებ კაცი.
- სახატოვი (კოვხს III გლესის აბგაში დებს). C'est fait. მზადაა. წავიდეთ. (მიდის).
- ვასილი ლეონიდის ძე. თქვენ ნუ ძუნწობთ ხოლმე. პა? აბა, კარგად მეყოლეთ. (გადის).

გამოსვლა მეთექვსმეტე

სამი გლესი, მზარეული ქალი და ძველი მზარეული (ლუმელზე).

- III გლესი. ხომ ვთქვი: დუქანში-მეთქი. თითო-თითო უზალთუნს მიცემდით, ვთქვათ, და ვიქნებოდით მშვიდზე-მშვიდად, აქ კი დაგვიფაროს უფალმა. ფული მომეციო. რისთვის თქვა?
- II გლესი. ალბათ, ნასვამი იყო.
- გლესები ფიქნებს აბრუნებენ, დგებიან და პირჯვარს იწერენ.
- I გლესი. ხომ გახსოვს, სიტყვა რომ ჩამოაგდო, პიტნა დათესეთო? გულისხმა უნდა ამასაც.
- II გლესი. დახეთ, პიტნა დათესეთო. აბა, მიდი და მოსინჯე, სცადე — იმუშავე და პიტნა თუ მოვაგონდება... აბა, უმორჩილესად გმადლობთ!.. რა ვქნათ, გონიერო, სად დავწვეთ აქ?
- მზარეული ქალი. დაწეით — ერთი ლუმელზე, ანდა ტახტებზე.
- III გლესი. უფალო იესო, დაგვიფარე. (ლოცულობს).
- I გლესი. ღმერთმა ქნას და მოვაგვაროთ საქმე. (წვება). ხვალ, სადილობის მერე წავგრიალდებოდით მანქანით, სამშაბათს შინ ვიქნებოდით.
- II გლესი. სინათლეს ჩააქრობთ?
- მზარეული ქალი. რისი ჩაქრობა! აქ სულ სირბილი იქნება, ვის რა მოუნდება და ვის რა... თქვენ დაწეით, რადაცას მოვახვევ.
- II გლესი. მცირე მიწაზე როგორ უნდა იცხოვრო კაცი? მე ხომ, აგერ, შობას აქეთა პურს ვყიდულობ. შვრიის ნამჯაც ყუაზე და მივიდა. არადა, ოთხ დესეტინას მოვხნავდი, სიომკას შინ წავიყვანდი.
- I გლესი. ოჯახის პატრონი ხარ. რა გავიჭირდებოდა! აიღე მოსავალი და მიდი, იბუებუყე. ოღონდ საქმე გაკეთდეს და.
- III გლესი. ღვთისმშობელს უნდა ვთხოვოთ შემწეობა. იქნება წყალობა გვიყოს.

გამოსვლა მეთექვსმეტე

სიჩუმე, ოხვრა, კრუსუნი. შემდეგ ისმის ნაბიჯების ბრავაბრუგი, ხმიანობა, კარი ფართოდ იღება და სწრაფად შემოდის: თვალბახვეული გროსმანი, ხელი სახატოვისთვის ჩაუვლია, პროფესორი და ექიმი, სქელუა ქალბატონი და ლეონიდ ფიოდორის ძე, ბეტსი და პეტრი შჩოვი, ვასილი ლეონიდის ძე და მარია კონსტანტინის ასული, ქალბატონი და ბარონესა, ფიოდორ ივანის ძე და ტანია. სამი გლესი, მზარეული ქალი და ძველი მზარეული (არა ჩანს). გლესები ფეხზე წამოიჭრებიან. გროსმანი სწრაფი ნაბიჯით შემოდის, მერე ჩერდება.

- სქელუა ქალბატონი. თქვენ ნუ წუხხართ: თვალს ვადევნებ, ვიკისრე თვალის დევნება და კიდეც მკაცრად ვასრულებ ჩემს მოვალეობას. სერგეი ივანიჩ, თქვენ ხომ არ მიგყავთ?
- სახატოვი. არა, რას ამბობთ.
- სქელუა ქალბატონი. არც წაიყვანოთ, მაგრამ არც შეეწინააღმდეგოთ. (ლეონიდ ფიოდორის ძეს). ვიცი ეს ცდები. თავად ვაკეთებდი. ზოგჯერ, ხდებოდა ხოლმე, ვიგრძნობდი ღინებას, და როგორც კი ვიგრძნობდი...
- ლეონიდ ფიოდორის ძე. გთხოვთ დაიცვათ სიჩუმე.
- სქელუა ქალბატონი. აჰ, ეს ხომ ძალიან კარგად მესმის! ეს მე ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი. როგორც კი ყურადღება გაიფანტება, უკვე არ შემიძლია...
- ლეონიდ ფიოდორის ძე. უშ...
- დადიან, ეძებენ I და II გლესის ირგვლივ და III-სთან მიდიან. გროსმანი მერხზე ფეხს იყრავს.

ბარონესა. Mais dites moi, on le paye?¹

ქალბატონი. Je ne saurais vous dire.²

ბარონესა. Mais c' est un monsieur? ³

ქალბატონი. Oh, oui.⁴

ბარონესა. Ca tient du miraculeux. N'est-ce pas? Comment est-ce qu'il trouve?⁵

¹ მითხარით, მას ფულს უხდიან? (ფრანგ.).
² ვერ გეტყვით (ფრანგ.).
³ ბატონთაგანია? (ფრანგ.).
⁴ ო, დიახ (ფრანგ.).
⁵ ეს ზებუნებრივია. ხომ მართალია? როგორ პოულობს? (ფრანგ.).

ქალბატონი. Je ne saurais vous dire. Min mari vous l'ex- pliquera¹. (დაინახავს გლეხებს, მიმოიხედავს და მზარეულ ქალს შე- ნიშნავს): pardon... ეს რა არის?

ბარონესა ჯგუფთან მიდის.

(მზარეულ ქალს). ვინ შემოუშვა გლეხები?

მზარეული ქალი. იაკოვმა მოიყვანა.

ქალბატონი. იაკოვს ვინ უბრძანა?

მზარეული ქალი. არ ვიცი. ფიოდორ ივანიჩმა კი ნახა ეგენი.

ქალბატონი. ლეონიდ!

ლეონიდ ფიოდორის ძეს არ ესმის, ძებნაშია გართული, დაუქმებს ცოლს.

ფიოდორ ივანიჩ! ეს რას ნიშნავს? განა არ ნახეთ, მთელ წინ- კარს დეზინფექცია რომ გავუკეთე? ახლა კი თქვენ მთელი სამზარეუ- ლო მომიშხამეთ, შავი პური, ბურახი...

ფიოდორ ივანიჩ ძე. მე ვფიქრობდი, აქ არ იქნებოდა საშიში; ხალხი კი საქმეზეა მოსული. შორი გზა აქვთ თავის სოფლამდე.

ქალბატონი. საქმეც მაგაშია, რომ კურსკის სოფლიდან არიან, სა- დაც ხალხი ბუზებივით იხოცება ხუნავისაგან. მთავარი კი ისაა — მე ვბრძანე, სახლში არ გააჩეროთ-მეთქი!.. ვბრძანე თუ არა? (მი- დის გლეხების გარშემო შეკრებილ ჯგუფთან). ფრთხილად! არ მიეკაროთ: ყველანი ხუნავით არიან დაავადებულნი!

არავინ უგდებს ყურს.¹ იგი მედიდურად გადგება განზე, უძრავად დგას, იცდის.

პეტრიშოვი (ცხვირს აქშუტუნებს). ხუნავისა არ ვიცი, მაგრამ რაღაც სხვა სნება კი არის ჰაერში. გესმით?

ბეტსი. გეყო ტყუილი! ვოვო, რომელ ჩანთაშია!

ვასილი ლეონიდის ძე. იმაში, იმაში. მიადგა, მიადგა.

პეტრიშოვი. ეს რა არის აქ, სულგებია თუ სუნები?

ბეტსი. აი, რა ღროს არის მისწრება თქვენი პაპიროსები. მოსწიეთ, მოსწიეთ, ჩემს ახლოს.

პეტრიშოვი იხრება და თამბაქოს კვამლს აფრქვევს ბეტსის.

ვასილი ლეონიდის ძე. საცაა მიადგება, მე თქვენ გეტყვიოთ რაო?

გროსმანი (მოუსვენრად აფათურებს ხელს III გლეხის სიახლო- ვეს). აქ არის, აქ არის. ვგრძნობ, რომ აქ არის.

სქელუა ქალბატონი. დინებას გრძნობთ?

გროსმანი იხრება და იღებს კოვზს.

ყველა. ბრავო!

¹ ვერ გეტყვით. ჩემი ქმარი ავიხსნით ამას... მაპატიეთ... (ფრანგ.).

საერთო აღფრთოვანება.

ვასილი ლეონიდის ძე. ჰა? აი, სად ყოფილა ჩვენი კოვზი! (გლეხს). ეს როგორა ჰქენი?

III გლეხი. რა როგორ ვქენი? არ ამილია მე შენი კოვზი. რას ბლანდავს? არ ამილია-მეთქი და არც ამილია, არც კი დამისომ- რებია. აუშვია თავი! კი მივხვდი, კარგ საქმეზე რომ არ იყო მო- სული. ქისა მომეცით. მე არ ამილია, ქრისტე-ღმერთია მოწმე, არ ამილია.

ახალგაზრდობა გარს ეხვევა, იცინიან.

ლეონიდ ფიოდორის ძე (შვილს, ვაბრაზებით). სულ მუდამ ნუ სულელობ ხოლმე! (III გლეხს). ნუ წუხხარ, მეგობარო! ვი- ცით, რომ არ ავილია; ეს ცდა იყო.

გროსმანი (სახვევს იხსნის და თავს ისე იჭერს, თითქოს გამოფხიზ- ლდა). წყალი, თუ შეიძლება... გთხოვთ.

ყველა მის ირგვლივ ფუსფუსებს, თავს დასტრიალებენ.

ვასილი ლეონიდის ძე. წავიდეთ აქედან, მეეტლეების ბინაში. გაჩვენებთ, ერთი როგორი ქოფაკი მყავს იქა. épatant¹ რაო?

ბეტსი. რა საძაგელი სიტყვაა. განა არ შეიძლება თქვა: ძალი?

ვასილი ლეონიდის ძე. არ შეიძლება. ხომ არ შეიძლება, აი, შენზე ითქვას: რა épatant აღამიანი არის ბეტსიო? ასე უნდა ითქვას: ქალწული; ესეც ასევეა. რაო? მარია კონსტანტინოვნა, მართალია? ხომ კარგია? (ხარხარებს).

მარია კონსტანტინის ასული. აბა, წავიდეთ.

მარია კონსტანტინის ასული, ბეტსი, პეტრიშოვი და ვასილი ლეონიდის ძე გადიან.

გამოსვლა მითვრავია

იგინივე, ბეტსის, მარია კონსტანტინის ასულის, პეტრიშოვისა და ვასილი ლეონიდის ძის გარეშე.

სქელუა ქალბატონი (გროსმანს). რა? როგორ? დაისვენეთ? (გროსმანი არ პასუხობს. სახატოვს). სერგეი ივანოვიჩ, თქვენ გრძნობდით დინებას?

სახატოვი. არაფერი მიგრძნია. დიახ, მშვენიერია, მშვენიერია. ერთობ კარგი გამოვიდა.

ბარონესა. Admirable! Cane le fait pas souffrir?²

ლეონიდ ფიოდორის ძე. Pas le mois du monde.³

¹ გასაოცარი (ფრანგ.).

² საუცხოო! არ სტკივა? (ფრანგ.).

³ სულაც არა (ფრანგ.).

პროფესორი (გროსმანს). ნება მიბოძეთ. (თერმომეტრს აწვდის).
ცდის დასაწყისში ოცდაჩვიდმეტი და ორი იყო. (ეჭიშს). მგონი,
ასე იყო, არა? ჰქენით სიკეთე და პულსი შეამოწმეთ. ხარჯვა
გარდუვალა.

ექიმი (გროსმანს). აბა, ბატონო, გთხოვთ, მაჯა მომეცით. შევამოწ-
მებთ, შევამოწმებთ. (საათს იღებს, ხელში უჭირავს).

სქელუა ქალბატონი (გროსმანს). გთხოვთ. მაგრამ ავი იმ მდგო-
მარეობას, რომელშიაც თქვენ იმყოფებოდით, ძილს ვერ ვუწო-
დებთ?

გროსმანი (დაღლილი). იგივე ჰიპნოზია.
სახატოვი. ალბათ, ისე უნდა გავიგოთ, რომ საკუთარ თავსვე გაუ-
კეთეთ ჰიპნოზი?

გროსმანი. რატომაც არა? ჰიპნოზი შეიძლება დაიწყოს არა მხო-
ლოდ ასოციაციის, ანდა, ვთქვათ, როგორც შარკოს აქვს — დაფ-
დაფის ხმიანობისას, არამედ მარტოდენ ჰიპნოზურ ზონაში შეს-
ვლის დროსაც კი.

სახატოვი. ეს, დავუშვათ, ასეა, მაგრამ მაინც რა არის ჰიპნოზი?
პროფესორი. ჰიპნოზი ერთი ენერჯის მეორედ გადაქცევის მო-
ვლენა გახლავთ.

გროსმანი. შარკო ასე არ განმარტავს.
სახატოვი. გთხოვთ, გთხოვთ. ასეთია თქვენეული განსაზღვრა,
მაგრამ თვითონ ლიბო მეუბნებოდა...

ექიმი (მაჯას ხელს უშვებს). კარგია, კარგია, ახლა ტემპერატურა
ენახოთ.

სქელუა ქალბატონი (საუბარში ერევა). არა, მომისმინეთ! მე
ვეთანხმები ალექსეი ვლადიმეროვიჩს. და აი, ყველა მტკიცე-
ბაზე უკეთესი საბუთი. როცა ჩემი ავადმყოფობის შემდეგ უ-
რძნობლად ვიწექი, ლაპარაკის გუნებაზე მოვედი. საერთოდ, არ
მიყვარს ლაპარაკი, დუმილს ვარჩევ ხოლმე, მაგრამ უცებ ლა-
რაკის მოთხოვნილება გამიჩნდა, ვლაპარაკობდი და ვლაპარაკო-
ბდი. მეუბნებოდნენ, ისე ლაპარაკობ, ყველა გაოცებას არის
(სახატოვის). თუმცა, მგონი, სიტყვა შეგაწყვეტინეთ, არა?

სახატოვი (ღირსეულად). სულაც არა. დამდეთ პატივი.
ექიმი. პულსი ოთხმოცდაორია, ტემპერატურამ ნული მთელით
სამი მეათედით აიწია.

პროფესორი. ესეც თქვენ მტკიცება! ასეც უნდა ყოფილიყო
(იღებს უბის წიგნაკს და მონაცემებს იწერს). ოთხმოცდაორია
ასეა? და ოცდაჩვიდმეტი და ხუთი მეათედი? იწყება თუ
ჰიპნოზი, აუცილებლად ძლიერდება გულის მოქმედება.

ექიმი. მე, როგორც ექიმი, ვადასტურებ, რომ თქვენი წინასწარმე-
ტყველება სავსებით დადასტურდა.

პროფესორი (სახატოვის). ჰოდა, რას ამბობდით?..

სახატოვი. იმას ვამბობდი, რომ ლიბომ თვითონ მითხრა, ჰიპნო-
ზი მხოლოდ განსაკუთრებული ფსიქიური მდგომარეობაა, რო-
მელიც შთაგონებას აძლიერებს.

პროფესორი. ეს ასეა, მაგრამ მთავარი მაინც — ეკვივალენტუ-
რობის კანონი გახლავთ.

გროსმანი. გარდა ამისა, ლიბო სულაც არ არის ავტორიტეტი, ხო-
ლო შარკომ ყოველმხრივ გამოიკვლია და დაამტკიცა, რომ ჰიპ-
ნოზი, გამოწვეული დარტყმით, ტრამვით...

სახატოვი. მე ხომ არ უარყოფ შარკოს შრომებს. მეც წამიკი-
თხავს ეს შრომები; მე მხოლოდ იმას ვამბობ, რაც ლიბომ მითხ-
რა.

გროსმანი (გაცხარებით). სალპეტრიერში სამი ათასი ავადმყოფია,
და მე მთელი კურსი მოვისმინე.

პროფესორი. ნება მიბოძეთ, ბატონებო საქმე ამაში როდია.

სქელუა ქალბატონი (საუბარში ერევა). მე ორი სიტყვით
ავიხსნით. ჩემი ქმარი ავად რომ იყო, ყველა ექიმმა უარი თქვა...

ლეონიდ ფიოდორის ძე. თუმცა, სახლში შევიდეთ. ბარო-
ნესა, მობრძანდით!

ყველა ერთად ლაპარაკობს, ერთმანეთს აწყვეტინებენ და
ასე გადიან.

გამოსვლა მესხრამებზე

სამი გლეხი, მზარეული ქალი, ფიოდორ ივა-
ნის ძე. ტანია, ძველი მზარეული (ლუმელზე).
ლეონიდ ფიოდორის ძე და ქალბატონი.

ქალბატონი (ლეონიდ ფიოდორის ძეს სახელოზე ჰკიდებს ხელს და
აჩერებს). მე თქვენ რამდენჯერ გთხოვეთ, ნუ ითაოსნებთ სახლ-
ში-მეთქი! თქვენ მხოლოდ თქვენი სისულელეები იცით, ოჯახი
კი ჩემზე ჰკიდია. თქვენ ყველას დაგვაავადმყოფებთ აქ.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ვინა? რა? ვერაფერი გამიგია.

ქალბატონი. როგორ? ხუნავით დაავადებული ხალხი დამეს ათ-
ვეს სამზარეულოში, რომელსაც გამუდმებული კავშირი აქვს
სახლთან.

ლეონიდ ფიოდორის ძე. მაგრამ მე...

ქალბატონი. რა მე?

ლეონიდ ფიოდორის ძე. მე არაფერი ვიცი.

ლ. ტოლსტოი

ქალბატონი. უნდა იცოდეთ, თუკი ოჯახის თავი ხართ. არ შეიძლება ასე.

ლეონიდ ფიოდორის ძე. მე მეგონა... მეგონა...

ქალბატონი. აუტანელია თქვენი მოსმენა!

ლეონიდ ფიოდორის ძე დუმს.

(ფიოდორ ივანის ძეს). ახლავე გააგდე! მაგათი ფეხი არ ვნახო სამზარეულოში! ეს საშინელებაა. არავინ მისმენს, ყველანი ჯიბრზე... მე იქიდან გავაგდე, ესენი აქედან უშვებენ. (სულ უფრო და უფრო ღელავს და ბოლოს ცრემლი ერევა.) ყველაფერი ჩემს ჯიბრზე! ყველაფერი ჩემს ჯიბრზე! და ეს მაშინ, როცა ასეთი ტყვივლები მაქვს... ექიმო! ექიმო! პიოტრ პეტროვიჩი! ისიც წავიდა! (სლუკუნებს და მიდის, ლეონიდ ფიოდორის ძეც მიჰყვება).

გამოსვლა მითა

სამი გლეხი, ტანია, ფიოდორ ივანის ძე, მზარეული ქალი და ძველი მზარეული. სურათი. ყველანი დგანან და დიდხანს ხმას არ იღებენ.

III გლეხი. ჯანდაბას მაგათი თავი! ემანდ აქ პოლიციაში ამოყოფ კაცი თავს. მე კი თავის დღეში არ ვყოფილვარ სამართალში. დუქანში წავიდეთ, ბიჭებო!

ფიოდორ ივანის ძე (ტანიას). რაღა ვქნათ? ტანია. არაფერია, ფიოდორ ივანის ძე. მეეტლებების ბინაში შევიყვანოთ.

ფიოდორ ივანის ძე. მეეტლებების ბინაში როგორღა შევიყვანო? მეეტლე ისედაც ჩიოდა, ძაღლებითაა სავესო.

ტანია. მაშინ, მეეზოვის სადგომში.

ფიოდორ ივანის ძე. რომ გაიგონ? ტანია. ვერაფერსაც ვერ გაიგებენ. ნურაფრისა გეშინიათ, ფიოდორ ივანის ძე, განა შეიძლება, ღამით გარეთ გავყაროთ ხალხი? ახლა ვერც ღამის გასათევს ნახავენ სადმე.

ფიოდორ ივანის ძე. აბა, ჰქენი, როგორც იცი, ოღონდ აქ არ იყვნენ და. (მიდის).

გამოსვლა ოცდაათმე

სამი გლეხი, მზარეული ქალი, ტანია და ძველი მზარეული. გლეხები ჩანთებს იღებენ.

ძველი მზარეული. დახეთ, ეგ წყეულები! ქონი მოსჭარბებოდა და არ იციან, რა ჰქნან! წყეულები!..

მზარეული ქალი. შენ მაინც გაჩუმდი. მადლობა თქვი, არ დაუნახიხართ.

ტანია. მეეზოვის ბინაში წავიდეთ, ძიებო.

I გლეხი. ჩვენი საქმე როგორღა იქნება? მაგალითად, ხელის მოწერის საკითხი? რა ვქნათ, გვეკონდეს იმედი?

ტანია. აგერ, ერთი საათის შემდეგ ყველაფერს გავიგებთ.

II გლეხი. მოახერხებ?

ტანია (იცინის). როგორც ღმერთი ინებებს.

ფარდა

მოქმედება მესამე

მოქმედება ხდება იმავე დღის საღამოს, პატარა სასტუმრო ოთახში, სადაც ყოველთვის ატარებს ხოლმე ლეონიდ ფიოდორის ძე ცდებს.

გამოსვლა პირველი

ლეონიდ ფიოდორის ძე და პროფესორი.

ლეონიდ ფიოდორის ძე. რა ვქნათ, გავრისკოთ სეანსი ჩვენი ახალი მედიუმის მონაწილეობით?

პროფესორი. უცილობლად. მედიუმი უეჭველად ძლიერია. მთავარი კი ისაა, სასურველია, რომ სეანსი ახლაც იმავე პერსონალით ჩავატაროთ. გროსმანი უცილობლად უნდა გაეპასუხოს მედიუმური ენერჯის გავლენას, მაშინ მოვლენათა კავშირი და ერთიანობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება. თქვენ ნახავთ, თუკი მედიუმი ისევე ძლიერი იქნება, როგორც ახლა იყო, გროსმანი რჩევას დაიწყებს.

ლეონიდ ფიოდორის ძე. მაშინ მე, იცით, გამოვაძახებინებ სემიონს და მოვიწვევ მსურველებს.

პროფესორი. დიახ, დიახ, მე მხოლოდ ზოგიერთ შენიშვნას ჩავიწერ. (იღებს უბის წიგნაკს და წერს).

გამოსვლა მეორე

იგინივე და სახატოვი

სახატოვი. იქ ანა პავლოვნასთან ვინტს ჩაუჯდნენ, მე კი, როგორც შტატგარეშე დარჩენილი... გარდა ამისა, სეანსით დაინტერესებული პირი, აი, თქვენ გამოგეცხადეთ... რაო, იქნება სეანსი?

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე . იქნება, აუცილებლად იქნება!
ს ა ხ ა ტ ო ვ ი . როგორ, ბატონო კაპრიჩის მედიუმური ძალის გარეშე?

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე . Vous avez la main heureuse.¹
წარმოიდგინეთ, სწორედ ის გლეხი, რომელზედაც ვიამბეთ, უმე-
ველი მედიუმი გამოდგა.

ს ა ხ ა ტ ო ვ ი . აჰა! ო, ეს განსაკუთრებით საინტერესოა!
ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე . დიახ, დიახ, სადილის შემდეგ პა-
ტარა წინასწარი ცდა ჩავუტარეთ.

ს ა ხ ა ტ ო ვ ი . მოასწარით ჩატარება და კიდევ დარწმუნდით?..

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე . სავსებით, და შესანიშნავი ძალის
მქონე მედიუმი გამოდგა.

ს ა ხ ა ტ ო ვ ი (ურწმუნოდ). აჰა!

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე . აღმოჩნდა, თურმე საჯალაბოში რა-
ხანია შეუღმჩნევიათ. მიუჯდება ფინჯანს, კოვზი კი თავისით ჩაუ-
ვარდება ხელში. (პროფესორს). თქვენ გაიგეთ?

პ რ ო ფ ე ს ო რ ი . არა, ეს, საკუთრივ, არ გამიგონია.

ს ა ხ ა ტ ო ვ ი (პროფესორს). და მაინც თქვენ დასაშვებად მიგაჩნიათ
ასეთი მოვლენების შესაძლებლობა?

პ რ ო ფ ე ს ო რ ი . რა მოვლენების?

ს ა ხ ა ტ ო ვ ი . აი, საერთოდ, სპირიტულ, მედიუმურ, საერთოდ ზებუ-
ნებრივი მოვლენების შესაძლებლობა.

პ რ ო ფ ე ს ო რ ი . საქმე ისაა, რას ვეძახით ჩვენ ზებუნებრივს? როცა
ცოცხალმა ადამიანმა კი არა, ქვის ნაჭერმა მიიზიდა ლურსმანი,
როგორი აღმოჩნდა ეს მოვლენა დამკვირვებლისათვის: ბუნებრი-
ვი თუ ზებუნებრივი?

ს ა ხ ა ტ ო ვ ი . ჰო, რასაკვირველია; მაგრამ ისეთი მოვლენები, როგო-
რიცაა მაგნიტის მიზიდულობა, გამუდმებით მეორდებიან ხოლმე.

პ რ ო ფ ე ს ო რ ი . აქაც იგივე გვაქვს. მოვლენა მეორდება და ჩვენ
მას კვლევას ვუქვემდებარებთ. უფრო მეტიც, საკვლევ მოვლენ-
ებს სხვა მოვლენებთან, მის საერთო კანონზომიერებებს ვუ-
ფარდებთ. მოვლენები ხომ მხოლოდ იმითომ ჩანს ზებუნებრივი,
ამ მოვლენათა მიზეზებს თვითონ მედიუმს რომ მივაწერთ
ხოლმე. მაგრამ ეს ხომ არასწორია. მოვლენები წარმოიშობიან
მედიუმის კი არა, იმ სულიერი ენერჯის მიერ, რომელიც მე-
დიუმის მეშვეობით ვლინდება: ეს კი დიდი სხვაობაა. მთელი არ-
სი ეკვივალენტურობის კანონში მდგომარეობს.

ს ა ხ ა ტ ო ვ ი . დიახ, რასაკვირველია, მაგრამ...

ი გ ი ნ ი ვ ე და ტ ა ნ ი ა (შემოდის და ფარდის უკან დგება).

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე . მხოლოდ ერთი იცოდეთ: ისევე,
როგორც იუმთან და კაპრიჩთან, ახლაც, ამ მედიუმთანაც არ შე-
იძლება წინდაწინ დაიმედება. მოსალოდნელია წარუმატებლო-
ბაც, მაგრამ შესაძლოა სრული მატერიალიზაციაც.

ს ა ხ ა ტ ო ვ ი . მატერიალიზაცია კი? რა მატერიალიზაცია შეიძლება
იყოს?

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე . რა და, მოვა გარდაცვლილი ადა-
მიანი: თქვენი მამა, პაპა, მოგკიდებთ ხელს, რაიმეს მოგცემთ;
ანდა უცებ ვინმე აიწევეს ჰაერში, როგორც ამას წინათ დაგვე-
მართა მე და ალექსეი ვლადიმეროვიჩს.

პ რ ო ფ ე ს ო რ ი . რასაკვირველია, რასაკვირველია. მაგრამ მთავარია
— მოვლენათა ახსნა და მათი საერთო კანონზომიერებებთან შე-
ფარდება.

გამოსვლა მეოთხე

ი გ ი ნ ი ვ ე და ს ქ ე ლ უ ა ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი .

ს ქ ე ლ უ ა ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი . ანა პავლოვნამ დამართო თქვენთან მოს-
ვლის ნება.

ლ ე ო ნ ი დ ფ ი ო დ ო რ ი ს ძ ე . მობრძანდით!

ს ქ ე ლ უ ა ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი . მაინც, როგორ გადაიღალა გროსმანი.
ფინჯნის დაჭერა ვერ შეძლო. შენიშნეთ, როგორ გაფითრდა
(პროფესორს) იმ წუთს, როცა მიუახლოვდა? მე მაშინვე შეე-
ნიშნე, პირველმა მე ვუთხარი ანა პავლოვნას.

პ რ ო ფ ე ს ო რ ი . უეჭველად, ეს ხომ სასიცოცხლო ენერჯის ხარ-
ჯვაა.

ს ქ ე ლ უ ა ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი . აი, მეც ვამბობ, რომ არ შეიძლება ამის
ბოროტად გამოყენება. მაშ, როგორ, ერთ ჩემს ნაცნობს, ვეროჩი-
კა კონშინას, — თუმცა, თქვენც იცნობთ, — ჰიპნოტიზიორმა
შთაავონა, თამბაქოს წვეას თავი დაანებეო, მას კი ზურჯის ტკი-
ვილი დაეწყო.

პ რ ო ფ ე ს ო რ ი (ლაპარაკის წამოწყება უნდა). ტემპერატურის გა-
ზომვა და პულსი თვალნათლივ გვიჩვენებენ...

ს ქ ე ლ უ ა ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი . მე ამწამსვე, გთხოვთ. ჰოდა, ვეუბნები:
სჯობია მოსწიო, ვიდრე ასე აიწეწო ნერვები და გაიტანჯო-მეთ-

¹ თქვენ ბედნიერი ხელი გაქვთ (ფრანგ.).

ქი. რასაკვირველია, თამბაქოს წვევა მავნებელია და თავის დანებებაც მინდოდა, მაგრამ რა გინდათ, არ შემძლია. ერთხელ ორი კვირა არ ვეწეოდი, მერე კი ვერ მოვითმინე.

პროფესორი (ისევ ცდილობს ლაპარაკს). უეჭველად გვიჩვენებენ..

სქელუა ქალბატონი. არა, არა, გთხოვთ! მე ორიოდ სიტყვით. თქვენ ამბობთ, ძალების ხარჯვით? მეც მინდოდა მეთქვა, როცა საფოსტოთი ვმგზავრობდი... მაშინ საშინელი გზები იყო, თქვენ ეს არ გემახსოვრებათ, მე კი ვგრძნობდი, და ახლა მთელი ჩვენი ნერვიულობა რკინიგზის ბრალია. მე, მაგალითად, გზაში დაძინება არ შემძლია, — თუნდაც მომკალით, ვერ დავიძინებ.

პროფესორი (კვლავ იწყებს, მაგრამ სქელუა ქალბატონი არ აცლის ლაპარაკს). ძალთა ხარჯვა...

სახატოვი (ღიმილით). დიახ, დიახ.

ლეონიდ ფიოდორის ძე ზარს რეკავს.

გამოსვლა მხუთე

იგინივე და გრიგორი.

ლეონიდ ფიოდორის ძე. უთხარით, გეთაყვა, ფიოდორს, ყველაფერი მოამზადოს სენანისათვის და სემიონს დაუძახებთ აქ — მებუფეტე ბიჭს, სემიონს, გაიგეთ?

გრიგორი. გავიგე, ბატონო! (გაღის).

გამოსვლა მთავარი

ლეონიდ ფიოდორის ძე. პროფესორი, სქელუა ქალბატონი და ტანია (დამალული).

პროფესორი (სახატოვს). ტემპერატურის გაზომვამ და პულსმა სასიცოცხლო ენერჯის დახარჯვა გვიჩვენეს. იგივე იქნება მედიკამენტების მოვლენების დროსაც. ენერჯის შენახვის კანონი...

სქელუა ქალბატონი. დიახ, დიახ. კიდევ მხოლოდ ის მინდოდა და მეთქვა, რომ ძალიან მოხარული ვარ, რაკი უბრალო გლეხი მედიკამენტი აღმოჩნდა. ეს მშვენიერია. მე მუდამ ვამბობდი, რომ სლავიანოფილები...

ლეონიდ ფიოდორის ძე. გავიდეთ ჯერჯერობით სასტუმროში. სქელუა ქალბატონი. გთხოვთ, მე ორიოდ სიტყვით... სლავიანოფილები მართლმადიდებლები არიან, მაგრამ მე მუდამ ვეუბნებოდი ჩემს ქმარს, გადაჭარბება არაფერში ვარგა-მეთქი. საშუალო ხასი

ხომ იცით. თორემ, როგორ უნდა ამტკიცო, ხალხში ყველაფერი კარგიაო, როცა მე თვითონ ვნახე...

ლეონიდ ფიოდორის ძე. სასტუმროში გამოსვლას არ ინებებთ?

სქელუა ქალბატონი. აი, ასეთი ყმაწვილი და უკვე არაყსა სვამს. მაშინვე კარგად გაეთათხე. მერე მადლობელიც კი იყო. ისინი — ბავშვები არიან, ბავშვებს კი, მე მუდამ ამას ვამბობდი, სიყვარულიც სჭირდებათ და სიმკაცრეც.

ყველანი ლაპარაკ-ლაპარაკით გადიან.

გამოსვლა მთავარი

ტანია (მარტო გამოდის კარსუკნიდან).

ტანია. აჰ, ნეტავი მოგვარდეს და მეტი არაფერი მინდა! (ძაფებს აბამს).

გამოსვლა მთავარი

ტანია და ბეტსი (სწრაფად შემოდის).

ბეტსი. papa არ არის აქ? (აკვირდება ტანიას). შენ აქ რა გინდა? ტანია. მე ისე, ლიზავეტა ლეონიდოვნა, შემოვედი, მინდოდა... ისე შემოვედი... (შეცბება).

ბეტსი. მაგრამ აქ ხომ ახლა სენანი იქნება? (ამჩნევს, რომ ტანია ძაფებს კრეფს, დაკვირვებით შესცქერის მას და უცებ ხარხარს იწყებს). ტანია! ეს შენ აკეთებ ყოველივე ამას? აბა, ნუ უარობ. მაშინაც შენ იყავი, არა?

ტანია. ლიზავეტა ლეონიდოვნა, შენი ჭირიმე!

ბეტსი (აღფრთოვანებით). აჰ, რა კარგია! ამას კი არ მოველოდი! რატომ აკეთებდი ხოლმე?

ტანია. ქალბატონო, თქვენი ჭირიმე, არ გამცეთ!

ბეტსი. არა-მეთქი, არაფრის გულისთვის. საშინლად მიხარია! კი მაგრამ, რანაირად აკეთებ?

ტანია. აი ასე: დავიმალეები, მერე კი, სინათლეს რო ჩააქრობენ, გამოვდივარ და ვაკეთებ.

ბეტსი (ძაფს უჩვენებს). ეს რად გინდა? ჰო, ნუ ამბობ, ვხვდები, ამას მოსდებ ხოლმე...

ტანია. ლიზავეტა ლეონიდოვნა, თქვენი ჭირიმე, მხოლოდ თქვენ გამოგიტყდებით. წინათ ისე ვცელქობდი, ვერთობოდი, ახლა კი საქმე მინდა გავაკეთო.

ბეტსი. როგორ, რა? რა საქმე?

ტანია. რა და, აი, თქვენაც ნახეთ, გლეხები მოვიდნენ, მიწის ყიდვა უნდათ, მამათქვენი კი არ ყიდის, ქალაქს არ მოაწერა ხელი, უკანვე დაბრუნა. ფიოდორ ივანიჩმა თქვა, სულელებმა აუტრიალესო. ჰოდა, ეს მოვიფიქრე.

ბეტსი. აჰ, რა ჭკუის კოლოფი ხარ! ჰქენი, ეგრე ჰქენი. მაგრამ როგორღა გააკეთებ?

ტანია. ასე მოვიფიქრე: როცა სინათლეს ჩააქრობენ, მაშინვე დავიწყებ კაკუნს, რაღაცეების ქნევას, ძაფებს ვესვრი თავებზე, ბოლოს ამოვიღებ იმ მიწის ქალაქს — აქა მაქვს — და მაგიდაზე დავაგდებ.

ბეტსი. მერედა რა?

ტანია. როგორ თუ რა? გაოცდებიან. ქალაქი გლეხებს ჰქონდათ, უცებ კი აქ გამოჩნდება. მერე ვუბრძანებ...

ბეტსი. მაგრამ ახლა ხომ სემიონია მედიუმი!

ტანია. ჰოდა, მას ვუბრძანებ... (ეცინება და ვერ ლაპარაკობს). ვუბრძანებ, ხელები მოუჭიროს, ვინც კი ხელში მოხვდება. ოღონდ მამათქვენს არა, — ამას ვერ გაბედავს, — სხვა ვინმეებს მოუჭიროს, სანამ ბატონი ხელს არ მოაწერს.

ბეტსი (იცინის). მაგრამ ასე არ აკეთებენ. მედიუმი თვითონ არაფერს აკეთებს.

ტანია. არა უშავს, სულ ერთია, იქნება ასედაც გამოვიდეს.

გამოსვლა მაცხრა

ტანია და ფიოდორ ივანის ძე. ბეტსი
რაღაცას ანიშნებს ტანიას და გადის.

ფიოდორ ივანის ძე (ტანიას). აქ რასა შვრები?

ტანია. თქვენთან მოვედი, ფიოდორ ივანიჩ, ბატონო!..

ფიოდორ ივანის ძე. რაო, რა გინდოდა?

ტანია. აი, ჩემი საქმე, რომ გთხოვეთ.

ფიოდორ ივანის ძე. (სიცილით). უკვე დაგნიშნე, ხელი ხელს მივეცი. ესაა, რომ არ დავგიღვევია.

ტანია (წამოიკივლებს). ნუთუ მართლა?

ფიოდორ ივანის ძე. ხომ გეუბნები. ასე თქვა, დედაბერს მოველაპარაკე და ღმერთმა ხელი მოუშარათო.

ტანია. ასე თქვა?.. (წამოიკივლებს). აჰ, თქვენი ჭირიმე, ფიოდორ ივანიჩ, მთელი ჩემი ცხოვრება თქვენს ლოცვაში ვიქნები!

ფიოდორ ივანის ძე. აბა, კარგი, კარგი. ახლა არა მცალია. მიბრძანეს, სენისისთვის გააწყვე ყველაფერი.

ტანია. მოდით, მეც მოგეხმარებით. როგორ უნდა გავაწყოთ?

ფიოდორ ივანის ძე. როგორაო? აი, ასე: მაგიდა — შუაგულ ოთახში, სკამები, გიტარა, ჰარმონია. ლამაა არაა საჭირო, სანთლები უნდა.

ტანია (ფიოდორ ივანის ძესთან ერთად აწყობს ოთახს). ასე? აქ გიტარა, აქ სამეღნე... (დგამს). ასეა, არა?

ფიოდორ ივანის ძე. ნუთუ მართლა სემიონს დასვავენ?

ტანია. ალბათ. ერთხელ უკვე ხომ დასვეს.

ფიოდორ ივანის ძე. საკვირველია! (pince-nez-ს იკეთებს). ოღონდ, სუფთად თუ არის?

ტანია. მე რა ვიცი!

ფიოდორ ივანის ძე. მაშინ, იცი რა...

ტანია. რა, ფიოდორ ივანიჩ?

ფიოდორ ივანის ძე. წადი, აიღე ფრჩხილის ჯაგრულა და ტრიდასის საპონი — თუნდაც ჩემი... ყველა ბრჭყალი დააჭერი და ხელები კარგა მაგრად დაბანე.

ტანია. თავადაც დაიბანს.

ფიოდორ ივანის ძე. მაშინ უთხარი მხოლოდ. თან უთხარი, სუფთა თეთრეული ჩაიცვას.

ტანია. კარგი, ფიოდორ ივანიჩ. (გადის).

გამოსვლა მათა

ფიოდორ ივანის ძე, მარტო, სავარძელში ჯდება.

ფიოდორ ივანის ძე. ნასწავლი, განათლებული ხალხია, თუნდაც ალექსეი ვლადიმეროვიჩი, პროფესორია, არადა ზოგჯერ დიდად დაეჭვდები კაცი. ნადგურდება ხალხური, გლეხური ცრურწმენები, ავი სულების, ჯადოქრების, კუდიანების რწმენა... არადა, თუ ჩაუღრმავდები, ესეც ხომ ასეთივე ცრურწმენაა. აბა, განა შეიძლება გარდაცვლილთა სულები ლაპარაკობდნენ და გიტარასაც კი უკრავდნენ? ვიღაც ასულელებით ალბათ, ანდა საკუთარ თავსვე ისულელებენ. ამ სემიონის ამბისა კი ვერა გამიგია რა. (ალბომს ათვალიერებს). აი, მისი სპირიტული ალბომი. აბა, განა შესაძლებელია, სულს ფოტოსურათი გადაუღო? აი, აგერ, გამოსახულება — თურქი და ლეონიდ ფიოდოროვიჩი სხედან. საკვირველია ადამიანთა სისუსტე!

გაოსვლა მეთარმება

ფიოდორ ივანის ძე და ლეონიდ
ფიოდორის ძე.

ლეონიდ ფიოდორის ძე (შემოდის). რაო, მზადაა?
ფიოდორ ივანის ძე (აუჩქარებლად დგება). მზადაა. (ლიმი-
ლით). ოღონდ არ ვიცი, ლეონიდ ფიოდოროვიჩ, ვშიშობ, თქვენმა
ახალმა მედღუმმა კომპრომეტირება არ გიყოთ.

ლეონიდ ფიოდორის ძე. არა, მე და ალექსეი ვლადიმერო-
ვიჩმა გამოვცადეთ. საოცრად ძლიერი მედღუმი!

ფიოდორ ივანის ძე. ეს კი აღარ ვიცი. ოღონდ, სუფთაა ნე-
ტავი? თქვენ არ იზრუნეთ, რომ ხელების დაბანა გებრძანები-
ნათ. თორემ მაინც უხერხულია.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ხელები? ოჰ, მართლა. შენ ფიქრობ,
უსუფთაო ექნება?

ფიოდორ ივანის ძე. აბა რა, გლახია. აქ კი მანდილოსნები
არიან, თანაც მარია ვასილიევნა.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ჰოდა, ძალიან კარგი.

ფიოდორ ივანის ძე. კიდევ ერთი რამ უნდა მომეხსენებინა?
ტიმოფეი, მეეტლე მოვიდა და იჩივლა, ძაღლების გამო სისუფ-
თავეს ვერ ვიცავო.

ლეონიდ ფიოდორის ძე (მაგიდაზე ნივთებს აწყობს. უგუ-
ლისყურად). რა ძაღლების გამო?

ფიოდორ ივანის ძე. ვასილი ლეონიდოვიჩს სამი მწევარი მო-
უყვანეს აგერ ახლა, მეეტლეების ბინაში მოათავსა.

ლეონიდ ფიოდორის ძე (წყენით). ანა პავლოვნას უთხარი,
რაც უნდა ის უყოს, მე არა მცალია.

ფიოდორ ივანის ძე. მაგრამ თქვენ ხომ იცით ქალბატონის გა-
მორჩეული სიყვარული...

ლეონიდ ფიოდორის ძე. როგორც უნდა, ისე ჰქნას. მაგ ბი-
ჭისგან უსიამოვნების მეტი არაფერი მაქვს... თანაც არც მცალია.

გაოსვლა მეთორმება

იგინივე და სემიონი (ხიფთანი აცვია,
შემოდის, იღიმება).

სემიონი. მოსვლა მიბრძანეთ?
ლეონიდ ფიოდორის ძე. ჰო, ჰო. ხელები მიჩვენე. ჰოდა,
კარგი, ძალიან კარგი. აი რა, მეგობარო, ისევე უნდა გააკეთო,
როგორც ამას წინათ ჰქენი, დაჯექი და გრძნობებს მიეცი. თუ
თვითონ კი ნურაფერს იფიქრებ.

სემიონი. რად უნდა ვიფიქრო? რო ფიქრობ, ის უარესია.
ლეონიდ ფიოდორის ძე. აი, ეგრე, ეგრე. რაც უფრო ნაკლე-
ბად შეიგნებ, მით უფრო ძლიერი გამოვა. ნუ იფიქრებ, მხოლოდ
განწყობილებას მიპყვე: ძილი მოგინდება — დაიძინე, სიარუ-
ლი მოგინდება — იარე; გაიგე?

სემიონი. როგორ ვერ გაიგე? არაფერი ეშმაკობა აქ არ არი.
ლეონიდ ფიოდორის ძე. და, რაც მთავარია — არ შეშინდე,
თავგზა არ დაკარგო. იქნებ ისეთი რამ მოხდეს, გაგიკვირდეს. გა-
იგე, აი, ისე, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ, ცხოვრობს სულთა
უხილავი სამყაროც.

ფიოდორ ივანის ძე (ასწორებს). უჩინარი არსებები, ხომ მი-
ხვდი?

სემიონი (იციინს). რა მიხვედრა უნდა? როგორაც თქვენ თქვით,
ძალიან უბრალო რამ არი.

ლეონიდ ფიოდორის ძე. იქნება ჰაერში აიწიო, ანდა რამე
სხვა მოხდეს, მაგრამ არ შეშინდე.

სემიონი. რად უნდა შევშინდე? ყველაფერი შეიძლება.

ლეონიდ ფიოდორის ძე. აბა, წავალ მაშინ, ხალხს დავუძახებ.
ყველაფერი მზადაა?

ფიოდორ ივანის ძე. მგონი, ყველაფერი.

ლეონიდ ფიოდორის ძე. გრიფელის დაფებიც?

ფიოდორ ივანის ძე. ქვემოთაა, ახლავე მოვიტან. (გაღის).

გაოსვლა მაცამება

ლეონიდ ფიოდორის ძე და სემიონი.

ლეონიდ ფიოდორის ძე. აბა, კარგია. შენ იცი, ნუ შეცბები
და თავისუფლად გეჭიროს თავი.

სემიონი. თუ გინდათ, ხიფთანს გავიხდი: უფრო თავისუფლად ვიქ-
ნები.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ხიფთანს? არა, არა, არ არის საჭი-
რო. (გაღის).

გაოსვლა მეთორმება

სემიონი, მარტო.

სემიონი. ტანიამაც ასევე მითხრა, ასე და ასე ჰქენიო, თვითონ კი
ისევე რაღაცეების ქნევას დაიწყებს. ნეტა, როგორ არ ეშინია?

სემიონი და ტანია (შემოდის; ფეხსაცმელები გაუხდია, შპალერის ფერი კაბა აცვია. სემიონი ხარხარებს.)

ტანია (უქმევს). უში!.. გაიგონებენ! ავე, მაშინდელივით, თითებზე ასანთის ღერები დაიწებე. (აწებებს). რა, ხომ ყველაფერი გახსოვს?

სემიონი (თითებს კეცავს). თავდაპირველად ასანთი დავასველო. ხელები ვაქნიო — ეს ერთი. ამის შემდეგ კბილები ვალრჭიალო, აი ასე... — ეს ორი. აი, მესამე დამავიწყდა.

ტანია. მესამე ყველაზე ადვილია. დაიხსოვ: ქალაღი რო მაგილაზე დავარდება — თან ზარსაც გავაწკარუნებ, — შენ მაშინვე აი, ავრე... ფართოდ გაშალე ხელები და მოჰხვიე. ვინც ახლოს გიზის, იმას მოჰხვიე. როცა კი მოჰხვიე, მოუჭირე და მოუჭირე. (იციინს). სულ ერთია, ბატონი იქნება თუ ქალბატონი, იცოდე — მოუჭირე და მოუჭირე, არ გაუშვა, თითქოსდა ძილში ხარ, თანაც კბილები აღრჭიალე, ანდა იღმუვლე, აი, ასე... (ღმუის). მერე, როცა მე ვიტარას დავუკრავ, ვითომ გაიღვიძე, აი, ასე გაიზმო რე და გაიღვიძე... ყველაფერი გახსოვს?

სემიონი. ყველაფერი მახსოვს, ოღონდ სასაცილოა ნამეტანი.

ტანია. არ გაიციინო. თუ მაინცდამაინც გაიციინებ, დიდი უბედურება არ იქნება. იფიქრებენ, ძილში იციინსო. ოღონდ ერთია, მართლა არ დაგეძინოს, როცა სინათლეს ჩააქრობენ.

სემიონი. ნუ გეშინია, ყურებზე ვიჩქმეტ ხოლმე.

ტანია. აბა, შენ იცი, სიომა, შენი ჭირიბე, ყველაფერი ჰქენი, არ დაფრთხე. მოაწერს ხელს ქალაღს. აი, ნახავ. მოდიან... (დივან-ქვეშ ძვრება).

გამოსვლა მეთექვსმეტი

სემიონი და ტანია. შემოდინ გროსმანი, პროფესორი, ლეონიდ ფიოდორის ძე, სქელუა ქალბატონი, ექიმი, სახატოვი, ქალბატონი.

სემიონი კართან დგას.

ლეონიდ ფიოდორის ძე. გთხოვთ, გთხოვთ, მობრძანდით, ყველა ურწმუნოვ! თუმცა ახალი, შემთხვევითი მედიუმი გვყავს, ამჟამად ფრიად მნიშვნელოვან შედეგებს ველი.

სახატოვი. ფრიად, ფრიად საინტერესოა.

სქელუა ქალბატონი (სემიონის მიმართ). Mais il est très bien¹.

ქალბატონი. როგორც ბუფეტის ბიჭი — ჰო, მაგრამ ესაა და ეს...

სახატოვი. ცოლებს მუდამ არა სწამთ ხოლმე თავიანთი ქმრების საქმენი. თქვენ სრულიად არ მივაჩნიათ, რომ დასაშვებია?

ქალბატონი. რასაკვირველია, არა. კაპჩიჩს, მართალია, აქვს რაღაც განსაკუთრებული, მაგრამ ეს ღმერთმა იცის, რა არის!

სქელუა ქალბატონი. არა, ნება მიბოძეთ, ანა პავლოვნა, არ შეიძლება ამის ამგვარად გადაწყვეტა. როცა ჯერაც გაუთხოვარი გახლდით, შესანიშნავი სიზმარი ვნახე. ხომ იცით, ზოგჯერ სიზმარი ისეთია ხოლმე, არც იცი, როდის იწყება და როდის მთავრდება; ჰოდა, სწორედ ასეთი სიზმარი ვნახე...

გამოსვლა მჩვიდმეტი

იგინივე, ვასილი ლეონიდის ძე და პეტრიშჩოვი შემოდინ.

სქელუა ქალბატონი. და ბევრი რამ გამიცხადდა ამ სიზმრით. დღეს კი ეს ახალგაზრდა ხალხი (უჩვენებს პეტრიშჩოვსა და ვასილი ლეონიდის ძეზე) ყველაფერს უარყოფს.

ვასილი ლეონიდის ძე. მე არასოდეს, მე თქვენ გეტყვით, არაფერს უარყოფ ხოლმე. რაო?

გამოსვლა მეთვრამეტი

იგინივე. შემოდინ ბეტსი და მარია კონსტანტინის ასული და პეტრიშჩოვთან საუბარს აბამენ.

სქელუა ქალბატონი. აბა, როგორ შეიძლება ზებუნებრივის უარყოფა? ამბობენ, გონებას არ ეთანხმებაო. მაგრამ გონება შეიძლება ბრიყვული იყოს, მაშინ რა ვქნათ? აი, საღოვოიზე — არ ვაგვიათ? — ყოველ საღამოს ჩნდებოდა. ჩემი ქმრის ძმა — რა ჰქვია?.. beau-frère² არა, რუსულად კი... მამამთილი არა, კიდევ რა არის ნეტავი? ვერასოდეს ვერ ვიმახსოვრებ ამ რუსულ სახელებს, — ჰოდა, სამ ღამეს ზედიზედ დადიოდა და მაინც ვერაფერი დაინახა, ამიტომაც ვამბობ...

ლეონიდ ფიოდორის ძე. აბა, ვინა და ვინ რჩება?

¹ ეს კი ძალიან კარგია (ფრანგ.).

² მაზლი (ფრანგ.).

სქელუა ქალბატონი. მე, მე!

სახატოვი. მე!

ქალბატონი (ექიმს). ნუთუ რჩებით?
ექიმი. დიახ, მინდა ერთხელ მაინც ვნახო, რას პოულობს ამაში
ალექსეი ვლადიმეროვიჩი. უარყოფაც არ ვარგა უსაბუთოდ.

ქალბატონი. მაშ, ამ საღამოს აუცილებლად მივიღო, არა?
ექიმი. ვინ მიიღოთ?.. აჰ, დიახ, ფხვნილი. დიახ, შეიძლება, მიიღეთ,
დიახ, დიახ, მიიღეთ... მეც შემოვივლი.

ქალბატონი. შემოიარეთ, გეთაყვა. (ხმამალლა). როცა მორჩებით,
messieurs et mesdames, გთხოვთ ემოციებისაგან ჩემთან დაის-
ვენოთ, თანაც ვინტიც მოვამთავროთ.

სქელუა ქალბატონი. აუცილებლად.

სახატოვი. დიახ, დიახ!

ქალბატონი გადის.

გამოსვლა მაცხარებამ

იგინივე, ქალბატონის გარეშე.

ბეტსი (პეტრიშჩოვი). მე გეუბნებით, დარჩით-მეთქი. უჩვეულო რა-
მეებს გაბრდებით. გინდათ, დავნაძლევდეთ?

მარია კონსტანტინის ასული. განა თქვენ გწამთ?

ბეტსი. ამჯერად მწამს.

მარია კონსტანტინის ასული (პეტრიშჩოვი). თქვენც
გწამთ?

პეტრიშჩოვი. „არა მწამს, არა მწამს აღთქმანი ბედითნი“. აი, თუ-
კი ლიზავეტა ლეონიდოვნა ბრძანებს...

ვასილი ლეონიდის ძე. დავრჩეთ, მარია კონსტანტინოვნა,
რაო? მე რამე épatant-ს მოვიფიქრებ.

მარია კონსტანტინის ასული. არა, ნუ ხუმრობთ. მე ხომ
თავს ვეღარ შევიკავებ.

ვასილი ლეონიდის ძე (ხმამალლა). მე ვრჩები!

ლეონიდ ფიოდორის ძე (მკაცრად). ყველას ვთხოვ, ვინაც
დარჩება, მასხარაობა არ დაიწყოს აქა. ეს სერიოზული საქმეა.

პეტრიშჩოვი. გაივონე? ჰოდა, ვრჩებით. ვოვო, აქ დაჯექი, ოღ-
ონდ შენ იცი, არ დაიზაფრო.

ბეტსი. თქვენ იცინით, მაგრამ ნახავთ, რა იქნება.

ვასილი ლეონიდის ძე. რა იქნება, მართლაც რამე რომ იყოს?
აი, მაშინ ნახეთ სერიო! რაო?

პეტრიშჩოვი (ცახცახებს). ვაი, მეშინია, მეშინია. მარია კონს-
ტანტინოვნა, მეშინია!.. კანკალი მაქვს შემდგარი.

ბეტსი (იცინის). ჩუმად!

ყველანი სხდებიან.

ლეონიდ ფიოდორის ძე. დასხედით, დასხედით, დაჯექი, სე-
მიონ!

სემიონი. ვისმენთ, ბატონო. (სკამის კიდეზე ჯდება).

ლეონიდ ფიოდორის ძე. კარვად დაჯექი.

პროფესორი. სწორად დაჯექით, სკამის შუაში, სრულიად თავი-
სუფლად. (სკამზე სვამს სემიონს).

ბეტსი, მარია კონსტანტინის ასული და ვასილი
ლეონიდის ძე ხარხარებენ.

ლეონიდ ფიოდორის ძე (ხმას იმაღლებს). ვთხოვ, ვინც რჩე-
ბა, ნუ იცვლქებს და სერიოზულად მოეკიდოს საქმეს. ამას შე-
იძლება ცუდი შედეგები მოჰყვეს. ვოვო, გესმის? თუ წყნარად
არ იჯდები, წადი.

ვასილი ლეონიდის ძე. წყნარად! (სქელუა ქალბატონის ზურგს
უკან იმალება).

ლეონიდ ფიოდორის ძე. ალექსეი ვლადიმეროვიჩ, თქვენ
დააძინეთ.

პროფესორი. არა, მე რატომ, როცა ანტონ ბორისოვიჩი აქ არ-
ის? მას ამ მხრივ პრაქტიკაც მეტი აქვს და ძალაც... ანტონ ბო-
რისოვიჩ!

გროსმანი. ბატონებო! მე, საკუთრივ, სპირიტი არ ვახლავართ. მე
მხოლოდ ჰიპნოზს ვსწავლობდი. რაც მართალია, ჰიპნოზი ყველა
მის ცნობილ გამოვლინებაში მისწავლია. მაგრამ ის, რასაც სპი-
რიტიზმს უწოდებენ, ჩემთვის სავსებით უცნობია. სუბიექტის
დაძინებით მე შემიძლია ველოდო ჩემთვის ცნობილ ჰიპნოზურ
მოვლენებს: ლეთარგიას, აბულინს, ანესთეზიას, ანელგეზიას, კა-
ტალექსიას და სხვადასხვა სახის შთავიზონებს. აქ კი კვლევისათ-
ვის სავარაუდოა ეს კი არა, არამედ სხვა მოვლენები, ამიტომაც
სასურველი იქნებოდა გვეცოდნოდა, რა სახისაა ეს მოსალოდნელი
მოვლენები და რა სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ მათ.

სახატოვი. სავსებით ვუერთდები ბატონი გროსმანის აზრს. ასე-
თი ახსნა-განმარტება ძალიან, ძალიან საინტერესო იქნებოდა.

ლეონიდ ფიოდორის ძე (პროფესორს). მე მგონი, ალექსეი
ვლადიმეროვიჩ, უარს არ იტყვიან და მოკლედ განმარტავენ.

პროფესორი. რატომაც არა, შემიძლია განვმარტო, თუკი ეს სურთ.
(ექიმს). თქვენ კი, გეთაყვა, გაუზომეთ ტემპერატურა და პულ-
სი. ჩემი ახსნა-განმარტება უცილობლად ზედაპირული და მოკ-
ლე იქნება.

ლეონიდ ფიოდორის ძე. დიახ, მოკლედ, მოკლედ...

ექიმი (თერმომეტრს იღებს და აწვდის სემიონს). აბა, ვაჟაკო!..
(უკეთებს თერმომეტრს).

სემიონი. გისმენ, ბატონო.

პროფესორი (დგება და სქელუა ქალბატონს მიმართავს, მერე კვლავ ჯდება). ბატონებო! მოვლენა, რომელსაც ჩვენ ვიკვლევთ, ჩვეულებრივ, წარმოვადგება, ერთის მხრივ, როგორც რაღაც ახალი, მეორეს მხრივ კი როგორც რაღაც ისეთი, რაც ბუნებრივ მდგომარეობას სცილდება. არც ერთია სამართლიანი და არც მეორე. ეს მოვლენა ახალი კი არა, ძველია, ისევე ძველია, როგორც სამყარო, და ზებუნებრივი კი არ არის, არამედ ყველა იმ მარადიულ კანონს ექვემდებარება, რომელთაც ექვემდებარება ყოველივე არსებული. ეს მოვლენა, ჩვეულებრივ, განისაზღვრებოდა, როგორც ურთიერთობა სულიერ სამყაროსთან. აღნიშნული განსაზღვრა ზუსტი არ გახლავთ. ამ განსაზღვრის მიხედვით სულიერი სამყარო უპირისპირდება მატერიალურ სამყაროს. მაგრამ ეს სამართლიანი არ არის: არ არსებობს ასეთი დაპირისპირება. ორივე სამყარო ისე მჭიდროდ ეხება ერთმანეთს, არავითარი საშუალება არ გვაქვს სადერმაკაციო ხაზი გავავლოთ მათ შორის, რაც ერთ სამყაროს მეორისაგან განაცალკევებდა. ჩვენ ვამბობთ: მატერია შედგება მოლეკულებისაგან...

პეტრიშოვი. მოსაწყენი მატერია!

ჩურჩული, სიცილი.

პროფესორი (ჩერდება და მერე კვლავ განაგრძობს). მოლეკულები — ატომებისაგან, მაგრამ ატომები, რომელთაც განფენილობა არა აქვთ, არსებითად სხვა არაფერია, თუ არა ძალთა შეხების წერტილები. ესე იგი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ძალთა კი არა, ენერგიისა, სწორედ იმ ენერგიისა, რომელიც ისევე მთლიანი და შეუშუსვრელია, როგორიც მატერიაა. მაგრამ ისევე, როგორც ერთია მატერია, ხოლო მისი სახეები სხვადასხვაა, ზუსტად ასევეა ენერგიაც. ამ ბოლო დრომდე ჩვენ ვიცნობდით მხოლოდ ოთხ ენერგიას, რომლებიც ურთიერთში გარდაიქმნებოდა, ესენია: დინამიკური, თერმული, ელექტრული და ქიმიური. მაგრამ ენერგიის ოთხი სახე სრულიადაც არ ამოსწურავს მისი გამოვლინების მთელ სხვადასხვაობას. ენერგიის გამოვლინების სახეები მრავალფეროვანია და სწორედ ენერგიის ერთ ასეთ ახალ, ნაკლებად ცნობილ სახეს ვიკვლევთ ჩვენ ამჟამად. მე ვგულისხმობ მედიუმის ენერგიას.

ახალგაზრდების კუთხეში კვლავ ჩურჩული და სიცილი ისმის.

(პროფესორი ჩერდება, მკაცრად მიმოიხედავს და განაგრძობს). მედიუმური ენერგია დიდხე-დიდი ხანია ცნობილია კაცობრიობისათ-

თვის; წინასწარმეტყველებანი, წინათგონობანი, ხილვანი და სხვა მრავალი — ყოველივე ეს სხვა არაფერია, თუ არა მედიუმური ენერგიის გამოვლინება. მისგან გამოწვეული მოვლენები უხსოვარი დროიდანაა ცნობილი. მაგრამ თვით ენერგიას არ აღიარებდნენ ამ სულ უკანასკნელ დრომდე, მანამდე, სანამ ის გარემო არ აღიარეს, რომლის რხევაც მედიუმურ მოვლენას იწვევდა. და ზუსტად ისევე, როგორც სინათლის მოვლენები აუხსნელი რჩებოდა მანამდე, სანამ აღიარებული არ იქნა უწონადო ნივთიერების, ეთერის არსებობა, — ზუსტად ასევე მედიუმური მოვლენებიც საიდუმლოებით მოცული გვეჩვენებოდა მანამ, სანამ არ აღიარეს ამჟამად უდავო ის ჭეშმარიტება, რომ ეთერის ნაწილაკთა შუალედებში იმყოფება სხვა, ეთერზე უფრო თხელი, უწონადო ნივთიერება, რომელიც სამი განზომილების კანონს არ ექვემდებარება...

კვლავ ისმის ჩურჩული, სიცილი და წამოიკვლება.

(კვლავ მკაცრად მიმოიხედავს). და ზუსტად ისევე, როგორც მათემატიკურმა გამოთვლებმა უდავოდ დაამტკიცეს უწონადო, სინათლისა და ელექტრობის მოვლენათა ხელშემწყობი ეთერის არსებობა, ზუსტად ასევე გენიალური გერმან შმიტისა და იოსიფ შმაცოფენის მთელმა რიგმა ბრწყინვალე, უზუსტესმა ცდებმა უცილობლად დაამტკიცეს იმ ნივთიერების არსებობა, რომელიც სამყაროს ავსებს და შეიძლება სულიერ ეთერად იქნას წოდებული.

სქელუა ქალბატონი. დიან, ახლა უკვე გავიგე. რაოდენ მადლიერი ვარ...

ლეონიდ ფიოდორის ძე. დიან; მაგრამ ხომ არ შეიძლება, ალექსეი ვლადიმეროვიჩ, ცოტათი... შეამციროთ?

პროფესორი (პასუხის გაუცემლად). მაშასადამე, რამდენადაც პატივი მქონდა ამეხსნა თქვენთვის, მკაცრად მეცნიერული ცდებისა და გამოკვლევების მთელმა წყებამ გაგვირკვია მედიუმური მოვლენათა კანონები. ამ ცდებმა გვიჩვენეს, რომ ამა თუ იმ პიროვნების ჩაყენება ჰიპნოზურ მდგომარეობაში, რომელიც ჩვეულებრივი ძილისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ამგვარი ძილის დროს ფიზიოლოგიური მოქმედება არათუ ქვეითდება, არამედ, როგორც ამას წინათ ვნახეთ, მუდამ ძლიერდება ხოლმე, — უცილობლად იწვევს პერტურბაციას სულიერ ეთერში, პერტურბაციას, რომელიც სავსებით ჰგავს იმ მოვლენას, რასაც მყარი სხეულის თხევადში ჩაგდება იწვევს. ეს პერტურბაცია კი არსებითად ისაა, რასაც ჩვენ მედიუმურ მოვლენებს ვუწოდებთ...

სახატოვი. ეს სრულიად მართებული და გასაგებია; მაგრამ ნება მიბოძეთ გკითხნოთ: თუკი, როგორც თქვენ ბრძანეთ, მედიუმის დაძინება სულიერი ეთერის პერტურბაციას იწვევს, მაშინ რატომაა, რომ ეს პერტურბაციები, როგორც ჩვეულებრივ იგულისხმება სპირიტულ სეანსებში, ყოველთვის გარდაცვლილ პირთა სულების მოქმედებით არის გამოსატული?

პროფესორი. იმიტომ, რომ სულიერი ეთერის ნაწილაკები სხვა არაფერია, თუ არა ცოცხალთა, გარდაცვლილთა და ამქვეყნად მოსავლინებულთა სულები, ასე რომ ამ სულიერი ეთერის ყოველგვარი შერხევა უცილობლად იწვევს მის ნაწილაკთა მოძრაობასაც. ნაწილაკები კი არსებითად სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა სულები, რომლებიც ამ მოძრაობით ამყარებენ ურთიერთ კავშირებს.

ქელუა ქალბატონი (სახატოვის). რა არის აქ გაუგებარი? ყველაფერი ასე მარტივია... ძალიან, ძალიან მადლობელი ვახლავართ!

ლეონიდ ფიოდორის ძე. მე მგონი, უკვე ყველაფერი ცხადია და შეგვიძლია დავიწყოთ.

ექიმი. ყმაწვილი ყოვლად ნორმალურ მდგომარეობაში ვახლავთ: ტემპერატურა ოცდაჩვიდმეტი და ორი მეათედი, პულსი სამოცდაათობმეტი.

პროფესორი (უბის წიგნაკს იღებს და მონაცემებს იწერს). იმის დასტურად, რაც, პატივი მქონდა და მოგახსენეთ, შეიძლება ისიც გამოდგეს, რომ მედიუმის ძალად მიქცევა უცილობლად, როგორც ახლა დავინახავთ, ტემპერატურისა და პულსის აწევას გამოიწვევს, ზუსტად ისევე, როგორც ეს ჰიპნოზის დროს ხდება.

ლეონიდ ფიოდორის ძე. დიახ, დიახ, დამნაშავე ვარ, მაგრამ მე მხოლოდ პასუხი მინდა გავცე სერგეი ივანიჩის კითხვას; საიდან ვიგებთ, რომ ჩვენთან გარდაცვლილთა სულები ამყარებენ კავშირს? იქიდან ვიგებთ, რომ ის სული, რომელიც მოდის, პირდაპირ გვეუბნება, ისევე, როგორც აი, მე ვლაპარაკობ, გვეუბნება — ვინ არის და რატომ მოვიდა, ახლა სად იმყოფება და კარგად არის თუ ცუდად... ბოლო სეანსზე ესპანელი კასტილიოსი იყო და ყველაფერი გვითხრა. გვითხრა — ვინ არის, როდის მოკვდა; ისიცა თქვა, თავს ცუდად ვგრძნობ, რადგან ინკვიზიციონში ვმონაწილეობდიო. კიდევ მეტიც, გვაცნობა, რაც მოუვიდა ზუსტად იმ დროს, როცა გველაპარაკებოდა, სახელდობრ ის, რომ სწორედ იმ დროს, როცა გვესაუბრებოდა, ხელახლა უნდა დაბა-

დებულიყო ამქვეყნად და ამიტომაც ვერ დაამთავრა ჩვენთან დაწყებული ლაპარაკი. თუმცა, აგერ თვითონ ნახავთ...

ქელუა ქალბატონი (აწყვეტინებს). აჰ, რა საინტერესოა! იქნებ, ესპანელი ჩვენს სახლში დაბადა და ბავშვია ახლა.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ძალიანაც შესაძლებელია.

პროფესორი. მე ვფიქრობ, დაწყების დროა.

ლეონიდ ფიოდორის ძე. მე მხოლოდ ის უნდა მეთქვა...

პროფესორი. გვიანია უკვე.

ლეონიდ ფიოდორის ძე. აბა, კარგი. შეგვიძლია შევუდგეთ ანტონ ბორისოვიჩ, გეთაყვა, დააძინეთ მედიუმი.

გროსმანი. როგორ გნებავთ, რომ დავაძინო სუბიექტი? არსებობს მრავალი ხერხი, არის ბრედის ხერხი, არის ეგვიპტური სიმბოლო, არის შარკოს ხერხი.

ლეონიდ ფიოდორის ძე (პროფესორს). მე მგონი, სულ ერთია.

პროფესორი. არა აქვს მნიშვნელობა.

გროსმანი. მაშინ საკუთარ ხერხს გამოვიყენებ, რომლის დემონსტრირება ოდესაში მოვახდინე.

ლეონიდ ფიოდორის ძე. გთხოვთ!

გროსმანი ხელებს აქნევს სემიონის თავს ზემოთ, სემიონი თვალებს ხუჭავს და იზმოვრება.

გროსმანი (დაპყურებს). იძინებს, დაიძინა. ჰიპნოზის საუცხოოდ სწრაფი დადგომაა. ეტყობა, სუბიექტი უკვე შევიდა ანესთეტიურ მდგომარეობაში. შესანიშნავია, უჩვეულოდ ამთვისებელი სუბიექტია და ერთობ საინტერესო ცდებისთვის შეიძლება გამოდგეს!.. (ჯდება, დგება, კვლავ ჯდება). ახლა შეიძლება ხელიც კი გაუხვიროთ. თუ გნებავთ...

პროფესორი (ლეონიდ ფიოდორის ძეს). ამჩნევთ, მედიუმის ძილი როგორ მოქმედებს გროსმანზე? ვიბრირებას იწყებს.

ლეონიდ ფიოდორის ძე. დიახ, დიახ... ახლა შეიძლება ჩავაქროთ?

სახატოვი. მაგრამ სიბნელე რატომაა საჭირო?

პროფესორი. სიბნელე? იმიტომაა საჭირო, რომ სიბნელე ერთ-ერთი პირობაა, რომლის დროსაც მედიუმური ენერგია ვლანდება, ისევე, როგორც განსაზღვრული ტემპერატურა განსაზღვრული ქიმიური თუ დინამიკური ენერგიის გამოვლენის პირობა ვახლავთ.

ლეონიდ ფიოდორის ძე. თანაც არც ყოველთვის. ბევრს, და მეც სანთლების შუქზეც, მზის სინათლეზეც მოგვევლინა.

პროფესორი (აწყვეტინებს). შეიძლება ჩავაქროთ?

ლეონიდ ფიოდორის ძე. დიახ, დიახ. (აქრობს სანთლებს).
ბატონებო! ახლა ყურადღებას გთხოვთ.

ტანია დივანს ქვეშიდან გამოძვრება და კედლის
შანდალზე მიბმულ ძაფს ჰკიდებს ხელს.

პეტრიშხოვი. არა, მე მომეწონა ის ესპანელი. აი, შუა ლაპა-
რაკში რომ ჩაყურყუმალავდა... როგორც იტყვიან ხოლმე: pig-
er une tête!

ბეტსი. არა, დაცადეთ, ნახავთ, რაც იქნება!

პეტრიშხოვი. მე ერთ რამეს ვშიშობ: ვოვომ გოჭივით არ მორ-
თოს ჰყვიტინი.

ვასილი ლეონიდის ძე. გინდათ? დავიწყვირებ...

ლეონიდ ფიოდორის ძე. ბატონებო! გთხოვთ, ნუ ილაპარა-
კებთ, გეთაყვა...

სიჩუმე. სემიონი თითს ილოკავს, მერე თითს ხელზე
მიმაგრებულ ასანთის ღერებს უსვამს და ხელს აქნევს.

შუქი! შუქს ხედავთ?

სახატოვი. შუქიო! დიახ, დიახ, ვხედავ; მაგრამ ნება მიბოძეთ...
სქელუა ქალბატონი. სად, სად? აჰ, ვერა ვხედავ. აგერ, მარ-
თლაც. აჰ!..

პროფესორი (ლეონიდ ფიოდორის ძეს ჩუბჩულოთ, თან გროს-
მანისაკენ ანიშნებს, რომელიც მოძრაობს). შეხედეთ, როგორ ირ-
ხევა. ორმაგი ძალაა.

კვლავ ჩნდება შუქი.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ეს ხომ ისაა.

სახატოვი. ვინ ის?

ლეონიდ ფიოდორის ძე. ბერძენი ნიკოლოზი. მისი შუქია.
ხომ ასეა, ალექსეი ვლადიმეროვიჩ?

სახატოვი. ვინ არის ბერძენი ნიკოლოზი?

პროფესორი. ერთი ბერძენი გახლავთ, კონსტანტინეს დროს ბერად
იყო ცარგრადში, ბოლო ხანს გვეცხადება.

სქელუა ქალბატონი. სად არის? სად არის? ვერა ვხედავ.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ჯერ არ შეიძლება მისი დანახვა,
ალექსეი ვლადიმეროვიჩ, იგი მუდამ კეთილადაა განწყობილი
თქვენდამი. რამე ჰკითხეთ.

პროფესორი (საგანგებო ხმით). ნიკოლოზ! შენა ხარ?

ტანია ორჯერ აკაკუნებს კედელზე.

ლეონიდ ფიოდორის ძე (გახარებული). ისაა! ისაა!

სქელუა ქალბატონი. ვაი, ვაი! მე წავალ.

¹ ყირამალა (ფრანგ.).

სახატოვი. რა ვარაუდია, რომ ის არის?

ლეონიდ ფიოდორის ძე. რა და ორი დარტყმაა. დადებითი
პასუხია; ასე რომ არ იყოს, დუმილი იქნებოდა.

დუმილი. ახალგაზრდების კუთხიდან შეკავებული სიცილი ის-
მის. ტანია მაგიდაზე აგდებს ლამპის თალფაქს, ფანქარს, კალმის
საწმენდს.

(ჩუბჩულოთ). შეხედეთ, ბატონებო, აი, ლამპის თალფაქი, კიდევ
რალაცაა. ფანქარი! ალექსეი ვლადიმეროვიჩ, ფანქარი!

პროფესორი. კარგია, კარგია. მე მასაც და გროსმანსაც ვაღევენბ
თვალს, ამჩნევთ?

გროსმანი დგება და მაგიდაზე დავარდნილ ნივთებს დაჰყურებს.

სახატოვი. ნება მიბოძეთ, მიინდა ვნახო, ყოველივე ამას თვითონ
მედიუმში ხომ არ აკეთებს?

ლეონიდ ფიოდორის ძე. თქვენ მაგრე გგონიათ? მაშინ გვერ-
დით დაუჯექით, ხელზე ჩაეჭიდეთ. მაგრამ დარწმუნებული იყა-
ვით, სძინავს.

სახატოვი (სემიონისკენ გაემართება, ტანიას მიერ ჩამოშვებულ ძაფს
ეხება თავით და შეშინებული იხრება). დი-ა-ახ!.. უცნაურია, უცნა-
ურია. (მიდის და სემიონს იდაყვზე ჰკიდებს ხელს. სემიონი ღმუის).

პროფესორი (ლეონიდ ფიოდორის ძეს). გრძნობთ, როგორ მოჭ-
მედებს გროსმანის აქ ყოფნა? ახალი მოვლენაა, უნდა ჩავიწე-
რო... (გარეთ გარბის, იწერს, კვლავ ბრუნდება).

ლეონიდ ფიოდორის ძე. დიახ... მაგრამ ხომ არ შეიძლება ნი-
კტოლოზი უბასუხოდ დავტოვოთ, დავიწყოთ უნდა...

გროსმანი (დგება, სემიონთან მიდის, იღებს მის ხელს, ისევ უშ-
ვებს). ახლა საინტერესო იქნებოდა კონტრაქტურის ჩატარება.
სუბიექტი სრულ ჰიპნოზშია.

პროფესორი (ლეონიდ ფიოდორის ძეს). ხედავთ? ხედავთ?

გროსმანი. თუკი ვსურთ...

ექიმი. ადროვით, ბატონო, ალექსეი ვლადიმეროვიჩმა წარმართოს.
სერიოზული რალაც გამოდის.

პროფესორი. დანებეთ თავი. იგი უკვე ძილში ლაპარაკობს.

სქელუა ქალბატონი. ახლა რა მოხარული ვარ, დასწრება რომ
გადავწყვიტე. საშინელია, მაგრამ მაინც მოხარული ვარ, რაკი
მუდამ ვეუბნებოდი ხოლმე ჩემს ქმარს...

ლეონიდ ფიოდორის ძე. გთხოვთ გაჩუმდეთ.

ტანია სქელუა ქალბატონს თავზე წამოსდებს ძაფს.

სქელუა ქალბატონი. ვაიმე!

ლეონიდ ფიოდორის ძე. რაო? რა იყო?

სქელუა ქალბატონი. თმაზე მომკიდა ხელი.
ლეონიდ ფიოდორის ძე. ნუ გეშინიათ, არაფერია, ხელი გა-
უწოდეთ. ცივი ხელი კი აქვს ხოლმე, მაგრამ მე მიყვარს.

სქელუა ქალბატონი (ხელს მალავს). არაფრის გულისთვის!
სახატოვი. დიახ, უცნაურია, უცნაურია!
ლეონიდ ფიოდორის ძე. ის აქა და კავშირს ეძიებს. ვის უნ-
და რაიმეს შეკითხვა?

სახატოვი. ნება მიბოძეთ მე შევეკითხები.

პროფესორი. ინებეთ.

სახატოვი. მწამს მე თუ არა მწამს?

ტანია ორჯერ აკაკუნებს.

პროფესორი. დადებითი პასუხია.

სახატოვი. ნება მიბოძეთ, კიდევ შევეკითხები. ათმანეთიანი თუ
მაქვს ჯიბეში?

ტანია რამდენჯერ აკაკუნებს და სახატოვს ძაფს მოსდებს თავზე.

აჰ!.. (სტაცებს ძაფს ხელს და წყვეტს).

პროფესორი. მე ვთხოვ აქ მყოფთ, ნუ აძლევთ განუსაზღვრელ
ანდასახუმარო შეკითხვებს. არ სიამოვნებს ხოლმე.

სახატოვი. არა, ნება მიბოძეთ, ძაფი მაქვს ხელში.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ძაფი? გეჭიროთ. ეს ხშირად ხდე-
ბა, არა მარტო ძაფი, აბრეშუმის ყაითნებიც ჩნდება, ძველისძვე-
ლი ყაითნები.

სახატოვი. არა, მაინც საიდან გაჩნდა ძაფი?

ტანია ბალიშს ესვრის სახატოვს.

უკაცრავად ვარ! რაღაც რბილი მომხვდა თავში. გთხოვთ უშუქი აან-
თოთ, აქ რაღაც...

პროფესორი. ჩვენ გთხოვთ, ნუ დაარღვევთ გამოცხადებას.

სქელუა ქალბატონი. ღმერთმანი, ნუ დაარღვევთ! მეც მინ-
და ვკითხო, შეიძლება?

ლეონიდ ფიოდორის ძე. შეიძლება, შეიძლება, ჰკითხეთ.

სქელუა ქალბატონი. ჩემი კუჭის ამბავი მინდა ვკითხო, შეიძ-
ლება? მინდა ვკითხო, რა დავლიო, აკონიტი თუ ბელადონა?

დუმლი. ახალგაზრდების მხარეს ისმის ჩურჩული. უცებ ვასილი

ლეონიდის ძე ჩვილი ბავშვივით ღნავის: „აღუ! აღუ!“ ხარხარი.

ქალიშვილები ცხვირ-პირზე ხელს იჭერენ და ფრუტუნით,

პეტრიშჩოვთან ერთად გარეთ გარბიან.

აჰ, სწორია, ეს ბერიც კვლავ დაიბადა!

ლეონიდ ფიოდორის ძე (გაცოფებული, ბრაზიანი ჩურჩუ-

ლით). შენგან სისულელების მეტს ვერაფერს გაიგებს კაცი. წე-
სიერად თავის დაჭერა თუ არ შეგიძლია, წადი.

ვასილი ლეონიდის ძე გადის.

გამოსვლა მითვა

ლეონიდ ფიოდორის ძე, პროფესორი, სახატო-
ვი, სქელუა ქალბატონი, გროსმანი, ექი-
მი, სემიონი და ტანია. სიბნელე, დუმლი.

სქელუა ქალბატონი. აჰ, რა საწყენია! ახლა რაღას შეეკითხე-
ბი. დაიბადა.

ლეონიდ ფიოდორის ძე. სულაც არა. ეს ვოვოს მიქარგებია.
ის კი აქ არის. შეეკითხეთ.

პროფესორი. ასეთი რამ ხშირად ხდება; ეს ხუმრობები, დაცინ-
ვები — სავსებით ჩვეულებრივი მოვლენაა. მე ვფიქრობ, ის
კვლავ აქ არის. თუმცა, შეგიძლია, ვკითხოთ. ლეონიდ ფიოდო-
როვიჩი, თქვენ ჰკითხავთ?

ლეონიდ ფიოდორის ძე. არა, გეთყვია, თქვენ ჰკითხეთ. გუ-
ნება გამიფუჭა ამ ამბავმა. რა უსიამოვნებაა! ეს უტაქტობაა და
მეტი არაფერი!

პროფესორი. კარგი, კარგი. ნიკოლოზ! ისევ აქა ხარ?

ტანია ორჯერ აკაკუნებს და ხარს აწკრიალებს. სემიონი ღმუილს
იწყებს, ხელებს შლის, ჩაეჭიდება სახატოვსა და პროფესორს

და მაგრად უჭერს ხელებს.

რა მოულოდნელი გამოვლინებაა! ზემოქმედება თვით მედიუმზე.
წინათ ეს არ ყოფილა. ლეონიდ ფიოდოროვიჩი, დააკვირდით, მე
უხერხულად ვარ, ხელებს მიჭერს... უყურეთ, გროსმანი რასა
შვრება? ახლა სრული ყურადღება გვჭირდება.

ტანია გლეხების ქალაღს აგდებს მაგიდაზე.

ლეონიდ ფიოდორის ძე. რაღაც დავარდა მაგიდაზე.

პროფესორი. ნახეთ, რა დავარდა.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ქალაღი! დაკეცილი ფურცელი.

ტანია საგზაო სამელნეს აგდებს.

სამელნე!

ტანია აგდებს კალამს.

კალამი!

სემიონი ღმუის და ხელებს უჭერს პროფესორსა და სახატოვს.

პროფესორი (შებოჭილი). შეხედეთ, გთხოვთ, სრულიად ახალი
მოვლენაა: გამოწვეული მედიუმური ენერგია კი არ მოქმედებს,
არამედ თვით მედიუმი. თუმცა გაშალეთ ქალაღი და ზედ კა-

ლამი დადეთ, იგი დაწერს, დაწერს.

ტანია უკნიდან მოუვლის ლეონიდ ფიოდორის ძეს
და თავში გიტარას არტყამს.

ლეონიდ ფიოდორის ძე. თავზე დამარტყა! (მაგიდას დაჰყუ-
რებს). კალამი ჯერ არაფერს წერს, ქალაღი ისევე ძვეს.

პროფესორი. ნახეთ, რა ქალაღია, ჩქარა ჰქენით; უეჭველად
ორმაგი ძალაა — მისი და გროსმანისა, პეტურბაციას ახდენს.

ლეონიდ ფიოდორის ძე. (ქალაღიანად გადის გარეთ და მა-
შინვე ბრუნდება). უცნაურია! ეს ქალაღი — გლეხებთან დაღე-
ბული ხელშეკრულებაა, ამ დილით ხელის მოწერაზე უარი
ვთქვი და უკანვე მივეცი გლეხებს. ეტყობა, მას სურს, რომ ხე-
ლი მოვაწერო?

პროფესორი. რასაკვირველია! რასაკვირველია! მაინც ჰკითხეთ.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ნიკოლოზ! ალბათ გასურს...

ტანია ორჯერ აკაკუნებს.

პროფესორი. გესმით? უეჭველია, უეჭველია!

ლეონიდ ფიოდორის ძე კალამს იღებს და გარეთ გადის. ტანია
აკაკუნებს, გიტარასა და გარმონს უკრავს და კვლავ დივანქვეშ
ძვრება. ბრუნდება ლეონიდ ფიოდორის ძე. სემიონი
იზმორება და ახველებს.

ლეონიდ ფიოდორის ძე. იღვიძებს. შეიძლება სანთლების ან-
თება.

პროფესორი (აჩქარებით). ექიმო, ექიმო, გთხოვთ, ტემპერატუ-
რა და პულსი. ნახავთ, ახლა მომატებული ექნება.

ლეონიდ ფიოდორის ძე (სანთლებს ანთებს). აბა, რას იტყ-
ვით, ბატონო მეჭველნო?

ექიმი (სემიონთან მიდის და თერმომეტრს უკეთებს). აბა, ვაჟაკო
რაო, იძინე? ეს გაიკეთე და ხელი მომეცი. (საათს დასცქერის).

სახატოვი (მხრებს იჩეჩავს). შემიძლია ვამტყიცო, რომ მედიუსს
არ შეეძლო ყოველივე იმის გაკეთება, რაც აქ ხდებოდა. მაგრამ
ძაფი?.. კი ვისურვებდი, ამ ძაფის ამბავი ამეხსნა.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ძაფი, ძაფი! აქ მაგაზე უფრო საგუ-
ლისხმო მოვლენები მოხდა.

სახატოვი. არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში — *jt reserve — mon
opinion*¹.

სქელუა ქალბატონი (სახატოვს). არა, როგორღა ამბობთ
je reservé mon opinion. ის ფრთებიანი ჩვილი კი რაღა იყო!
განა თქვენ ვერ დაინახეთ? მე თავიდან ვიფიქრე, მეჩვენება-მეო

ქი, მაგრამ მერე ცხადლივ, ისე ცხადლივ, როგორც ცოცხალი...
სახატოვი. მხოლოდ იმაზე შემიძლია ვილაპარაკო, რაც ვნახე. არ
დამინახავს ეს, არ დამინახავს.

სქელუა ქალბატონი. როგორ თუ არ დაგინახავთ! საესებით
ცხადად ჩანდა. ის კი არა, მარცხენა მხარეს შავით მოსილი ბე-
რიც იდგა, მისკენ დაიხარა...

სახატოვი (გაეცლება). როგორი გზვიადება!

სქელუა ქალბატონი (ექიმს მიადგება). თქვენ უნდა დაგენა-
ხათ. თქვენს მხარეს იყო, ჰაერში აიწია.

ექიმი არ უსმენს, პულსის თვლას განაგრძობს.

(გროსმანს). და შუქი, მისგან მომდინარე შუქი, განსაკუთრებით სახის
ირგვლივ. იერიც ისე მშვიდი, ნაზი ჰქონდა, რაღაც აი, ასე ციუ-
რი! (თვითონ იღიმება ნაზად).

გროსმანი. მე ფოსფორული სინათლე დავინახე, საგნები ადგილს
ინაცვლებდნენ, მაგრამ ამის მეტი არაფერი დამინახავს.

სქელუა ქალბატონი. რას ამბობთ, გეყოფათ! თქვენ ეს ისე
თქვით. რაკი შარკოს სკოლის მეცნიერებს არ გწამთ საიქიო ცხო-
ვრება. მე კი უკვე ვერავინ, ამქვეყნად ვერავინ გადამარწმუნებს,
რომ საიქიო ცხოვრება არსებობს.

გროსმანი გაეცლება.

არა, არა, რაც უნდა თქვათ, ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უბედნიე-
რესი წუთებია. ესა და აი, როცა სარაზატე უკრავდა... დიახ! (არა-
ვინ უსმენს. ახლა სემიონს მიადგება). აბა, მითხარი, მეგობარო,
რასა გრძნობდი? ძალიან გიმძიმდა?

სემიონი (იცინის). დიახ.

სქელუა ქალბატონი. მოთმენა ხომ მაინც შეიძლება?

სემიონი. დიახ. (ლეონიდ ფიოდორის ძეს). წასვლას მიბრძანებთ?

ლეონიდ ფიოდორის ძე. წადი, წადი.

ექიმი (პროფესორს). პულსი იგივეა, ოღონდ ტემპერატურა დაქ-
ვეითდა.

პროფესორი. დაქვეითდა? (ჩაფიქრდება და უცებ ხვდება). ასე-
დაც უნდა ყოფილიყო, უნდა დაქვეითებულყო! ურთიერთგადამ-
კვეთმა ორმაგმა ენერგიამ რაღაც ინტერფერენციის მაგვარი უნ-
და მოახდინოს. დიახ, დიახ.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ძალიან მწყინს, რომ სრული მატე-
რიალიზაცია არ იყო. მაგრამ მაინც... ბატონებო, კეთილ ინებეთ
და სასტუმროში მობრძანდით.

სქელუა ქალბატონი. განსაკუთრებით იმან გამოაცა, ფრთები
რომ აიქნია და თანდათან რომ იწვედა ზევით-ზევით.

¹ მე ჩემს აზრზე ვრჩები (ფრანგ.).

გროსმანი (სახატოვს). მხოლოდ ჰიპნოზს რომ მიეყოლოდით, შეიძლება სრული ეპილეფსია გამოგვეწვია. წარმატება საესეების სრული იქნებოდა.

სახატოვი. საინტერესო იყო, მაგრამ არც სულ დამაჯერებელი! — აი, ყველაფერი, რისი თქმაც შემიძლია.

ყველა ერთად ლაპარაკობს, თან გადიან.

გამოსვლა ოცდაათე

ლეონიდ ფიოდორის ძე, ხელში ქალაღდი უჭირავს.

შემოდის ფიოდორ ივანის ძე.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ოჰ, ფიოდორ, რა სეანსი იყო — გასაოცარი! თურმე დავუთმო უნდა გლეხებს მიწა, მათი პირობები მივიღო.

ფიოდორ ივანის ძე. ოჰო!

ლეონიდ ფიოდორის ძე. მამ როგორ? (ქალაღდს უჩვენებს). წარმოიდგინე, ქალაღდი იმათ მივეცი და მაგიდაზე კი აღმოჩნდა მოვაწერე ხელი.

ფიოდორ ივანის ძე. კი მაგრამ, აქ როგორღა მოხვდა?

ლეონიდ ფიოდორის ძე. კი მოხვდა და. (მიღის).

ფიოდორ ივანის ძეც მიჰყვება.

გამოსვლა ოცდაათე

ტანია, მარტო, გამოძვრება დივანიდან და იცინის.

ტანია. ვიში ლმერთო, დიდებულო! რა შიში ვჭამე, ძაფი რო დაიჭირა. (წამოიკივლებს). მაგრამ საქმე მაინც გაკეთდა, — მოაწერა ხელი!

გამოსვლა ოცდაათე

ტანია და გრიგორი.

გრიგორი. ეს შენ ასულელებდი ამათ?

ტანია. შენი კი რა საქმეა?

გრიგორი. რაო, გგონია, ქალბატონი ამისთვის თავზე გადაგისვამს ხელს? ვერ მოგართვეს, გაები უკვე მახეში. მოვეყები შენს ოინებს, თუ ჩემს ჭკუაზე არ გაივლი.

ტანია. არც თქვენს ჭკუაზე გავივლი და ვერც ვერაფერს დამაკლებთ ფარდა

თეატრი წარმოადგენს პირველი მოქმედების დეკორაციას.

გამოსვლა პირველი

ორი მხლებელი ლაქია, ლივრები აცვიათ.

ფიოდორ ივანის ძე და გრიგორი.

I ლაქია (ჭალარა ქილვაშებიანი). თქვენი სახლი მესამეა, საცა ვიყავით. მადლობა თქვი, ერთ მხარესაა მიღების დღეები. წინათ ხუთშაბათობით გქონდათ ხოლმე.

ფიოდორ ივანის ძე. მერე შაბათად შეცვალეს, ერთდროულად რომ ყოფილიყო გოლოვეკინებთან, გრადე-ფონ-გრებაებთან...

II ლაქია. შჩერბაკოვებთან კარგად არის ხოლმე, როცა კი მეჭლისა, ლაქიებს უმასპინძლებიან.

გამოსვლა მეორე

იგინივე. შემოდან ჩამოდან თავადის ცოლი თავისი ასულით ერთ. მათ ბეტსი მოაცილებს. თავადის ცოლი პატარა წიგნში ჩადებულ საათს დახედავს და სკივრზე ჩამოჯდება. გრიგორი ბოტებს აცმევს.

თავადის ასული. არა, მოდი, გთხოვ. თორემ შენ უარს იტყვი, დოდო უარს იტყვის — არაფერიც არ გამოვა.

ბეტსი. არ ვიცი. შუბინებთან უნდა ვიყო უსათუოდ. მერე რეპეტიცია მაქვს.

თავადის ასული. მოასწრებ. არა, ძალიან გთხოვ. Ne nous fais pas faux bond.¹ ფედია და კოკო იქნებიან.

ბეტსი. J'en ai par-dessus la tête de vorte Coco.²

თავადის ასული. მე მეგონა, აქ ვნახავდი. Ordinairement il est d'une exactitude..³

ბეტსი. ის უეჭველად იქნება.

თავადის ასული. როცა შენთან ვხედავ, სულ მგონია, თითქოს ეს-ესაა წინადადება მოგცა, ანდა საცაა მოგცემს.

ბეტსი. ეტყობა, მართლაც მომიწევს ამ ჭირის გამოვლა, რა უამურია!

¹ არ მომატყუო (ფრანგ.).

² ლამის მოვეცდე, ისე გამაბეზრა თქვენმა კოკომ (ფრანგ.).

³ ჩვეულებრივ იგი ზუსტია... (ფრანგ.).

თავადის ასული. საწყალი კოკო! ისე არის შეყვარებული.
ბეტსი. Cessez, les gens!

თავადის ასული პატარა დივანზე ჯდება, თან ჩურჩულით
ლაპარაკობს. გრიგორი ბოტებს აცმევს.

თავადის ასული. აბა, საღამომდე.
ბეტსი. შევეცდები.

თავადის ცოლი. მამას უთხარით, არაფერი მწამს, მაგრამ მოვალ
თქვენი ახალი მედიუმის სანახაუდ-თქო. შემატყობინოს. ნახვის
დის, ma toute belle². (ჰკოცნის და ასულთან ერთად გადის).
ბეტსი ზემოთ მიდის.

გამოსვლა მესამე

ორი ლაქია, ფიოდორ ივანის ძე
და გრიგორი.

გრიგორი. არ მიყვარს, როცა დედაბრებს ვაცმევ ხოლმე ფეხზე
ვერა და ვერ გადაიხნიქება, მუცელი ხელს უშლის — ეფარება
და სადღაც ჩრის ფეხებს, ახალგაზრდა გოგო სხვა საქმეა — სი-
სიამოვნოა, ფეხს რომ წამოუწევ.

II ლაქია. ესეც არჩევს რაღა.

I ლაქია. ჩვენ, ლაქიებს არა გვმართებს ამისი გარჩევა.

გრიგორი. რატომაც არ უნდა გავარჩიოთ, ჩვენ განა ხალხი არ
ვართ? ეს ეგენი ფიქრობენ, რომ არაფერი გაგვეგება; აი, ახლა
ლაპარაკს შეჰყვია, შემომხედა და ეგრევე: ლე ჟან.

II ლაქია. ეს რაღაა?

გრიგორი. ამას ნიშნავს რუსულად: ნუ ლაპარაკობ, გაიგებენო. სი-
დილზედაც ეგრეა; მე კი ვიგებ ხოლმე. ამბობთ, განსხვავებაა
— არაფერი განსხვავება არ არი.

I ლაქია. დიდი განსხვავებაა, ვისაც კი გაეგება.

გრიგორი. არავითარი განსხვავება არ არი. დღეს მე ლაქია ვი-
მაგრამ ხვალ იქნება მაგათზე ნაკლებად არ ვიცხოვრო. ლაქიებს
საც კი მიჰყვებიან ცოლად, განა არ ყოფილა შემთხვევა? წაი-
თამბაქოს ვავაბოლებ. (გადის).

იგინივე, გრიგორის გარეშე.

I ლაქია. ძალიან მამაცი გყოლიათ ეს ყმაწვილი.

ფიოდორ ივანის ძე. თავქარიანი ბიჭია, არ ვარგა მსახურად;
კანტორაში მსახურობდა და იმან გაანებივრა. არც ვურჩიე აყვა-
ნა, მაგრამ ქალბატონს მოეწონა — მხლებლად გამოსაჩენი იქნე-
ბაო.

I ლაქია. მე მაგას ჩვენს გრატს მივეყვანდი, ის მისცემდა ფეთებას.
ოხ! არ უყვარს ასეთი ქარიფანტიები. ლაქია თუ ხარ, ლაქია იყა-
ვი, შენი წოდება გაამართლე; ეს თავის აღერა კი რა საკადრისია.

გამოსვლა მესამე

იგინივე, ზემოდან ჩამორბის პეტრიშოვი და პაპი-
როსს იღებს. შემოდის და პეტრიშოვისკენ მოემართება კოკო

კლინგენი. pince-ner უკეთია.

პეტრიშოვი (ჩაფიქრებით). დიახ, დიახ. ჩემი მეორე იგივეა, რაც
„კა“. კა-რტო-ფილი. ჩემი მთელი... დიახ, დიახ... აბა, კოკოშა-
კარტოშა! საიდან?

კოკოკლინგენი. შჩერბაკოვებთან ვიყავი. მუდამ სისულელეებს
როშავ...

პეტრიშოვი. არა, მისმინე, აი, შარადა: ჩემი პირველი იგივეა,
რაც „კა“, ჩემი მეორე იგივეა, რაც „კა“, ხოლო ჩემი მთელი
სულ მიდის და მიერეკება.

კოკოკლინგენი. არ ვიცი, არ ვიცი. თანაც არცა მცალია.

პეტრიშოვი. კიდევ სად ხარ მისასვლელი?

კოკოკლინგენი. როგორ თუ სადა? ივინებთან, გუნდის ვარჯი-
შია, უნდა ვიყო. მერე შუბინებს უნდა ვეწვიო, მერე რეპეტიცი-
აზე წავიდე. აკი შენც უნდა მოხვიდე?

პეტრიშოვი. მაშ როგორ, აუცილებლად. რეპეტიციაზეც და
მორკოვეტიციაზეც². მაშინ ხომ ველური ვიყავი, ახლა ველური-
ცა ვარ და გენერალიც.

კოკოკლინგენი. გუშინდელი სენსი რაო?

პეტრიშოვი. სეირი! გლეხი ჰყავდათ; მაგრამ მთავარი ისაა, ყვე-
ლაფერი სიბნელეში ხდებოდა. ვოვო ჩვილი ბავშვივით ღნაოდა.

¹ სიტყვიდან картофель — კარტოფილი (რუს.).

² სიტყვათა თამაში: „რეპეტიცია“ — репа — თაღამი; „მორკოვეტიცია“ —
морковь — სტაფილო (რუს.).

¹ გაჩუმდი, მსახურებია (ფრანგ.).

² ჩემო მშვენიერო (ფრანგ.).

პროფესორი გვიხსნიდა, ხოლო მარია ვასილიევნა ახსნილს ბლან-
დავდა. სერი იყო! სამწუხაროა, რომ არ მოხვედრი.
კოკო კლინგენი. მეშინია, mon cher;¹ შენ როგორღაც შეგიძ-
ლია მასხარაობით თავის დაღწევა, მე კი სულ მეჩვენება, სიტყ-
ვა რომ დავძრა, მაშინვე ისე შეატრიალებენ, თითქოს წინადადება
მივეცი.. Et cane m'arrangepas du tont, du tout. mais du
tout, du tont!²

პეტრიშჩოვი. შენც ადვილად და ისეთი წინადადება თქვი, ქვემდებ-
ბარე კი არა, შემასმენელი იყოს თავი და თავი, ჰოდა, არც არა-
ფერი იქნება. ვოვოსთან შემოდი, ერთად წავიდეთ რედკოტიცი-
აზე.³

კოკო კლინგენი. ვერ გამიგია, როგორ შეგიძლია მაგისთანა ყუ-
ყუჩთან მეგობრობა. ბრიყვია, ნამდვილი ტუტუცი!

პეტრიშჩოვი. მე კი მიყვარს. მიყვარს ვოვო, მაგრამ „უცნაურ
სიყვარულითა“, „და ვერაფერი ვერ დაჰფარავს ხალხის გზას
მისკენ...“ (შედის ვასილი ლეონიდის ძის ოთახში).

გამოსვლა მთავრად

ორი ლაქია, ფიოდორ ივანის ძე და კოკო
კლინგენი. ბეტსი მოაცილებს მანდილოსანს.

კოკო ხაზგასმულად ესაღმება ბეტსის.
ბეტსი (მაგრად ართმევს ხელს, მანდილოსანს მიხედავს). არ იც-
ნობთ?

მანდილოსანი. არა.

ბეტსი. ბარონი კლინგენი. გუშინ რატომ არ იყავით?

კოკო კლინგენი. ვერაფრით შევიძელი, ვერ მოვასწარი.

ბეტსი. საწყენია, ძალიან საინტერესო გამოვიდა. (იციან). ნეტავი
გენახათ, რა manifestations⁴ იყო. როგორაა საქმე, ჩვენი შარა-
და მიდის წინ?

კოკო კლინგენი. ო, დიას! ლექსები mon second-ზე⁵ მზადაა,
ნიკმა შეთხზა, მე კი მუსიკა შევუწყვე.

ბეტსი. როგორ, როგორ? თქვით.

კოკო კლინგენი. სიამოვნებით, როგორაა?.. ჰო! რაინდი უმღე-
რის ნანას. (მღერის).

¹ ჩემო კარგო (ფრანგ.).

² ეს კი სულაც არ მომწონს, სულაც არა, სულაც არა (ფრანგ.).

³ აქავე იგივე: „რედკოტიცია“ — редка — ბოლოკი (რუს.).

⁴ ჩვენებები (ფრანგ.).

⁵ ჩემი მეორე (ფრანგ.).

რა ნაზია ნატურა,
გულში მენანავება...
ნანა, ნანა, ნა, ნა, ნა!

მანდილოსანი. ეს mon second-ნა, მაგრამ mon premier¹ რა-
ღა?

კოკო კლინგენი. mon premier-არე იქნება, ველური ქალის სა-
ხელი.

ბეტსი. არე, იცით, ერთი ველური ქალია, რომელსაც თავისი სიყ-
ვარულის საგნის შექმა სწადია... (იციან). იგი დადის, დარდობს
და მღერის:

ოჰ, ჭამის მადა...

კოკო (სიტყვას ართმევს). გულ-გვამს მიბრუნებს...

ბეტსი. (აჰყვება).

ვიდაცის შექმა მინდება,
დავდივარ, დავხეტილობ...

კოკო კლინგენი. ვერვის ვბოულობ...

ბეტსი. ვილა შევჭამო, დასტურ არ ვიცი...

კოკო კლინგენი. აგერა, ტივი.

ბეტსი.

აქეთ მოცურავს,
ზედ ორ გენერალს ვხედავ საჩინოდ...

კოკო კლინგენი.

ორი გენერალი ვართ,
ბედმა დაგვაკავშირა,
ამ კუნძულსა გვაწვია.

და ისევ refrain².

ბედმა დაგვაკავშირა,
ამ კუნძულსა გვაწვია.

მანდილოსანი. Charmant!³

ბეტსი. ნახეთ, რა სულელურია!

კოკო კლინგენი. სწორედ მაგაშია მთელი ეშხი.

მანდილოსანი. არე ვილაა?

ბეტსი. მე ვარ, კოსტიუმიც გავაკეთე, მაგრამ დედაჩემი ამბობს:
„უწესურიაო“. არადა, სულაც არ არის იმაზე უფრო უწესური,
მეჯლისებზე რომ აცვიათ ხოლმე. (ფიოდორ ივანის ძეს). რაო,
აქ არის ბურდიეს კაცი?

¹ ჩემი პირველი (ფრანგ.).

² მისამღერი (ფრანგ.).

³ მშვენიერია (ფრანგ.).

ფიოდორ ივანის ძე. აქა, სამზარეულოში ზის.
ბეტსი. თვითონ ნახავთ. არ მინდა გუნება გაგიფუჭოთ. Au revoir!¹
მანდილოსანი. კარგად ბრძანდებოდეთ! (ერთმანეთს ეთხოვები-
ან. მანდილოსანი გადის).
ბეტსი (კოკო კლინგენს). წამოდით, maman² ვნახოთ.
ბეტსი და კოკო კლინგენი ზევით მიდიან.

გამოსვლა მუხივად

ფიოდორ ივანის ძე, ორი ლაქია და იაკოვი
(ბუფეტთან გამოდის, ლანგარი მოაქვს, ზედ ჩაი და ნამ-
ცხვარი უწყვია, აქოშინებული გადაივლის წინკარს).
იაკოვი (ლაქიებს). გამარჯობათ, გამარჯობათ!
ლაქიები ესალმებიან.
(ფიოდორ ივანის ძეს). თქვენ მაინც უბრძანეთ გრიგორი მიხაი-
ლოვიჩს, ცოტა ხელი შემაშველოს. წელში გავწყვი გაწყობაზე...
(გადის).

გამოსვლა მირაჰ

იგინივე, იაკოვის გარეშე.

I ლაქია. ეს ძალიან მუყაითი კაცი გყავთ.

ფიოდორ ივანის ძე. კარგი ბიჭია, მაგრამ აი, ქალბატონს არ
მოსწონს, ამბობს, რასა ჰგავსო. აქეთ კიდევ, გუშინ ცილი დას-
წამეს, გლეხები შემოუშვა სამზარეულოშიო. სულაც არ გაა-
დონ ნეტავი! არადა, კარგი ბიჭია.

II ლაქია. ვინ გლეხებია?

ფიოდორ ივანის ძე. მიწის საყიდლად მოვიდნენ კურსკიდან,
სოფლები. ღამეა, თანაც ჩვენებურები არიან. ერთ-ერთი ჩვე-
ნი მეზობლები ბიჭის მამაა. ჰოდა, შეიყვანეს სამზარეულოში
აქეთ კიდევ, სხვისი აზრების გამოცნობა ჰქონდათ, სამზარეულო-
ში დამალეს ნივთი, შემოვიდნენ ბატონები, დაინახა ქალბატონ-
მა გლეხები და ატეხა წიოკობა! როგორც, იქნება სნეულები
არიან, სამზარეულოში შემოვიყვანიათო! ძალიან დაშინებულ
ჰყავს მავ სნეულებებს.

¹ ნახვამდის (ფრანგ.).

² დედა (ფრანგ.).

გამოსვლა მაცხრა

იგინივე და გრიგორი.

ფიოდორ ივანის ძე. მიდით, გრიგორი, იაკოვ ივანიჩს ხელი
მიაშველეთ, აქ მე ვიქნები. მარტოკა ვერ ასწრებს.
გრიგორი. უგერვილოა და მიტომაც ვერ ასწრებს. (გადის).

გამოსვლა მათო

იგინივე, გრიგორის გარეშე.

I ლაქია. ეს რა ახალი მოდა შემოვიდა, ყველას გადამდები სენი
ელანდება! თქვენსასაც ეშინია?

ფიოდორ ივანის ძე. ცეცხლზე მეტად! ახლა სულ ხრჩოლე-
ბაში, რეცხვასა და სხურებაში ვართ, მეტს არაფერს ვაკეთებთ.

I ლაქია. მიტომაც იყო, რაღაც მძიმე სუნი ვიგრძენი. (გამოცოცხ-
ლებით). რასა ჰგავს, რა უბედურება არ ხდება ამ სნეულებების
გამო. საძაგლობაა პირდაპირ! ღმერთიც კი დაივიწყეს. აგერ,
ჩვენი ბატონის დას, ქალბატონ მოსოლოვას, ქალიშვილი უკვდე-
ბოდა. ჰოდა, რა? არც მამა, არც დედა არ შესულა ოთახში, არც
კი გამოეთხოვნენ. ტიროდა გოგო, ეძახდა, გამოთხოვება უნდო-
და, — არ შევიდნენ! ექიმმა, რაღაც გადამდები სნეულება სჭირ-
სო. არადა, ხომ უვლიდნენ თავისი მოახლე და მომვლელი ქალი,
არაფერიც არ მოსვლიათ, ორივე ცოცხალი დარჩა.

გამოსვლა მითართმება

იგინივე, ვასილი ლეონიდის ძე და პეტრიშ-
ჩოვი (გამოდიან კარიდან, ხელში პაპიროსი უჭირავთ).

პეტრიშჩოვი. წავიდეთ, მე მხოლოდ კოკოშა-კარტოშას წამოვი-
ყოლებ.

ვასილი ლეონიდის ძე. ბრიყვია ეგ შენი კოკოშა! ველარ
ვიტან, რომ გითხრა. აი, თავქარიანი თუ გინდა, ეგ არი, დიდი
აბეზარი ვილაცა! არაფერი საქმე არა აქვს, დაყილვებს და ეგაა.
რაო?..

პეტრიშჩოვი. მაშინ დაიცა, გამოვეთხოვები მაინც.

ვასილი ლეონიდის ძე. კარგი, მე წავალ, მეეტლებს ბინა-
ში ძალღებს დაგხედავ. ერთი ისეთი ავია, კინალამ შემჭამათ, მე-
ეტლემ მითხრა. რაო?

პეტრიშჩოვი. ვინ ვინ შეჭამა? ნუთუ მეეტლემ შეჭამა ძალი?

12. ლ. ტოლსტოი

ვასილი ლეონიდის ძე. ოჰ, შენ მუდამ... (ქურქს იცვამს და გადის).
პეტრიშოვი (ჩაფიქრებით). მაკინ-ტოჟი, კარტო-ფილი... დიახ, დიახ. (ზევით მიდის).

გამოსვლა მეთორმეტი

ორი ლაქია, ფიოდორ ივანის ძე და იაკოვი (გამოსვლის დასაწყისსა და დასასრულს გაირბენს სცენას).

ფიოდორ ივანის ძე (იაკოვს). კიდევ რაო?
იაკოვი. ბუტერბროტები არ არი! ხომ ვამბობდი... (გადის).

II ლაქია. კიდევ, ბატონიშვილი გაგვიხდა ავად. მაშინვე სასტუმროში გააქანეს, გადააგაყოლეს და კიდევ მოკვდა იქა, დედამისი არც მისულა.

I ლაქია. ეგ იმიტომ, რომ ცოდვისა არ ეშინიათ! მე ვფიქრობ, მაშაზეციერს ვერსად წაუხვალ კაცი.

ფიოდორ ივანის ძე. მეც ასე ვფიქრობ.

იაკოვი ზევით არბის, ბუტერბროტები მიაქვს.

I ლაქია. ისიც გაითვალისწინეთ, თუკი ასე ყველასი გეშინია, მაშინ ოთხ კედელში უნდა ჩაიკეტო, თითქოს ციხეში ხარ, და იჯდე აგრე.

გამოსვლა მეცამეტი

იგინივე და ტანია, შემდეგ იაკოვი.

ტანია. (ესალმება ლაქიებს). გამარჯობათ!

ლაქიები თავს უკრავენ.

ფიოდორ ივანიჩი! ორი სიტყვა მაქვს თქვენთვის სათქმელი.

ფიოდორ ივანის ძე. აბა, რაო?

ტანია. ფიოდორ ივანიჩი, გლეხები მოვიდნენ ისევ...

ფიოდორ ივანის ძე. კი მაგრამ, რაღა უნდათ? ქაღალდი ხომ მივეცი სემიონს...

ტანია. ქაღალდი კი გადავეცი. ისეთი მაღლობელი არიან, მეტი რომ არ იქნება. ოღონდ ახლა იმას ითხოვენ, ფული ჩაიბარეთო.

ფიოდორ ივანის ძე. სად არიან?

ტანია. აქვე, აივანთან დგანან.

ფიოდორ ივანის ძე. ჰოდა, კარგი, ვეტყვი.

ტანია. ამას გარდა, სათხოვარი მაქვს თქვენთან, ფიოდორ ივანიჩი, ბატონო.

ფიოდორ ივანის ძე. კიდევ რა არი?

ტანია. ის, რომ მეტად ჩემი აქ დარჩენა არ შეიძლება, ფიოდორ ივანიჩი. სთხოვეთ, რომ გამიშვან.

შემორბის იაკოვი.

ფიოდორ ივანის ძე (იაკოვს). რა გინდა?

იაკოვი. მეორე სამოვარი და ფორთოხლები.

ფიოდორ ივანის ძე. ეკონომ ქალსა ჰკითხე.

იაკოვი გარბის.

კი მაგრამ, ეგ რამ გაფიქრებინა?

ტანია. აბა რა ვქნა! უკვე ასეა ჩემი საქმე.

იაკოვი (შემორბის). ფორთოხლები ცოტაა.

ფიოდორ ივანის ძე. რაც არის, ის წაიღე.

იაკოვი გარბის.

მეორე შეარჩიე კარგი დრო: ხომ ხედავ, რა ფაციფუცია...

ტანია. თავადაც იცით, ფიოდორ ივანიჩი, ამ ფაციფუცს ბოლო არ

აქვს, რაც უნდა ელოდო, — თავადაც იცით, — ჩემი საქმე

კი ერთი და ორი დღისა ხომ არ არის... ასეთი სიკეთე მიყავით,

ფიოდორ ივანიჩი, ბატონო, ჰოდა, გამიწიეთ მამობა, გამონახეთ

დრო და უთხარით. თორემ გაბრაზდება, ბილეთს აღარ მომიცემს.

ფიოდორ ივანის ძე. კი მაგრამ, ასე რა ბუზი შეგიჯდა?

ტანია. აბა როგორ, ფიოდორ, ივანიჩი, საქმე უკვე მოგვარდა... ჩემს

ნათლიასთან ჩავალ, უნდა მოვემზადო. კვირაცხოვლობას იქნება

ქორწილი. უთხარით, ფიოდორ ივანიჩი, ბატონო!

ფიოდორ ივანის ძე. ახლა წადი, აქ სამაგისო ადგილი არ არის.

გამოსვლა მეთოთხმეტი

შემოდან ჩამოდის ბატონი (ხნიერი) და უსიტყვოდ გადის

II ლაქიასთან ერთად. ფიოდორ ივანის ძე,

I ლაქია და იაკოვი (შემოდის).

იაკოვი. ფიოდორ ივანიჩი, ეს აშკარა დაჩაგვრაა! ჩემი დათხოვნა

სწაღია. შენაო, ყველაფერს ლეწავო, ფიფქას ზელი ააღეო, ჩემი

ბრძანება არად ჩააგდე და სამზარეულოში გლეხები შემოუშვიო.

არადა, თვითონვე იცით: 'მე არაფერი ვიცი მაგისი! აგერ ახლა

მითხრა ტატინამ: შეიყვანე სამზარეულოშიო, მე რა ვიცოდი,

ვისი ბრძანება იყო.

ფიოდორ ივანის ძე. რა, განა ტატინამ გითხრა?

იაკოვი. აგერ ახლა მითხრა. დამიცავით, ფიოდორ ივანიჩი! ოჯახმა

ძლივს დაიწყო წელის გამართვა, ახლა კი ამ ადგილს რომ მოვ-

ცილდე, ისევ როდის მოვიმაგრებ საომე ფეხს. ფიოდორ ივანიჩი,

გთხოვთ!

გამოსვლა მითხუთმება

ფიოდორ ივანის ძე, I ლაქია და ქალბატონი, აცილებს გრაფის მეუღლეს, ყალბთმიან და ყალბტილებიან მოხუც ქალს. I ლაქია ქურქს აცემევს სტუმარს.

ქალბატონი. აუცილებლად, აბა როგორ? ქვეშაირიტად გული მაქვს შექრული.

გრაფის მეუღლე. ავადყოფობა რომ არა, ხშირად გესტუმრებოდით.

ქალბატონი. დამიჯერეთ, აიყვანეთ პიოტრ პეტროვიჩი. უხეშია, მაგრამ მასავეთ ვერავინ დაგამშვიდებს; უბრალოდ და მკაფიოდ იცის ყველაფერი.

გრაფის მეუღლე. არა, უკვე მიჩვეული ვარ.

ქალბატონი. უფრო ფრთხილად იყავით ხოლმე.

გრაფის მეუღლე. Merci, mille fois merci.¹

გამოსვლა მითექვსმება

იგინივე და გრიგორი. გაფოფრილი, აღელვებული გამოიჭრება ბუფეტიდან. მის უკან ჩანს სემიონი.

სემიონი. ნუ ეტორღილები-მეთქი, გეუბნები.

გრიგორი. მე შენ გასწავლი, ჩხუბი როგორ უნდა, შე არამზადი შენა! აჰ, შე უკეთურო!

ქალბატონი. რა არის ეს? თქვენ რა, სამიკიტნოში ხომ არ გგონიათ თავი?

გრიგორი. აღარ მომასვენა ამ გაუთლელმა გლეხუქამ.

ქალბატონი (წყენით). ჭკუაზე შეიშალეთ, განა ვერა ხედავთ (გრაფის მეუღლეს). Merci, mille fois merci. A mardi.²

გრაფის მეუღლე და I ლაქია გადიან.

გამოსვლა მჩვიდმება

ფიოდორ ივანის ძე, ქალბატონი, გრიგორი და სემიონი

ქალბატონი (გრიგორის). რა მოხდა?

გრიგორი. თუმცა ლაქიად ვარ, მაგრამ მეცა მაქვს ჩემი სიამოვნება და ყველა ტეტის არ მივცემ უფლებას — ხელი მკრას.

1 მადლობელი ვარ, ათასჯის მადლობელი (ფრანგ.).

2 მადლობელი ვარ, ათასჯის მადლობელი ვარ. სამშაბათამდე (ფრანგ.).

ქალბატონი. კი მაგრამ, რა მოხდა-მეთქი? გრიგორი. რა და გამამაცდა ეგ თქვენი სემიონი, რაკი ბატონებთან იჯდა. საჩხუბრად მოიწვეს.

ქალბატონი. რა ამბავია? რისთვის?

გრიგორი. ღმერთმა უწყის მაგისი თავი.

ქალბატონი (სემიონს). რას ნიშნავს ეს?

სემიონი. აბა, რატომ ეტორღილებათ?

ქალბატონი. კი მაგრამ, რა მოგივიდათ-მეთქი?

სემიონი (ღიმილით). არაფერი, ტანის ელლაბუცება სულმუდამ, მოახლეს, იმას კიდევ, არ უნდა. ჰოდა, ხელი მოვიკიდე და მოვაცილე... ისე, ცოტათი...

გრიგორი. კარგი მოცილებაა, ლამის ნეკნები ჩამილეწა. ფრაკიც გამიხია. თანაც, აი, რას ამბობს: მეო, გუშინდელის არ იყოს, ძალი მომეცაო, ჩამბლუჯა და დამიწყო ხელების მოჭერა.

ქალბატონი (სემიონს). როგორ ბედავ ჩემს სახლში ჩხუბს?

ფიოდორ ივანის ძე. ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, ანა პავლოვნა, უნდა გითხრათ, რომ სემიონს გული აქვს ტანიაზე, უკვე დანიშნულებიც არიან, გრიგორი კი, — რა გაეწყობა, სიმართლე უნდა ითქვას, — ცუდად იქცევა, არაკეთილშობილურად. ჰოდა, ჩემი ფიქრით, სემიონი ამაზე გაუნაწყენდა.

გრიგორი. სულაც არა; ყველაფერი იმის გამოა, ჯავრი სჭირს ჩემი, რაკი მთელი მაგათი თინები გამოვანაშკარავე.

ქალბატონი. რა თინები?

გრიგორი. რა და სენსში. მთელ იმ გუშინდელ რალაცებს სემიონი კი არა, ტანია აკეთებდა. ჩემი თვალით დავინახე, დივანის ქვეშოდან რომ გამოძვრა.

ქალბატონი. რას ჰქვია დივანის ქვეშოდან გამოძვრა?

გრიგორი. მართალს ვამბობ. ქალაღიცი მან მოიტანა და მაგიდაზე დააგდო. ის რომ არ ყოფილიყო, ბატონი ქალაღდს ხელს არ მოაწერდა და გლეხებს მიწას არ მიჰყიდდა.

ქალბატონი. თქვენ თვითონ დაინახეთ?

გრიგორი. საკუთარი თვალით. ბრძანეთ, დაუძახონ, ვეღარ იუარებს.

ქალბატონი. დაუძახეთ.

გრიგორი გადის.

იგინივე, გრიგორის გარეშე. სცენის მიღმა ისმის ხმაუ-
რი, მეკარის ხმა: „არ შეიძლება, არ შეიძლება-მეთქი!“ გა-
მოჩნდება მეკარე, მას გვერდს უვლის და შემოიჭრება
სამი გლახი. წინ II გლახი მოდის, III გლახი ფეხს
წაიკრავს, ძირს ეცემა და ცხვირზე იჭერს ხელს.

მეკარე. არ შეიძლება, გადიო!

II გლახი. არა უშავს, დიდი უბედურება არ არი. განა ჩვენ ცუდი
რამე გვინდა? — ფული გვაქვს მისაცემი.

გლახი. ნამდვილად, რაკი ხელი მოწერილია, საქმე მოთავებუ-
ლია, მხოლოდ ფული უნდა წარმოვადგინოთ მადლიერებით.

ქალბატონი. ნაადრევია, ნაადრევია ჯერ მადლობის თქმა, ყოვე-
ლივე ტყუილი იყო. ჯერ არ მომთავრებულა საქმე. არ არის ჯერ
გაყიდული. ლეონიდ! დაუძახეთ ლეონიდ ფიოდოროვიჩს!

მეკარე გადის.

გამოსვლა მეთვრამეტე

იგინივე და ლეონიდ ფიოდორის ძე; გამოდის,
მაგრამ დაინახავს ქალბატონსა და გლახებს და უკანვე შესვ-
ლას აპირებს.

ქალბატონი. არა, არა, აქ მობრძანდით, გეთაყვა! მე თქვენ გეუბ-
ნებოდით, ვალში არ შეიძლება მიწის გაყიდვა-მეთქი, ყველა
ამას გეუბნებოდათ. თქვენ კი გატყუებენ, როგორც უბრალო
ადამიანს.

ლეონიდ ფიოდორის ძე. ესე იგი რაში? ვერ გამოგია, რა მო-
ტყუებაზეა ლაპარაკი.

ქალბატონი. შეგრცხვეთ მაინც! ჭაღარა კაცი ხართ, არადა პატა-
რა ბიჭივით გატყუებენ და დაგცინიან. ვაჟიშვილისთვის რაღაც
სამასი მანეთი გენანებათ, მისი საზოგადოებრივი მდგომარეო-
ბისთვის საჭირო, თვითონ თქვენ კი, როგორც სულელს, ათა-
სებს გაფცქვნიან თვალდათვალ.

ლეონიდ ფიოდორის ძე. დამწვიდდი, annette, დამწვიდდი.
I გლახი. ჩვენ მხოლოდ თანხის მიღებაში, მაშასადამე...

III გლახი (ფულს იღებს). გაგვიშვი, ღვთის გულისათვის!

ქალბატონი. დაიცათ, დაიცათ.

იგინივე, გრიგორი და ტანია.

ქალბატონი (მკაცრად, ტანიას). გუშინ შენ იყავი სენსის დროს
პატარა სასტუმროში?

ტანია ღრმად ითქვამს სულს და ფიოდორ ივანის ძეს, ლეო-
ნიდ ფიოდორის ძესა და სემიონს შეჰყურებს.

გრიგორი. არ უნდა ახლა მელაკულობა, ჩემი თვალთ დავინახე...
ქალბატონი. თქვი, იყავი? მე ყველაფერი ვიცი, გამოტყდი. არა-
ფერს გიზამ. მე მხოლოდ აი, ამის (ლეონიდ ფიოდორის ძეზე
უთითებს), ბატონის მხილება მინდა... შენ დააგდე ქალაქი მა-
გიდაზე?

ტანია. მე არ ვიცი, რა გიპასუხოთ. ერთი მინდა, არ შეიძლება შინ
გამიშვათ?

ქალბატონი (ლეონიდ ფიოდორის ძეს). აი, ხომ ხედავთ, როგორ
გასულელებენ.

გამოსვლა მეთვრამეტე

იგინივე. შემოდის ბეტსი გამოსვლის დასაწყისში და
ისე დგას, რომ ვერ ამჩნევენ.

ტანია. გამიშვით, ანა პავლოვნა!

ქალბატონი. ვერა, ჩემო კარგო! შენ ხომ, შესაძლოა, რამდენიმე
ათასის ზარალი მოგვაყენე. გაყიდეს მიწა, რომელიც არ უნდა
გაყიდულიყო.

ტანია. გამიშვით, ანა პავლოვნა.

ქალბატონი. არა, პასუხი უნდა აგო. არ ვარგა გაიძვერობა. მე
შენ მომრიგებელ მოსამართლეს მიგცემ.

ბეტსი (წინ გამოდის). გაუშვით, დედა. ხოლო თუკი მაგის გასამარ-
თლება გინდათ, მეც გამასამართლეთ მაგასთან ერთად, — გუშინ
ერთად ვქენით ყოველივე.

ქალბატონი. ჰო, თუკი შენ იყავი, მაშასადამე, ყველაფერი საძაგ-
ლობა იყო მოსალოდნელი, სხვა არაფერი.

გამოსვლა მეთვრამეტე

იგინივე და პროფესორი.

პროფესორი. გამარჯობათ, ანა პავლოვნა! გამარჯობათ, ბატონის
ქალო! ლეონიდ ფიოდოროვიჩ, ჩიკაგოში ჩატარებული სპირი-

ტულისტთა მეცამეტე ყრილობის ანგარიში მომაქვს თქვენთვის. შმიტის სიტყვაა, საოცრად კარგი.

ლეონიდ ფიოდორის ძე. აჰ, ძალზე საინტერესოა!
ქალბატონი. მე უფრო საინტერესოს მოგახსენებთ: თურმე თქვენცა და ჩემს ქმარსაც ეს გოგო გასულელებდათ. ბეტსიმ დაიბრა-
ლა, მაგრამ ამას ჩემს ჯიბრზე ამბობს; თქვენ კი უწიგნური გოგო გასულელებდათ, არადა, გჯერათ! გუშინ არავითარი თქვენი მე-
დიუმური სეანსი არ ყოფილა, ყველაფერს აი, ეს (ტანიასზე უჩვენებს) აკეთებდა.

პროფესორი (ქურქს იხდის). როგორ, ესე იგი?
ქალბატონი. როგორ და ისე, სიბნელეში გიტარას ეგ უკრავდა და ჩემს ქმარსაც ამან ჩასცხო თავში. ეს სჩადიოდა ყველა იმ თქვენს სისულელეს, ახლა გამოტყდა.

პროფესორი (ღიმილით). მერედა, ეს რას ამტკიცებს?
ქალბატონი. იმას ამტკიცებს, რომ თქვენი მედიუმიზმი — მიქარ-
ვაა! აი, რას ამტკიცებს.

პროფესორი. იმის გამო, რომ ამ გოგოს მოტყუება ეწადა, ამი-
ტომ მედიუმიზმი, როგორც ინებეთ და ბრძანეთ, — მიქარვაა? (ღიმილით). უცნაური დასკვნაა! ძალიანაც შესაძლებელია, რომ მოტყუება ეწადა: ხშირად ხდება ასეთი რამ; იქნებ რალაცას კი დეც შვრებოდა, მაგრამ რასაც იგი აკეთებდა — თვითონ აკეთებ-
და, ხოლო რაც მედიუმური ენერგიის გამოვლინება იყო — სწო-
რედ მედიუმური ენერგიის გამოვლინება გახლდათ. უფრო მე-
ტიც, სავსებით შესაძლებელია, რომ ის, რასაც ეს გოგო აკეთებ-
და, სწორედ რომ იწვევდა, ასე ვთქვათ — სოლიციტირებას უწი-
ვდა მედიუმური ენერგიის გამოვლენას, განსაზღვრულ ფორმას ანიჭებდა მას.

ქალბატონი. კვლავ ლექცია!..
პროფესორი (მკაცრად). თქვენ ბრძანეთ, ანა პავლოვნა, რომ ეს გოგო და, შესაძლოა, ეს მშვენიერი ქალბატონიც რალაცას აკეთებდნენ; მაგრამ შუქი, რომელსაც ყველა ხედავდა, თან პირველ შემთხვევაში დაქვეითება, ხოლო მეორეში — აწევა ტემპერა-
ტურისა, გროსმანის ლეღვა და ვიბრირება — რაო, ამასაც ეს გოგო შვრებოდა? ეს კი ფაქტებია, ფაქტებია, ანა პავლოვნა! არა, ანა პავლოვნა, არის საგნები, რომელთა შესახებ მაშინ შე-
იძლება ლაპარაკი, როცა სათანადოდ გამოიკვლევთ და სრულად შეიცნობთ მათ, — მეტისმეტად სერიოზული საგნები, მეტისმე-
ტად სერიოზული...

ლეონიდ ფიოდორის ძე. ბავშვზე რაღას იტყვით, ცხადად

რომ დაინახა მარია ვასილიევნამ? მეც დავინახე... ამას ეს გოგო ხომ ვერ შეძლებდა.

ქალბატონი. თქვენ გგონიათ, რომ ჭკვიანი ხართ, არადა — სუ-
ლელი ხართ!

ლეონიდ ფიოდორის ძე. აბა, მე წავალ. ალექსეი ვლადიმი-
როვიჩი, ჩემთან წამოდით. (კაბინეტში შედის).

პროფესორი (მხრების ჩეჩვით მიჰყვება). დიახ, ჯერაც რა შორსა
ვართ ევროპისაგან!

გაოსხვლა ოცდაათათ

ქალბატონი, სამი გლეხი, ფიოდორ ივანის
ძე, ტანია, ბეტსი, გრიგორი, სემიონი და
იაკოვი (შემოდის).

ქალბატონი (ლეონიდ ფიოდორის ძის კვალზე). გაატუტუტეს
სულელივით, ეს კი ვერაფერს ხედავს. (იაკოვს). შენ რაღა გინდა?
იაკოვი. ბევრ პერსონაზე მიბრძანებთ სუფრის გაშლას?

ქალბატონი. ბევრზე?.. ფიოდორ ივანიჩი! ჩაიბარე ამისგან ვერცხ-
ლული! გააგდე ახლავე! ამისგან არის ყველაფერი. ბოლოს
მომიღებს მე ეს კაცი. გუშინ ძალი კინაღამ მომიკლა, მაგისტ-
ვის რა დაუშავებია. ესეც არ იქმარა, ავადმყოფი გლეხები შე-
იყვანა გუშინ სამხარეულოში და კვლავ აქ არიან. ამისგან არის
ყველაფერი! გააგდე, ახლავე გააგდე! ანგარიში, ანგარიში გაუს-
წორე! (სემიონს!). შენ თუკი კვლავაც მისცემ თავს ნებას და
ჩემს სახლში ხმაურს არ მოიშლი, გასწავლი ჭკუას, შე საძაგელო
გლეხუჭავ!

II გლეხი. რას იზამ, თუ საძაგელო გლეხუჭავა, სახლში რად უნდა
გააჩერო, გაუსწორე ანგარიში და მორჩა.

ქალბატონი (უსმენს, თან III გლეხს აკვირდება). ნახეთ: ამას გა-
მონაყარი აქვს ცხვირზე, გამონაყარი! ავადმყოფია, ვადამდები
სენის რეზერვუარი!! გუშინ ხომ ვთქვი, ნუ შემოუშვებთ-მეთქი,
არა, ისევე აქ არიან. გარეკეთ ახლავე ყველანი!

ფიოდორ ივანის ძე. ფულის მიღებას არ მიბრძანებთ?

ქალბატონი. ფული? ფული აიღე, მაგრამ ესენი, განსაკუთრებით
ეს ავადმყოფი, გააგდე, ამწამსვე გააგდე! მთლად დამპალია!

III გლეხი. ტყუილად ამბობთ მაგას, დედაო, ღმერთმანი, სულ
ტყუილად. ჩემს დედაკაცს ჰკითხეთ, სიტყვაზე რომ ვთქვით. რა
დამპალი მე მნახეთ? გაკრიკლებული ვარ სულმთლად, რომ
ვთქვათ.

ქალბატონი. ლაპარაკობს კიდევ?.. გარეთ, გარეთ-მეთქი! ყველაფერი ჩემს ჯიბრზეა!.. არა, არ შემოძლია ამის ატანა, არ შემოძლია! ვინმე გაგზავნეთ, პოტრ პეტროვიჩი მომიყვანეთ. (სლუკუნით გარბის).

იაკოვი და გრიგორი გადიან.

გამოსვლა ოცლაიმოთხა

იგინივე, ქალბატონის, იაკოვის და გრიგორის გარეშე.
ტანია (ბეტსის). ქალბატონო, თქვენი ჭირიმე, ახლა რაღა ვქნა?
ბეტსი. არაფერია, არაფერი. ამათ გაჰყევი, მე მოვავგარებ ყველაფერს. (გადის).

გამოსვლა ოცლაიმხუთა

ფიოდორ ივანის ძე, სამი გლეხი, ტანია და მეკარე.

- I გლეხი. რა ვქნათ, პატივცემულო, ფულის მიღების თაობაზე?
- II გლეხი. გაგვიშვი აწი.
- III გლეხი (ფულს ჭმუჭნის). რომ მცოდნოდა, მისდღემჩი არ მოეკიდებდი ხელს ამ საქმეს. ეგენი კაცს სისხლს რო გაუშრობენ, რომელი ავადმყოფობა უზამს იმდენს.
- ფიოდორ ივანის ძე (მეკარეს). აიყვანე ესენი ჩემთან, იქაა ანგარიშები. იქ ჩავიბარებ. აბა, წადით, წადით.
- მეკარე. წამოდით.
- ფიოდორ ივანის ძე. ტანიას უთხარით მადლობა. ეს რომ არა, უმიწოდ დარჩებოდით.
- I გლეხი. ნამდვილად, როგორც ჩაიფიქრა, ისე გაკეთდა ყველაფერი.
- III გლეხი. კაცად გვაქცია; თორემ რა იქნებოდა? მცირე მიწა გვაქვს, საქონელს ვინ ჩივის, ქათამი რო ქათამია, იმასაც ვერსად გაუშვებ კაცი. ნახვამდის, ჭკვიანო გოგო! სოფელში რო ჩამოხვალ, მესტუმრე, თაფლი ჩემზე იყოს.
- II გლეხი. ღვთით, შინ მივიდე, ქორწილის თადარიგს დავიჭერ, ლუღს მოვადუღებ. შენ ჩამოდი მხოლოდ.
- ტანია. ჩამოვალ, ჩამოვალ! (წამოიკივლებს). სემიონ! რა კარგია, აბა, რა გეგონა!

გლეხები გადიან.

გამოსვლა ოცლაიმხვსა

ფიოდორ ივანის ძე, ტანია და სემიონი.

ფიოდორ ივანის ძე. ღმერთი იყოს თქვენი შემწე. აბა, შენ იცი, ტანია, კარგად რომ დასახლდებით, ჩამოვალ, გესტუმრები. მიმიღებ?

ტანია. შენი ჭირიმე, ღვიძლ მამასავით მიგიღებთ! (მოეხვევა და კოცნის).

ფარდა.

დასასრული